“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№12 (276)
ნოემბერი
2021 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამესამე წელი "LITERATURULI MESKHETI"

დიდგორის ბრძოლის 900 წლისთავისთვის!

დიდგორის ბრძოლა

მიხეილ ბახტაძე,
პროფესორი

(დასაწყ. იხ. NN8-11)

ალ-ჯალანისის თანახმად, „В этом году также сообщалось о появлении грузин из Дурубы и их нападении на территории князя Тогрыла. Последний попросил помощи у эмира Наджм аль-Дина иль-Гази, сына Ортука, правителя Алеппо, а также у туркмен и эмира Дубайс бен Садак бен Мазияда. Они откликнулись на его просьбу и вышли к нему на помощь с большим войском. Армия грузин в панике бежала, а мусульмане преследовали их и осадили в Дурубе, но тут грузины атаковали мусульман, обратили их в бегство и убили многих. После этого они пошли на город Тифлис, с боем взяли его и казнили его жителей“. როგორც ვხედავთ, თავად ბრძოლა აღწერილი არ არის. მხოლოდ აღნიშნულია, რომ თავიდან ქართველები დამარცხდნენ, პანიკურად გაიქცნენ

და მუსლიმებმა ისინი დურუბში (გაურკვეველია რა იგულისხმება) ალყაში მოაქციეს. აქ კი ქართველებმა შემოუტიეს მუსლიმებს, გააქციეს ისინი და მრავალი მოკლეს.

ქემალ ად-დინი ასე აღწერს ყოველივეს: *„სელჯუკთა მეფემ ტოღრულმა ქართველებისა და მათი მეფის დავითის წინააღმდეგ დახმარება სთხოვა ილ-ღაზი ორთოკის ძეს, რომელიც გაემართა მისკენ მრავალრიცხოვანი არმიით. მას თან ახლდა დუბეის სადაკას ძე. მუსულმანებმა, რომლებმაც თავდაპირველად დაამარცხეს ისინი, მისდიეს მტერს ბილიკებით და მოექცნენ მათ ზურგში მთის გადასასვლელზე. შემდეგ ქართველები გზაზე შემოუბრუნდნენ მათ და დაამარცხეს მუსულმანები. მისდევდნენ რა, ქართველები ხოცავდნენ და ტყვედ იგდებდნენ მათ. დუბეისი, რომლისგანაც წართმეულის ღირებულება შეადგენდა 300 000 დინარს, ნაჯმ ად-დინ ილ-ღაზისთან ერთად გაემართა მარდინში უვნებლად.“* არც ამ შემთხვევაშია მოცემული უშუალოდ ბრძოლის აღწერა. თუმცა ისე ჩანს, რომ ბრძოლა მთის გადასასვლელებსა და მათ სიახლოვეს გაიმართა.

სხვა მემატიანეები: **ვარდან არეველცი, მხითარ აირავანცი, სუმბატ სპარაპეტი, მიხეილ სირიელი** და სხვ. ბრძოლას არ აღწერენ, ამიტომ მათ ცნობებს ამჯერად არ განვიხილავთ.

უშუალოდ დიდგორის ბრძოლასთან დაკავშირებით არის საკითხები, რომელთა შესახებაც წყაროებში დაახლოებით ერთნაირი ინფორმაციებია დაცული. მაგ. ბრძოლა გაიმართა თბილისიდან ნახევარი დღის სავალზე, მთაგორიან ადგილზე, დიდი იყო მუსლიმთა მსხვერპლი. თუმცა არის დეტალები, რომლებიც სხვადასხვანაირად და, ზოგჯერ, წინააღმდეგობრივადაც არის აღწერილი მემატიანეებთან. მაგ. ვინ დაიწყო ბრძოლა, რა ეროვნების იყო 200 მებრძოლი, და სხვ.

წყაროებში არსებულ განსხვავებების გამო, მეცნიერებიც სხვადასხვანაირად აღადგენენ ბრძოლის მიმდინარეობას.

ივ.ჯავახიშვილი თავად ბრძოლის აღწერისას ძირითადად **იბნ ალ-ასირის** ცნობას ეყრდნობოდა და წერდა, *„არაბი ისტორიკოსიც ამბობს, ბრძოლა თბილისის მახლობლად მომხდარა. ორივე მოპირდაპირე მხედრობა რომ საომრად გამწკრივდა, ქართველთა მხრით 200 ყივჩაყი წამოვიდა თურმე და მაჰმადიანთა რაზმისკენ გაემართა. მაჰმადიანთ ეგონათ, ყივჩაყნი ალბათ შეწყალებისა და დანდობის სათხოვნელად მოდიანო. მაგრამ ისინი უეცრად მაჰმადიანთა ჯარში შეიჭრნენ და ხოცვა დაუწყეს. სწორედ ეს გაბედული სამხედრო ხერხი, რომლის მოწყობისა და განხორციელებისათვის დიდი ხასიათის სიმტკიცე იყო საჭირო, აქვს ალბათ ნაგულისხმევი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს, როცა იგი მეფეზე ამბობს „უშიშმან და ყოვლად უძრავმან გულითა“ საქმე „წყნარად და უშფოთველად“ განაგოო. იბნ ალ-ასირიც არა მალავს, რომ მაჰმადიანნი მართლაც, როგორც ქართველ ისტორიკოსს აქვს ნათქვამი, „პირველსავე ომსა სივლტოლად მიდრკიან“ და გაქცეულთაგან მრავალი დაიხოცა, და ტყვედ ჩაუვარდათ ქართველებს, ხოლო ქართველთა მხედრობამ 10 ფარსახის მანძილზე უკან სდია თავზარდაცემულ მტერს და ამ დროს მაჰმადიანთა უმეტესი ნაწილი დაიღუპა, 4.000 კაცი კი ქართველებს ჩაუვარდათ ტყვედ.“*

ნახ. გიორგი გეგეჭკორისა

შ.მესხია მართალია აღნიშნავს, რომ ზოგი წყაროს თანახმად შეტევა პირველად მუსლიმთა კოალიციურმა ლაშქარმა დაიწყო, მაგრამ თავად ეთანხმება იმ მემატიანეთა (**მათეოს ურჰაეცი, ალ-ფარიკი, იბნ ალ-ასირი**) ცნობას, რომელთა მიხედვითაც შეტევა ქართველებმა დაიწყეს. მეცნიერი თვლიდა, რომ ის 200 მეომარი რომელიც მოწინააღმდეგის ლაშქარს მიუახლოვდა, ქართველი უნდა ყოფილიყო და არა ყივჩაღი ან ჯვაროსანი. მეცნიერი წერდა, *„ამრიგად, არც ისე დიდი რაზმის მოულოდნელმა თავდასხმამ ერთხანს დააბნია მტერი. ამავე დროს, საქართველოს ლაშქარმა მტრის ფლანგებს ორი მხრიდან შეუტია. ლაშქრის ერთი ნაწილი თვით მეფის სარდლობით ნიჩბისის ხევით, ჩუკთა ლაშქარს მედგრად შეუტია. „იქმნა სასტიკი ბრძოლა ორ მთის შორის, ისე რომ ლაშქართა საშინელი ხმაურისგან ეს მთებიც იძახოდნენო (ხმაურობდნენო)“* – წერს მათე ურჰაელი. როგორც კი ბრძოლა შენივთდა, შეიკრა და გამარჯვების სასწორი ქართველთა მხარეს გადაიხარა, მტრის ლაშქრის დიდმა ნაწილმა ზურგი შეაქცია ბრძოლის ველს. შემთხვევითი არ არის, რომ დავითის ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, *„რამეთუ პირველსავე ომსა (პირველივე შეტაკების დროს) იოტა (აიყარა) ბანაკი მათი და ივლტოდა (გაიქცაო)“.* ასევე წერს მათე ურჰაელიც, ბრძოლის შეკვრისას (ქართველებმა) გააქციეს თურქთა მთელი ჯარიო. თუ დავითის ისტორიკოსს დავუჯერებთ, *„ეს სისხლისმღვრელი ბრძოლა რაღაც სამ საათამდე გაგრძელებულა ... თურქ-სელჩუკთა დამარცხებულმა ლაშქარმა დიდი ზარალი ნახა ... რა თქმა უნდა, დიდგორის ბრძოლამ დაჭრილებისა და დახოცილების სახით ბევრი ქართველი, ყივჩაყი თუ ოსი მოლაშქრეც შეიწირა. მაგრამ საქართველოს ლაშქრის დანაკლისი, მტრის ჯარის დანაკლისთან შედარებით, იმდენად მცირე ყოფილა, რომ არც ერთ ძველ ისტორიკოსს მისი აღნიშვნა საჭიროდაც არ მიუჩნევია.“* ივ.შაიშმელაშვილის მოსაზრებით, – *„თურქ-სელჩუკთა ურიცხვ ბრბოებს, ქართველებთან შებმისათვის რომ ირაზმებოდნენ, ფიქრადაც არ მოსვლიათ ეღალატათ თავიანთი წესისთვის და დიდგორის ბრძოლაში ძლიერი მარჯვენა ფრთა არ შეექმნათ. პირიქით, უნდა ვივარაუდოთ, რომ აღებული კონკრეტული ვითარება ბიძგსაც აძლევდა მათ, რათა მარჯვენა ფრთით დაერტყათ ქართველთათვის, ნატბეურებზე გავლით სოფ. ზეუბნის მიდამოებში გასულიყვნენ და უკანდასახევი გზები გადაეჭრათ მოწინააღმდეგისათვის ... თურქთა საბრძოლო წყობის შესახებ მსჯელობისათვის, სამწუხაროდ, კონკრეტული ცნობები არ არსებობს ... არავინ უწყის თუ როგორი საბრძოლო წყობა მიიღო ქართულმა არმიამ ... არაბი ისტორიკოსისი ალ-ფარიკის ერთი ცნობიდან კარგად ჩანს, რომ დავით აღმაშენებელი ქართველთა მარჯვენა ფრთაზე მდგარა: თურქთათვის მას თურმე დასავლეთიდან, ე.ი. დიდგორის ქედის დასაწყისიდან, უნდა შეეტია და შეუტევია კიდეც ... ქართველთა საბრძოლო წყობაში ნათლად ჩანს ძლიერი მარჯვენა ფრთა, რომელსაც პირადად დავით აღმაშენებელი დასტრიალებდა ... რაკი დავით აღმაშენებელი თავისი არმიის ძლიერი მარჯვენა ფრთის სათავეში ჩანდა, გასაგები იყო, რომ თავისი მარჯვენა ფრთით წამოიწყებდა კონტრიერიშს, რათა თურქთა საბრძოლო პოზიციის გასაღებს – საკურთხისის მწვერვალს მოსჭიდებოდა, შემდეგ დასავლეთის მხრიდან მოსდგომოდა თურქთა ცოცხალი კედლის რღვევას ... ბრძოლა ქართველებს არ დაუწყიათ, თურქთა ამოქმედებას დაუცადეს, რათა ასე თუ ისე გამომჟღავნებულიყო მათი ოპერატიული განზრახვა ... თურქებსაც აღარ დაუყოვნებიათ ... თურქობის ამ ველური აურზაურის დროს დავით აღმაშენებლის მიერ შენარჩუნებული დიდი სიმშვიდე აგრეთვე იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ბრძოლის დასაწყისი მის ჩანაფიქრს ემთხვეოდა. ქართველთა მარცხენა ფრთას განგებაც რომ დაეწია უკან, ამას უფრო მეტად უნდა დაერწმუნებინა თურქები, რომ ჭეშმარიტად სწორ გზაზე იდგნენ ... თურქთა ამ განწყობილებას განსაკუთრე-*

გაგრძელება მე-2 გვ. ▶

დავით აღმაშენებელს

შენის დიდებით აშუქე მთები,
შენს ნაამაგარს ზღვები გალობდნენ,
ხმლით განამტკიცე შენ საქართველო
დარუბანდიდან რკინის პალომდე.

თვით უმორჩილო ზღვას დასდევ ხელი,
შეაბი რკინის კარი დარიალს,
შენგან დადგმული ქვაკუთხედები
ახლაც ისევე დაუმდნარია.

შენი ნამუხლი სჩანს ხეობებში,
შენი სახელი ვის არ ელოცა,
საკუთარ შუქით გამოუზარდე
დღე ხვალინდელი საქართველოსა!

შენი ხელთქმნილი არის სამშობლო,
ვინ დაგეწონა ძველად, რომელი? –
ბრძენი შენებრი განგებიანი,
შენებრ მხედარი დაუდგრომელი!

ლომო, აღმდგარო სამშობლოსათვის,
დროშა ძლევისა გყავდა მხლებელი,
ვინ გადეხვეწა ცხენით შენს მახვილს,
რომელი ჩვენი მაოხრებელი, –

არაბიელი, თურქმანი, სპარსი
და ვინც მოჭამა ჩვენი ქვეყანა,
შენს მკლავს ხმალაწვდილს, საზღვართა გარე,
როგორც ზღვის ქვიშა გადაეყარა!

აბჯრის ჩხერაში, ხმალთა ელვაში,
მზერდი მომავალს შორს გამხედარი
და იდექ სვეტად საქართველოსი,
ვეფხვი ფრთიანი, ნათლის მხედარი.

გიორგი ლეონიძე

ბოგვლის ბრძოლა

◀ დასაწყისი გვ. 1

ბით მაშინ უნდა მიმატებოდა იმედის შუქი, როცა მათს მარცხენა ფრთაზე ქართველებმა „დანებება“ დაიწყეს დავით აღმაშენებლის ნებით საკურთხისის მწვერვალის წინამდებარე მინდორზე ქართველთა მხრიდან ბრწყინვალე საჭურვილით შემოსილი ორასიოდე ქართველი მხედარი გამოსულა და თურქთაკენ დაძრულა. ეტყობოდა, რომ ორასივე სასტიკად იყო გაფრთხილებული, რათა გარკვეულ მომენტამდე ჰქონოდათ შუბი დახრილი, ხმალი ამოუღებელი, ფარი და მშვილდისარი მოუმარჯვებელი, სვლის ტემპი სრულიად არა საიერიშო ... თურქებმა დაასკვნეს, რომ დაიწყო ქართული არმიის გახრწნა, რღვევა. სულ სხვა მღელვარებას უნდა მოეცვა ქართველთა მარჯვენა ფრთის მხედართა რაზმები, რომლებიც ამ სანახაობას უმზერდნენ. ისინი გასატყორცნად გამზადებული ისარივით იყვნენ განწყობილი და როცა „დანებების“ მოსურნე იმ ორასმა ქართველმა რაინდმა, როგორც რუსთაველი ამბობს „ჟუზარადნი დაიხურნეს წამიერად, ანაზდად ცხენი გაჰქუსლეს“ და გაოგნებულ თურქებს ხმალი მოჰკიდეს, დავით აღმაშენებელსაც ეს ისარი უნდა დაესხლიტა. სულ რაღაც 10-15 წუთი იყო საჭირო, რათა ქართველთა მარჯვენა ფრთის ათეულათასიან მხედრობისაგან შემდგარ მქუხარე ლავას თურქთა მარცხენა ფრთა წაელეკა, დიდგორის „სამწვერა“ თავს დაპატრონებოდა და დაუყოვნებლივ დაეწყო შეტევა დიდგორის ქედის გასწვრივ, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, შემდეგ კი ამ „ნაპრალში“ დავით მეფეს ყივჩაყთა 15 ათასიანი კორპუსი უნდა შეეშვა ... ყველაზე მეტად თურქთა მარჯვენა ფრთის მხედრობა უნდა შეფიქრიანებულიყო, რომელიც ქართველთა ზურგში გასვლის მაცდურ იდეას აყოლილი, ნაწილობრივ ნატბეურის უფსკრულებში უნდა ყოფილიყო ჩასული, ნაწილობრივ კი ქართველთა მარცხენა ფრთას უტევდა ნიჩბისის სერის გასწვრივ. სრული კატასტროფის მომენტამდე, უეჭველია, რომ თურქებმა თავიანთი უახლოესი რეზერვებიც, მათ შორის მანგლისის დაჯგუფების ნაწილიც, ჩართეს ბრძოლაში ... მაგრამ სამარცხვინო მარცხის შიშმა, როგორც გრიგალმა ხმელი ფოთოლი, ისე აიტაცა თურქობა და მდ.ვერეს ხრამებისკენ მიახედა ... ქართულმა არმიამ თურქთა ამოდენა ლაშქარი სულიერად გასტეხა ... ყივჩაყთა ლაშქრის მეორე ნახევარს (სულ მცირე 20 ათას მეომარს), რომელსაც წყაროებში ვერ ვხედავთ, მდიდარი ნადავლის სურვილი თუ არა, ამ მქუხარე გამარჯვებაში წილის ჩადების სურვილი მაინც უნდა აღძროდა. საფიქრებელია, რომ იგი ამ მომენტში უნდა ჩაებათ ბრძოლაში, რადგან, საეჭვოა, რომ მაღალმთიანსა და ფართოდ გაშლილ ფრონტზე დიდძალი თურქობის მრავალდღიანი დევნა ქართველებს შეესრულებინოს მსუბუქი ცხენოსანი ჯარის დიდი მასების ჩაურევლად.“

ს.კაკაბაძის მოსაზრებით, გაიმართა ორი ბრძოლა. *„ყოფილა ორი ომი ... პირველი ომი იგულისხმება დიდგორის ქედზე დავითისავე ხელმძღვანელობით, ძეგვის ხევისა და დიღმის წყლის სათავეებს შუა (სანკეპელა ზეგანზე) და მეორე კიდევ, მთავარი ომი, მის აღმოსავლეთით – ათიოდე კილომეტრზე, დიდგორწინაზე, დავითისავე განკარგულებით.“ „მთავარი ბრძოლის ველი მოთავსებული იყო დიდგორწინზე, დიდგორის მთის ძირობიდან განგრების სერსა და ნაბაჭურის სერამდის ჩრდილო-აღმოსავლეთით და თვით ნაბაჭურის სერზე, ვიდრე სამხრეთ-დასავლეთით ნაოქიანის საკმაოდ მაღალ გორამდის, რომელიც გაჭიმული იყო ძეგვის გასავლელის წვერიდან, ვიდრე სოფელ ვეძისის მისადგომამდის, დაახლოებით ხუთ კილომეტრზე.“* მეცნიერის აზრით, ქართველთა ჯარის მეწინავე პოზიციებზე იდგა 200 ფრანგი რაინდი, თავის მეაბჯრე-მსახურებით, სულ 2.000 კაცი. სამ რიგად განლაგებული იყვნენ ქართველი რაინდებიც და მათი თანმხლები მსახურ-მეაბჯრეები. სულ 1.800-1.900 ქართველი რაინდი, ხოლო მეაბჯრე-მსახურების ჩათვლით, 12.000 კაცამდე. დარჩენილი 300-400 ქართველი რაინდი უფლისწულ დიმიტრის ჯარში იყო ზემო დიდგორის ზეგანზე, საწკეპელასთან. ბრძოლის წინ თურქთა ლაშქარი განლაგებული იყო დიღომ-ვეძისის მიდამოებში და იქიდან დაიწყო გამოსვლა დიდგორის ველზე. ბრძოლა დაიწყო დაახლოებით 8 საათზე და თურქებმა პირველად მეწინავედ მდგომ ფრანგ რაინდებს შეუტიეს და *„ქართველი რაინდების პირველი ხაზის მარჯვენა და მარცხენა ფრთაც მაშინვე გახდებოდა თურქ-რაინდების დარტყმის ობიექტი.“* თურქთა შეტევა მარცხით დასრულდა და ქართველი რაინდები, დავით მეფის მეთაურობით, კონტრშეტევაზე გადავიდნენ. ამის შემდეგ მეფემ ბრძოლის წარმოება ამ მიმართულებაზე ივანე ორბელს ანდო, ხოლო თავად კი მსუბუქი ცხენოსანი ჯარით ნაბაჭურის სერზე მყოფ დუბეისის ათი ათასიან ჯარს შეუტია. *„ეტყობა სერზე თავდასხმა კონბინირებული იყო სხვადასხვა მხრიდან, რის გამო მტერმა განიცადა დიდი ზარალი.“* მოწინააღმდეგემ გაქცევით უშველა თავს. დემეტრე უფლისწული შუა ბრძოლისას თურქებს ზურგში მოექცა, ეს სოფ. დიღმის არეში ან მის აღმოსავლეთით უნდა მომხდარიყო. ამ დროს დაახლოებით 9:30 საათი იყო. *„მთაზე გადმოსული ქართველების ჯარიდან ქვემოთ ჩამოეშვა ორასი ყივჩაყი, ვითომდა თურქების მხარეზე გადასასვლელად, როგორც ეს მოთხრობილი აქვს იბნ-ალ-ასირს. თურქებმა ისინი ახლოს მიუშვეს თავიანთ რიგებთან. მაშინ ყივჩაღებმა უცბად დაიწყეს ისრების სროლა და შემდეგ გადავიდნენ ხმლით იერიშზე. ამასობაში მათ მოეშველა ნენავის მთიდან გადმომდგარი ქართველების სხვა ჯარიც, უფლისწულ დიმიტრის მეთაურობით ... ამგვარად თურქებს დიდი დარტყმა მიაყენეს მარცხენა ფრთაზე და ისიც ისე მძლავრად, რომ ამან საბედისწერო შედეგი იქონია მათზე.“* თურქების გაქცეული ჯარი დიღმის ველზე გამოვიდა, მაგრამ მათი სარდლობა ლაშქრის საბრძოლო მწყობრად დალაგებას ვერ ახერხებდა. მოწინააღმდეგემ ყველაზე დიდი ზარალი სწორედ გაქცევის დროს განიცადა. მეცნიერი თვლიდა, რომ ბრძოლის შედეგად დავით მეფის ჯარმა დაკარგა დაახლოებით 5.000 მებრძოლი. სელჩუკთა ზარალი გაცილებით დიდი იყო – 156.000 კაცი, ხოლო 34.000 ტყვედ ჩავარდა.



მ.ლორთქიფანიძის თვალსაზრისით, ბრძოლა შემდეგნაირად წარიმართა: *„ქართველთა ლაშქარი ნიჩბისის ხევში დაბანაკდა. დავითმა უკან დასახევი გზა ჩახერგა. ლაშქრის ძირითად ნაწილს, რომელსაც პირველი ბრძოლა უნდა მიეღო, დავითი სარდლობდა, დანარჩენი ნაწილი, დავითის ვაჟის დემეტრეს სარდლობით, მთას იყო ამოფარებული და იქიდან მოულოდნელად უნდა დაერტყა მტრისთვის. ბრძოლის დაწყების წინ დავითმა ლაშქარს სიტყვით მიმართა, თავგანწირული ბრძოლისათვის სამშობლოს დასაცავად მოუწოდა და უკან დახევის შეუძლებლობაც შეახსენა. ბრძოლის დაწყებას საისტორიო წყაროები განსხვავებულად გადმოგვცემენ. სელჩუკებმა თავის ნაცად ხერხს მიმართეს და ფსიქიური ზეგავლენის მოსახდენად ხმაური ატეხეს, მათ ყიჟინას, იარაღის ჟღარუნს, ცხენთა ჭიხვინს, მთა და ბარი ბანს აძლევდა. დიდი მხედრომთავარი თავის მოლაშქრეებს ამშვიდებდა და მტრის მოახლოებას ელოდა. დავითმა ტაქტიკურ ხერხს მიმართა, ბრძოლის დაწყების წინ ქართველთა მხრიდან 200 მხედარი მტრის ბანაკისაკენ გაემართა; მაჰმადიანებს ისინი მოღალატენი ეგონათ და თავის ბანაკში შეუშვეს, სადაც მათ ერთბაშად ბრძოლის ყიჟინა დასცეს. მტრის ბანაკში არეულობა დაიწყო. ამ დროს საქართველოს ლაშქარმა მტერს ორი მხრიდან შეუტია – დასავლეთიდან დავითი, ხოლო დიდგორის მთიდან დემეტრე გადავიდა შეტევაზე. სისხლისმღვრელი ბრძოლა სამ საათს გაგრძელდა. მტერი შედრკა და გაიქცა“.*

რ. მეტრეველი ეხება რა თავად ბრძოლის პერიპეტიებს, აღნიშნავს, რომ *„წყაროთა მონაცემები განსხვავდება ბრძოლის დაწყებასთან დაკავშირებით. გოტიეს მიხედვით, ბრძოლა კოალიციურმა ლაშქარმა დაიწყო, ხოლო სხვა მემატიანეთა ცნობების თანახმად, შეტევაზე პირველად ქართველები გადავიდნენ“.* მეცნიერი ეთანხმება შ.მესხიას მოსაზრებას 200 მეომრის ქართველობის შესახებ და იქვე წერს: *„დავით აღმაშენებელს, როგორც ჩანს, მართლაც გამოუყენებია ეს ტაქტიკური ხერხი. „როგორც ირკვევა, დავით აღმაშენებლის მიერ წარგზავნილმა ორასკაციანმა რაზმმა თავისი მისია შეასრულა: დააბნია მტერი და არევ-დარევა შეიტანა მის რიგებში. მაშინ საქართველოს ლაშქარმა მოწინააღმდეგეს ფლანგებიდან შეუტია ... ალ-ფარიკის მიხედვით, დავით აღმაშენებლის სარდლობით საქართველოს ლაშქარი დიდგორის ველს ნიჩბისის ხევიდან მიუახლოვდა. მთავარ ძალას მეფე ედგა სათავეში, ხოლო ლაშქრის ნაწილს მეფის მემკვიდრე დემეტრე დავითის ძე ხელმძღვანელობდა, რომელიც დიდგორის ერთ-ერთი მთიდან დაეშვა და მთის ძირას დაბანაკებულ თურქ-სელჩუკთა ლაშქარს შეუტია ... პირველი შებრძოლებისთანავე მტრის ბანაკი აიყარა და გაიქცა ... დიდგორის ბრძოლის აღმწერი ყველა ისტორიკოსი მიუთითებს იმ დიდ ზარალზე, რომელიც თურქ-სელჩუკთა კოალიციურმა ლაშქარმა განიცადა ... რა თქმა უნდა, საქართველოს მოლაშქრეთა შორისაც იქნებოდა გარკვეული მსხვერპლი, მაგრამ ეს მტრის ლაშქართან შედარებით იმდენად მცირე ყოფილა, რომ ისტორიკოსი ხმამაღლა აცხადებს, დავით აღმაშენებელმა „თჳსნი სპანი დაიცვნა უვნებლადო ... გოტიეს ცნობით დევნა სამი დღე გაგრძელდა ... იბნ ალ-ფარიკის მიხედვით, ქართველებს მტერს საზღვრიდან 10 ფარსაგის (დაახლოებით 70 კმ) მანძილზე გაუდევნიათ.“*

ყველასაგან განსხვავებულად აღადგინა ბრძოლის მიმდინარეობა ს. მარგიშვილმა. *„12 აგვისტოს დილით, როდესაც ილ-ღაზის არმია მანგლისის მიდამოებიდან მოხისი-შამთა-დრეღვევის გავლით, მარშით მიემართებოდა ვერის ხეობისკენ, ქართული არმიის ქვეითი ნაწილები იმყოფებოდნენ ჩასაფრებაში სოფ. ღვევის ჩრდილოეთით, მდ. ვერეს შენაკადის დიდგორის ქედთან შეერთების ადგილას, დიდგორის ქედის სამხრეთ კალთებზე და მოწინააღმდეგის კოლონის მარშრუტს დაცილებული იყვნენ დაახლოებით 2-3 კილომეტრის დისტანციით. ხოლო ცხენოსანი რაზმები თავმოყრილი იყვნენ ნიჩბისის წყლის სათავეებთან და ელოდნენ ბრძოლის დაწყებას შესატევ პოზიციებზე გადასასვლელად ... ვერეს ხეობისკენ მიმავალ მტრის კოლონის ავანგარდს, სადღაც, სოფ. ღვევის მიდამოებში, თავს დაესხა, გზის სიახლოვეს წინასწარ ჩასაფრებული ქართველ ცხენოსანთა მცირერიცხოვანი რაზმი, რომელიც ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ უკუიქცა დიდგორის ქედისკენ მდ. ვერეს შენაკადზე გამავალი გზით, იქით, სადაც მოწყობილი იყო ქვეითთა ჩასაფრება. დევნის დისტანცია შეადგენდა 2-3 კილომეტრს, რასაც გაქცეულები და მადევრები მაქსიმუმ 10 წუთში დაფარავდნენ, რის შემდეგაც დევნის განმახორციელებელი მუსლიმთა რაზმი ქვეითი მეომრების სრულ ალყაში აღმოჩნდებოდა, რომელთა წინააღმდეგაც, ვიწრო ხეობის პირობებში, მათ წარმატების არავითარი შანსი არ ექნებოდათ ... მთავარი შედეგი, რაც უნდა მოჰყოლოდა ამ ჩასაფრებას, იქნებოდა არა მტრის დიდი რაოდენობით ცოცხალი ძალის განადგურება, არამედ სამარშო კოლონებში გაურკვევლობისა და არეულობის შეტანა, რასაც შემდგომში, ძირითადი დარტყმის წარმატება უნდა უზრუნველეყო .. სანამ მოხდებოდა ვითარებაში გარკვევა, მთლიანი კოლონის გადაადგილების მთელ სიგრძეზე შეჩერება უნდა გამოეწვია ... სანამ მიმდინარეობდა ... მუსლიმთა ავანგარდის ნაწილის ჩასაფრებაში შეტყუება და მისი განადგურება, რასაც მთლიანობაში 30-50 წუთზე მეტი არ დასჭირდებოდა, მუსლიმ მხედართმთავრებს არ შეიძლებოდა რომ სწორი წარმოდგენა ჰქონოდათ იმის შესახებ, თუ რა ხდება რეალობაში ... ილ-ღაზი ... ვერ ხედავდა შეტევაზე წამოსულ მტერს, მის წინააღმდეგ თავდაცვაზე ან კონტრშეტევაზე რომ გადასულიყო ... ავანგარდზე თავდასხმიდან, გარკვეული ხნის განმავლობაში, მუსლიმთა სარდლობა იქნებოდა გაურკვევლობაში ... იმის პარალელურად, როდესაც დაიწყო ავანგარდზე თავდასხმა ... დავით აღმაშენებელმა დაიწყო ცხენოსანთა რაზმების გამოყვანა ნიჩბისისწყლის სათავეებიდან მოხისი-ნაოხარის მიმართულებით შეტევის საწყის პოზიციებზე ... ილ-ღაზი ფაქტობრივად გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მისი არმია ალგეთის მარცხენა ნაპირზე გაშლილი იყო სამარშო წყობით 12-14 კილომეტრზე. არმიის ნახევარი იმყოფებოდა მანგლისის დასავლეთით, ალგეთის გაღმა და ბრძოლაში მონაწილეობის მიღებას ვერაფრით შეძლებდა ... ქართული არმიის ცხენოსანთა რაზმებს, შეტევის განსავითარებლად და მოწინააღმდეგის კოლონამდე მისაღწევად დაღმავალ ფერდობზე, დაახლოებით 2 კილომეტრი დისტანციის დაფარვა სჭირდებოდათ, რასაც ისინი 10 წუთზე ნაკლებ დროში მოახერხებდნენ, 10 წუთი კი ილ-ღაზისთვის ვითარების აღსაქმელად, სწორი გადაწყვეტილების მისაღებად და შესასრულებლად, ძალიან ცოტა დრო იქნებოდა ... შედეგი ასეთი შეტევისა იქნებოდა მხოლოდ ერთი: მუსლიმთა სამარშო კოლონის რამდენიმე ნაწილად გაპობა, მოწინააღმდეგის მეომრების უსისტემოდ ერთმანეთში არევა, ჭყლეტვისა და ქაოსის წარმოქმნა და ლოკალური ალყის კერების გაჩენა ... კოალიციური არმია სავსებით დაკარგავდა მართვის უნარს და მას დარჩებოდა მხოლოდ ერთი არჩევანი, ბრძოლის ველიდან გაქცევა ... ალგეთის მარცხენა ნაპირზე გამოსული მუსლიმური კოალიციის არმიის ნაწილის განადგურების პროცესში, პანიკა მანგლისის მხარეს დარჩენილ ნაწილშიც უნდა გავრცელებულიყო, რაც გამოიწვევდა მათ მასიურ გაქცევას და ქართული არმიის მიერ დევნის ოპერაციის განხორციელებას ... დიდგორის ბრძოლა არ უნდა გაგრძელებულიყო ძალიან დიდხანს.“*

მართალია კონკრეტულად დიდგორის ბრძოლა არ განუხილავს **მ. წურწუმიას**, მაგრამ თავის ერთ-ერთ სტატიაში, რომელიც წაგრძელებული შუბით ბრძოლის წესსა და ცხენოსანთა დარტყმით ტაქტიკას ეხება, გამოთქმული აქვს საინტერესო ვარაუდი. *„ბრძოლის ველზე განვითარებული მოვლენების ზოგადი რეკონსტრუქცია ასეა შესაძლებელი: რადგანაც ბრძოლა სამი საათი გაგრძლდა და გამარჯვების მისაღწევად ქართველთა პირველივე შეტევაც საკმარისი აღმოჩნდა. ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ეს იერიში ბრძოლის მიწურულს განხორციელდა, მანამდე კი დავით აღმაშენებელი თავს იცავდა და ხელსაყრელ დროს ელოდა. პირველი 2-2,5 საათის განმავლობაში თურქმენ ცხენოსან მოისართა ტალღები აწყდებოდა ქართველთა რიგებს („ძლიერი ყიჟინით, ცხენისა და იარაღის ხმაურით, ზარდამცემი ბაირაღებით“), რომელებიც ურყევად დგას და თავს იცავს („დავით მეფე ამხნევებს თავისიანებს“); შეტევისთვის სწორი მომენტის შერჩევის შემდეგ, ქართული რაინდული კავალერიის შოკური დარტყმა მუსლიმთა მთავარ ბირთვს, ილ-ღაზის დროშას სწვდება (ამის უტყუარი ინდიკატორია ილ-ღაზის თაავში დაჭრა); ეს სწორად შერჩეული, დროულად და მთლი სიმძიმით განხორციელებული პირველივე დარტყმა (რომელსაც უეჭველად ქართველთა ყველაზე დისციპლინირებული და გამოცდილი მოყმეები განახორციელებდნენ) საკმარისი აღმოჩნდა ილ-ღაზის არმიის ძირითადი ბირთვის გასანადგურებლად, რასაც შედეგად, მთელი ამ უზარმაზარი არმიის მოშლა და გაქცევა მოჰყვა. ამ ერთადერთი შეტევის ხასიათი და შედეგი მეტყველებს მის არსზე და მაღალი ალბათობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქმე გვაქვს დიდი ოსტატობით განხორციელებულ ცხენოსანთა შოკურ დარტყმასთან.“*

კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ წყაროები არ იძლევა საშუალებას ზუსტად აღვადგინოთ ბრძოლის პერიპეტიები. ამიტომ ჩვენეული ხედვა, მხოლოდ ერთ-ერთი ვარაუდი შეიძლება იყოს, რომელიც ემყარება წყაროებში დაცული ცნობების ჩვენეულ ინტერპრეტაციას.

ჩვენი აზრით, 1121 წლის 12 აგვისტოს, გამთენიისთვის, მუსლიმთა კოალიციური ლაშქარი დაბანაკებული იყო თრიალეთში, მანგლისსა და დიდგორს შორის. მისი ავანგარდი, ილ-ღაზის სარდლობით დიდგორში იდგა. თბილისამდე მათ ნახევარი დღის გასავლელი მანძილი აშორებდათ, როგორც ამას **ალ-ფარიკი** და **ალ-ჯაუზი** წერენ. დიდგორიდან თბილისამდე (ცხადია, ვგულისხმობთ მაშინდელ თბილისს) დაახლოებით 20-25 კილომეტრია, რაც, მართლაც, ნახევარი დღის სავალი მანძილია. ილ-ღაზთან ერთად უნდა ყოფილიყო დუბაისიც. კოალიციის მენინავე ჯარი სავარაუდოდ 30.000 მეომარს ითვლიდა. დანარჩენი ნაწილები, ერთმანეთისაგან გარკვეული მანძილით დაშორებულნი, მანგლისამდე უნდა ყოფილიყვნენ გაჭიმული, დაახლოებით 15-20 კილომეტრის მანძილზე.

ბრძოლა მოხდა მთაგორიან ადგილზე. ამას ადასტურებენ: **გოტიე** – *„მეფე დავითი ერთ ხეობაში დადგა, ორ მთათა შუა, დაბურულ ტყეში“*, **მათეოს ურჰაეცი** – *„მოხდა სასტიკი ბრძოლა ორ მთას შორის“*, **ალ-ჯაუზი** – *„ჩამოვიდა დავით მეფე მთიდან დიდი ლაშქრით“*, **ალ-ფარიკი** – *„დავით მეფემ დასავლეთიდან შემოუტია, მისი შვილი დემეტრე კი მთის ძირში მყოფებს მთის წვერიდან დაესხა თავს“* (არაპირდაპირ ქემალ-ად-დინიც).

გაიმართა ერთი დიდი ბრძოლა და ის ქართველთა შეტევით დაიწყო, ასე გვესმის ჩვენ: დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის, **ალ-ჯაუზის**, **ალ-ფარიკის**, **იბნ ალ-ასირისა** და **ალ-კალანისის** ცნობები.

სრულიად დასაშვებია, რომ იერიშის წინ ქართველებს უკანდასახევი გზა ჩაეხერგათ, როგორც ამას გოტიე ამტკიცებს. **კ.კაციტაძე** ამასთან დაკავშირებით წერდა, მეფე *„ხერგილის გაკეთებით ჯარისკაცებს თავიანთი „რეალობის გვირაბს“ უქმნის, სადაც ისეთი ფაქტორები, როგორიცაა სიკვდილის შიში ან მტრის რაოდენობრივი უპირატესობის განცდა, აღარ მუშაობს. მაგრამ ამ ფსიქოლოგიური ვირტუალური რეალობის შექმნის შემდეგ დავითი ტაქტიკურად სრულიად რაციონალურად იქცევა. ის ჯარს ორ ნაწილად ყოფს: ერთს თავად უდგება სათავეში, ხოლო მეორეს უფლისწულ დემეტრეს უყენებს. ამავე დროს იყენებს არაპირდაპირი ქმედების სტრატეგიისთვის დამახასიათებელ ისეთ ილეთს, როგორიცაა ჩასაფრება. დემეტრეს ძალები მტრის უკან არიან ჩასაფრებული.“*

ვფიქრობთ, რომ იერიში უნდა დაწყებულიყო გამთენიისას, იმ დროს, როდესაც მუსლიმთა კოალიციამ ბანაკის აშლა და თბილისისკენ წამოსასვლელად მომზადება დაიწყო. მუსლიმ მეომართა ნაწილი, ალბათ, უკვე, მზად იყო და სამარშო კოლონებად მოწყობილიც ბრძანებასლა ელოდა, სხვანი კი ჯერ კიდევ განაგრძობდნენ მზადებას.

სწორედ ამ დროს უნდა მიახლოებოდა დიდგორში, მუსლიმთა მეწინავე ჯარს 200 ქართველი მეომარი. ჩვენ ვეთანხმებით შ.მესხიას მოსაზრებას ამ 200 მეომრის ეროვნების შესახებ და აქ სიტყვასა აღარ გავაგრძელებთ. **იბნ ალ-ასირი** წერს, რომ შეხვდნენ რა მოწინააღმდეგეები ერთმანეთს, ისინი საბრძოლველად განეწყვნენ და სწორედ ამ დროს მიუახლოვდა ორასი მეომარი მუსლიმთა რიგებს. ეს ცნობა გამორიცხავს ჩვენ ვარაუდს, რომ ქართველები თავს დაესხნენ, ფაქტობრივად, ჯერ კიდევ ბანაკად მდგომ მტერს. თუმცა ჩვენ ერთი რამ გვაეჭვებს,

→

ამირან ჯმუხაძე

ბატონი გივი

ზურა თბილისში, დიდ საცხოვრებელ კორპუსში ცხოვრობს. ის ორმოც წელს მიტანებული კაცია, საშუალოზე მაღალი, ბეჭებში ოდნავ მოხრილი, შავი თმა და მეჩხერი წვერ-ულვაში აქვს, თითქოს ავადმყოფური იერი დაჰკრავს. თუმცა, ერთი შეხედვით, მშვენივრად გამოიყურება. ამ კორპუსში ზურა ცოლ-შვილით ცხოვრობს, ურთიერთობს მეზობლებთან. ზოგი მათგანი, მშრომელი და ერთგული ადამიანია, ზოგი პირიქით – ფუქსავატია. არიან თანამდებობის პირებიც, რომლებიც, როგორც ყოველთვის, უბრალო და უფულო მეზობლებთან ურთიერთობას ერიდებიან. არიან პოეტებიც და მეცნიერებიც, რომლებიც ყოველთვის ჩაფიქრებულნი და დაბნეულები დადიან და ზურაც თითოეულში რაღაც საინტერესოს და მიმზიდველს ხედავს. ათი წელია ამ კორპუსში ცხოვრობს, მაგრამ ამდენ მეზობლებიდან განსაკუთრებით კარგი დამოკიდებულება ბატონ გივისთან აქვს. ის სამოც წელს გადაცილებული კაცია, ჭაღარა თმა და ცოტა კეხიანი ცხვირი აქვს, თვალები კი თაფლისფერი. ბატონი გივი, რაც ზურას ახსოვს, სულ მხიარული და ოპტიმისტურ განწყობაზეა და რა გასაკვირია, რომ ის განსაკუთრებით პესიმისტ ადამიანებს ვერ იტანს.

ერთხელ, ერთ დღეს, როცა ეზოში საუბრობდნენ, ბატონმა გივიმ უთხრა: – ამ ქვეყანაზე ერთხელ ვიბადებით და ისიც მოვიწყინოთო? მე კი მაქვს უფლება, რომ ისე მოვიქცე, ჩემი სინდისი და ჭკუა როგორც მიკარნახებსო, – თანაც შეატყო, რომ ზურა ხასიათზე ვერ იყო, გაამხნევა და საუბარი განაგრძო – ეცადე, ცხოვრებამ არ დაგჩაგროს და არ გაგტეხოს. მიმნდობი და წყნარი ადამიანი ხარ და ჭკუის სწავლებად არ ჩამითვალოთ, მაგრამ ყველას ნუ ენდობი, გინდ ახლო მეგობარი იყოს, გინდ ნათესავი. გირჩევ მაინც მოერიდე მათთან სიახლოვეს, ეს, რა თქმა უნდა, პირადი აზრია. თუ დამიჯერებთ, ყველა ადამიანი, მით უმეტეს ქართველი, მსახიობური ნიჭით არის დაბადებული და ამ ცხოვრებაში ყველა თავის როლს თამაშობს, ზოგი კარგად, ზოგი – საშუალოდ, ზოგიც – ცუდად. ამიტომ, მოერიდე მათთან შენი გაჭირვების და პრობლემების გამჟღავნებას, იცოდე, როცა სიმართლეს იტყვი, უმეტესობას ეს სიამოვნებას მოჰგვრის. მე, მაგალითად, უკვე სამოც წელს გადავაბიჯე, მაგრამ, როგორც ხედავ, ვცდილობ სულ კარგ განწყობაზე ვიყო. მართალია, ცხოვრებამ ბევრი უსიამოვნება მომაყენა, მაგრამ მაინც კერკეტი კაკალი აღმოვჩნდი, თორემ, ამ ცხოვრების ორომტრიალს რომ აჰყვე და დარდებს გადაჰყვე, ნევროზს და ინფარქტს აიკიდებ. მე გეკითხებით, რატომ და რისთვის?! – ისედაც ხანმოკლეა წუთისოფელი. მით უმეტეს, შესანიშნავი ცოლ-შვილი გყავს და მათ მიხედე. მაგრამ ისიც გაითვალისწინე, რომ უკვე ოცდამეერთე საუკუნეა და ადამიანის ფსიქიკაც შეიცვალა. პირდაპირ გეტყვი, – ძირითადად, მაინც, შენს თავზე იფიქრე, რადგან შვილები როცა გაიზრდებიან, შენ მაგათთვის, ნელ-ნელა, უცხო შეიქმნები. თანამედროვე ახალგაზრდები ციცები და რაციონალურად მოაზროვნენი არიან.

გივიმ ლაპარაკი დაამთავრა და ზურასკენ მიმართა შეწუხებული მზერა, მაგრამ ზურამ თვალი აარიდა. ის კი მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაადო, მერე უეცრად შეტრიალდა და საპირისპირო მიმართულებით გზა განაგრძო. ზურამ კი გაიფიქრა: – ნეტა რა დარდებზე ლაპარაკობს ეს კაცი, ცხოვრებაში რაც კი საჭიროა, ყველაფერი აქვს, ბინები არ აკლია და ქონება, სამსახურიც მშვენიერი აქვს, ცოლ-შვილი კი გადასარევი და ნეტა რას ფილოსოფოსობსო!

ასე გადიოდა დრო...

ერთ მზიან დღეს, როცა ქალაქში ძალიან ცხელოდა, ზურამ გადაწყვიტა, კორპუსის გვერდით მდგომ „სუპერმარკეტში“ ჩასულიყო. როცა მიუახლოვდა, იქ, შესასვლელ კართან, ბატონი გივი შენიშნა. მას პომიდვრით სავსე პარკი ეჭირა ხელში. როცა გივი მისკენ შემოტრიალდა, ზურა გაშეშდა, საოცრად შეცვლილი ეჩვენა. გამწარებული და სევდიანი ჩანდა, ფერი დაკარგული, თვალებიც ჩაცვენილი ჰქონდა. გივის უხასიათოდ ყოფნა, ზურასთვის წარმოუდგენელი იყო. მხიარული და ოპტიმისტი კაცი, ასე სახეშეცვლილი და უგუნებოდ რატომ იყო, უკვირდა, აღბათ, ნაბახუსევზე არის და ამიტომაცაა ასეთ ხასიათზეო, აბა, სხვა რა უნდა ეფიქრა. გამარჯობის თქმა დააპირა, მაგრამ მან ისეთი გამომეტყველებით შეხედა, რომ ზურამ ხმა ვეღარ ამოიღო. გაკვირვებული გამომეტყველებით შევიდა „სუპერმარკეტში“, ნაყინი უყიდა ბავშვებს და სახლისკენ გაემართა. როცა ბატონი გივის ავტოფარეხს მიუახლოვდა (სადაც ხშირად მეზობლები საქეიფოდ იკრიბებოდნენ), შესასვლელი კარი ღია დახვდა, ვეღარ მოითმინა, ეტყობა, ცნობისმოყვარეობამ სძლია და, მისდა გასაკვირად, შიგნით შეიხედა. გივის ღვინით სავსე ჭიქა ეჭირა ხელში. ასე ცოტა ხანს იყო. შემდეგ კედელს მიაჩერდა და ხმადაბლა წარმოთქვა: – ეს რა მიყავი, შე ოხერო, როგორ დამღუპე! ეს ფრაზა რომ მოისმინა, ზურა მაშინვე ადგილს მოსწყდა და სადარბაზოსკენ გაეშურა. კიბეები სწრაფად აირბინა, შესასვლელი კარი გააღო და მაშინვე ლოჯიასკენ გაემართა. ფანჯარა გამოაღო და კვლავ გივის ავტოფარეხს დაუწყო ყურება. კარი კვლავ ღია იყო, ზურამ ფარდა გადასწია და გაიტრუნა, თავისი სუნთქვის ხმაც აღარ ესმოდა. ცოტა ხანში, გივი გამოვიდა, პირჯვარი გადაიწერა, კარი ბოქლომით დაკეტა და კვლავ დაფიქრებული გამომეტყველებით სადარბაზოსკენ გამოემართა. როცა გივი თვალს მიეფარა, ზურამ ფანჯარა დახურა და გაიფიქრა, – ალბათ, ძალიან ახლობელი მეგობარი გარდაეცვალა და ამის გამოა ასე გულდათუთქული რომ დადის, მაგრამ ზურა შინაგანად გრძნობდა, რომ აქ სხვა რამეში იყო საქმე, ის ხვდებოდა, რომ ბატონი გივი გაკვირვებული სახით უფრო დადიოდა, ვიდრე რაღაც განუზომელი ტკივილით და დარდით შეპყრობილი აზრით.

მეორე დღეს, ქალაქში კვლავ ჩამოცხა. ლურჯ, კამკამა ცაზე ღრუბლის პატარა ნაჭერიც არ ჩანდა. ზურამ „სუპერმარკეტში“ ჩაირბინა, რომ, სიცხისაგან შეწუხებულს, გამაგრილებელი სასმელები ეყიდა. სადარბაზოდან გასულს, ბატონი გივი შეეფეთა. ის კვლავ მოღუშული და მოწყენილი ჩანდა, ისინი ისე მიუახლოვდნენ ერთმანეთს, გივის სხვა გზა აღარ რჩებოდა, მისალმებაზე ძალაუნებურად უნდა ეპასუხა და მართლაც ასე მოხდა. მისალმებაზე გამარჯობით უპასუხა გივიმ. ზურამ ამით ისარგებლა და მაშინვე მიახალა: – ბატონო გივი, ბოდიშს გიხდით, რომ გაწუხებთ, მაგრამ ეს რომ არ გითხრათ, არ შემიძლია. გაკვირდებით და ამ ბოლო დროს ძალიან შეცვლილი მეჩვენებით, ვეღარ გცნობთ. სულ სევდიანი გამომეტყველებით დადიხართ. რა დაგემართათ? დახმარება ხომ არ გჭირდებათ? ეგება რამეში გამოგადგეთ,

ბატონი გივი ამის თქმაზე შეცბა. ცოტა შეყოვნდა, ჩაიცინა და წყნარად უპასუხა: – აბა, რა გითხრათ, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო? სხვა მეზობლებისგან განსხვავებით, ხომ იცით, შენთან არაფერს ვმალავ. როცა ეს წინადადება წარმოთქვა, ზურას მიუახლოვდა, ხელკავი გამოსდო, კარი გამოაღო და შიგნით შეუძღვა. სინათლე აანთო თუ არა, იქვე პატარა სკამზე ჩამოჯდა. ზურასაც სთხოვა, ჩამომჯდარიყო. ზურა ამის შემყურე გაშტერებული შედგა. მერე, თითქოს გამოფხიზლდა, სადაც მიუთითა, იქვე დაჯდა. საშინლად დაბნეული იყურებოდა. უნდოდა კიდევ მეტი დაკვირვებით მოევლო თვალი იქაურობისთვის, მაგრამ ამას როგორ გაბედავდა. ბატონი გივი კი, მაშინვე კედელზე გაკრულ მამაკაცის სურათს მიაშტერდა. მერე კი წყნარად და დაბალი ხმით დაიწყო ლაპარაკი:

– არაფერს განსაკუთრებულს არ გეტყვით. ხედავ, ამ კაცის სურათს, კედელზე რომ არის ჩამოკიდებული? აი, ამ კაცმა დამღუპა და დამაქცია. ხუთი დღის წინ გარდაიცვალა ეს ვაჟბატონი, ეს ძაღლისშვილი... და, მოულოდნელად, შეაგინა.

ზურა ამის შემხედვარე გაოგნდა და მაშინვე გაოცებულმა მიუგო:

– ბატონო გივი, ჩვენს ქვეყანაში მიცვალებულებს არ აგინებენ!

– იცი, რას გეტყვი, ბიძიკო? – მიუგო გივიმ. ვიცი, ჩვენში ეს რომ მიუღებელია, მაგრამ სხვა გზა დამიტოვეს? მოდი, ახლა, შენ ეს ჭიქა მომიჭახუნე და ჩვენი სამშობლო ვადღეგრძელოთ. ეს, ისე, ფორმალურად, ეს კაცი კი – ვითომ ჩემი მეგობარი, არ უნდა ვადღეგრძელოთ, მე არ მინდა. მორჩა და გათავდა!

ზურა, ამის შემხედვარე, გაოგნებული შეჰყურებდა, მაგრამ უხმოდ დაემორჩილა. ბოლოს კი ძალა მოიკრიბა და ბატონ გივის მიმართა:

– კი, მაგრამ, რა მოხდა ბატონო გივი. დავიბენი, ვერაფერი ვეღარ გავიგე.

– გეტყვით ყველაფერს. ნუ ხართ სულწასული. და დაბალი ხმით წამოიწყო: – მე და ეს კაცი ერთ უბანში ვცხოვრობდით, ერთად ვიზრდებოდით, მაგრამ, იმის მაგივრად, რომ ერთმანეთი გვყვარებოდა, პირიქით მოხდა, – სასტიკად გვძულდა ერთმანეთი, ამას კი ერთმანეთს არ ვაგრძნობინებდით. ცხოვრებაში კი რაც კარგი, ღირსეული გაგვიკეთებია და შეგვიქმნია, სულ ერთმანეთის ჯინაზე. მან როცა ლამაზი ცოლი მოიყვანა, მეც იგივე გავაკეთე. ახალი ბინა შეიძინა – მეც იმის ჯინაზე შევიძინე. მანქანა იყიდა და მეც შევიძინე. რასაც ის მოიმოქმედებდა, მეც იმავეს ვიმეორებდი. სწორედ ეს კაცი მაძლევდა ცხოვრების სტიმულს. ახლა კი, დავრჩი მარტო, ასე, ეულად. მისი სიკვდილით, ყველაფრისადმი ინტერესი დავკარგე. ახლა მე გეკითხებით, ამიერიდან ვის გავეჯიბრო? ვის დავუპირისპირდე?. ამიტომაც ჩემს თვალში ცხოვრებამ აზრი დაკარგა. რომ ამბობენ, სიყვარულია ყველაფრის მამოძრავებელი ძალა და ყველაფრის საწყისიო. ეს აზრი უკვე ჩემთვის მიუღებელია და უაზროდაც მეჩვენება. არ დაგიმალავთ და, მგონია, – შური და სიძულვილია ყველაფრის ტონის მიმცემი. ეს გრძნობები გვაძლევს ძალას, რომ რაღაც რეალურს მივაღწიოთ. მათი დამსახურებაა, რაც ადამიანს ძალას და რწმენას აძლევს! – დააბოლოვა თუ არა ეს სიტყვა, ჭიქა ღვინით შეავსო, პირთან მიიტანა, ბოლომდე გამოსცალა დაცარიელი სასმისი მაგიდაზე დადო, მერე სკამზე ჩამოჯდა. ცოტა ხანს ასე, გაუნძრევლად იჯდა. ბოლოს ზურას მიუბრუნდა: – ხანდახან, ყოვლად უღირსი ადამიანი, რომელსაც შენი არაფერი ესმის, სიძულვილის და შურის გარდა, რომელსაც შემთხვევა თუ მიეცემა სიცოცხლე გაგიმწაროს. ეს კაცი ადამიანმა შეიძლება ოცნებად და იდეალად დაისახოს და, თანაც, რაც ყველაზე საკვირველია, შეიყვაროს კიდეც. თუმცა, ეს გრძნობა საიდან მოდის და რატომ ხდება ეს, არავინ იცის. ამიტომ, გთხოვთ, ამ საქციელის გამო, არ გამამტყუნოთ. მეც ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ვარ და ყოველგვარი ადამიანური სისუსტე მეპატიება. – თქვა გივიმ, თავი დახარა და გაირინდა. ბოლოს თავი ასწია და თვალს არ აშორებდა კედელზე ჩამოკიდებულ სურათს...

ზურას კი მასთან საუბრის გაგრძელება აღარ სურდა, ბოდიში მოუხადა და ავტოფარეხიდან გამოვიდა.

გარეთ ისევ ცხელოდა...

ოდესღაც ბრძოლა

– რამდენად შესაძლებელია, რომ უკვე საბრძოლოდ განლაგებულ მუსლიმებს თავის რიგებში შეეშვათ მოწინააღმდეგის ორასი მებრძოლი, თუნდაც ყივჩაღი? ვფიქრობთ, უფრო სავარაუდოა, რომ ეს ორასი „მოღალატე“ შეეშვათ არა უკვე საბრძოლო წყობა მიღებულებს, არამედ ჯერ კიდევ ბანაკად მყოფთ. საინტერესოა დავით მეფის მემატიანის სიტყვებიც: ***„ზეგარდამოჴთა შენ ევნითა პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და სივლტოლად მიდრიკნა იგინი“.*** შესაძლოა არასწორია სიტყვა „ბანაკის“ ასე პირდაპირი მნიშვნელობით გაგება, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ ანონიმმა ქართველმა ისტორიკოსმა კარგად უწყის ყოველივე და ამ შემთხვევაში სწორედ ბანაკი უნდა ვიგულისხმოთ (ცხადია, ჩნდება მრავალი კითხვა. მაგ. როგორ მიუახლოვდნენ ქართველები მტრის ბანაკს, სად იყვნენ მუსლიმთა გუშაგები და ა.შ. თუმცა მათზე პასუხების გაცემაც შესაძლოა. მაგ. ქართველები შესატევ პოზიციებზე ღამით გავიდნენ, გუშაგები უჩუმრად მოკლეს და სხვ. ყოველივე ეს უკვე მხოლოდ ვარაუდის სფეროს განეკუთვნება და მათზე არ შევჩერდებით).

არააგრესიულად განწყობილი და არასაბრძოლოდ გამზადებული ორასი მეომრის ბანაკის ტერიტორაზე შეშვებაში სელჩუკებმა, სავარაუდოდ, სახიფათო ვერაფერი დაინახეს. ცხადია, მათ მეთაურებამდე არავინ მიუშვებდა, თუმცა ეს, ალბათ, არც იყო მათი დავალება. მთავარი იყო მოწინააღმდეგის რიგებში შესულთ ბრძოლა დაეწყოთ და არეულობა გამოეწვიათ. ვფიქრობთ, მცდარია **გ.გვინჩიძის** მოსაზრება, რომ სელჩუკები ამ 200 მეომარს დაედევნენ და ამ გზით დავით აღმაშენებელმა მოწინააღმდეგე შეიტყუა. სრულიად მართებულია **კ.კაციტაძის** მსჯელობა: ***„ჩანს დავითის ჩანაფიქრია, შექმნას ქაოსი და იმ პირობებში იმოქმედოს რისკის სტრატეგიის პრინციპების გათვალისწინებით ... მას უკვე აქვს უპირატესობა, რომელიც რისკის სტრატეგიას მოეთხოვება: აქვს უკეთ ორგანიზებული სტრატეგიული დონის დაზვერვა. მან მეტი იცის მოწინააღმდეგეზე, ვიდრე მოწინააღმდეგემ მასზე... შესაბამისად, მოწინააღმდეგე გაურკვევლობის უფრო მაღალ ხარისხშია, ვიდრე ქართული მხარე. დავითს უფრო სწრაფად შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება. ერთადერთი, რაც რჩება სასწაულის სტრატეგიის რეალიზებისთვის, საჭიროა მოხდეს „სისტემა ბრძოლის“ მდგრადობის მოშლა, ანუ ქაოსის შექმნა და ამ ქაოსში მოწინააღმდეგეზე ადექვატური მოქმედება. როგორ მივაღწიოთ ამას? აქ იწყება ყველაზე საინტერესო მომენტი დიდგორის ისტორიაში: დავითი რთავს გროსტაქტიკას. 200 მხედარი ქართველებს გამოეყოფა და მოწინააღმდეგისკენ მიიწევს. მუსულმანებს ისინი მათ მხარეზე გადასულები ჰგონიათ და დაუბრკოლებლად ატარებენ თავიანთ რიგებში. აქ ისინი მოულოდნელად იღებენ ხმლებს და მტრის ჩეხვას იწყებენ. მუსულმანურ ლაშქარში ქაოსი იწყება, მისი საინფორმაციო ქსელები იტვირთება და ვერც მხედართმთავრები და ვერც მხედრები ვერ იგებენ, რა ხდება. დავითი ფრონტიდან და დემეტრე ფლანგიდან შეტევით მუსულმანთა განადგურებას ასრულებენ. ორასმა მხედარმა გამოიწვია სასწაულის სტრატეგიისთვის დამახასიათებელი ეფექტი: სუბიექტურმა ფაქტორებმა პრეველირება დაიწყო ობიექტურზე. სელჯუკებმა ბრძოლის დაწყებისთანავე, ჩათვალეს რომ დამარცხდნენ და ამის შემდეგ ბრძოლა რეალურადაც წააგეს.“***



ორასი უმამაცესი ქართველი მამულიშვილის საარაკო თავდადებამ თავისი შედეგი მოიტანა და მტრის ჯარში არეულობა დაიწყო. რამდენი ხანი შეიძლება ებრძოლათ მტრის გარემოცვაში მყოფ ქართველ მეომრებს? ძნელი სათქმელია. ალბათ, 15-20 წუთი.

ვფიქრობთ, რომ, როდესაც ორასი მებრძოლი მტერს მიუახლოვდა, ამ დროს ქართველთა ჯარის ერთი ნაწილი, თავად მეფის სარდლობით, ილ-ღაზისა და დუბაისის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ ჯარს, სადღაც 1,5-2 კილომეტრის მანძილზე იქნებოდა მიახლოებული. ის მცირე დრო, რომლის განმავლობაშიც მოწინააღმდეგის რიგებში შეღწეული ორასი ქართველი იბრძოდა, სრულიად საკმარისი იქნებოდა დავით აღმაშენებლის მხედრობისათვის, რათა მტერს მიახლოებოდა და შეტევაზე გადასულიყო.

მოწინააღმდეგის ჯარი, რომელიც იმ მომენტში საბრძოლოდ არ იყო გამზადებული, დაიბნა და აირია. ქართველთა შეტევას ვერ გაუძლო და გაიქცა. საინტერესოა ალ-ფარიკის ცნობა, რომ დავით მეფემ მოწინააღმდეგეს დასავლეთიდან შეუტია, ანუ არა თბილისის მხრიდან, აღმოსავლეთიდან, არამედ საპირისპირო მიმართულებიდან. შესაძლოა ესეც სამხედრო ხერხი იყო მოულოდნელობის ეფექტის მისაღწევად. ილ-ღაზი დასავლეთიდან შემოტევას ნაკლებად ივარაუდებდა, რადგან დიდგორის დასავლეთით მანგლისია და ამ მხარეს მუსლიმთა ძალები იყო დაბანაკებული. თანაც, უფრო მოსალოდნელი იყო, რომ ქართველთა მეფე კოალიციურ ლაშქარს თბილისისკენ მიმავალ გზას გადაუჭრიდა და ქალაქამდე მისვლის საშუალებას არ მიცემდა.

სავარაუდოდ, იმ დროს, როდესაც დავით მეფე ილ-ღაზისა და დუბაისის 30.000-იან ლაშქარს ებრძოდა, დემეტრე უფლისწული ქართველთა მხედრობის მეორე ნაწილთან ერთად, მთის ფერდობებიდან ქვემოთ დაეშვა და მუსლიმთა კოალიციური ჯარის დარჩენილ ნაწილებს თავს დაესხა. თუ დემეტრე თავის მხედრებს კავთურას ხეობით აიყვანდა, მაშინ ის მანგლისის სანახებში მდგარ მტერს ზურგში მოექცეოდა. დემეტრე უფლისწულის თავდასხმამ მუსლიმთა ლაშქრის ამ ნაწილს, დიდგორში მდგარი მეწინავე ჯარის მიშველების საშუალება არ მისცა. ეგებ ამიტომაც წერს **ალ-ჯაუზი**, რომ ილ-ღაზსა და დუბაისს არავინ დაეხმარა (სხვა მხარეების ლაშქართაგან არავინ მოსულიყოო). ქართველთა მთავრი დარტყმა ცხადია მტრის ლაშქრის ყველაზე ძლიერ და მნიშვნელოვან ნაწილზე განხორციელდა. ასეთი სავარაუდოდ ილ-ღაზისა და დუბაისის ჯარი იყო. ბრძოლის ბედი სწორედ დიდგორში წყდებოდა.

შექმნილ ვითარებაში, არც ილ-ღაზს და არც კოალიციური ლაშქრის სხვა სარდლებს ჯარის მართვა აღარ შეეძლოთ. უმეთაუროდ დარჩენილ, არეულ-დარეულ და პანიკაში მყოფ მუსლიმ მეომრებს გაქცევის გარდა აღარაფერი დარჩენოდათ. ვიწრო ხეობებში, უწესრიგოდ გაქცეულ მეომართა შორის თავისუფლათ წარმოიქმნებოდა ჭყლეტა, როგორც ამას იბნ ალ-ასირი წერს. დავითის ისტორიკოსის სიტყვებით ბრძოლა სამი საათი გაგრძელდა. საქართველოს მხედრობამ დავით აღმშენებლის წინამძღოლობით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

დიდი იყო მსხვერპლი მუსლიმთა კოალიციურ ლაშქარში, როგორც ამას ადასტურებენ **მათეოს ურჰაეცი, ალ-ფარიკი, იბნ ალ-ასირი, ქემლ ად-დინი. იბნ ალ-ასირის** თანახმად, ტყვედ ჩავარდა 4.000 კაცი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებიდან აშკარაა, რომ ქართველებმა დიდი ალაფი იგდეს ხელთ, ***„ხოლო სპანი ჩუენნი და უფროსად ყოველი სამეფო აღიღესო ოქროთი და ვეცხლითა, არაბულითა ცხენებითა, ასურულითა ჯორებითა, კარვებითა, სრა-ფარდაგებითა, სხჳთა უცხოთა ჭურჭლებითა საბრძოლელთა თჳთო-სახეთათა, ქოსთა და ფილაკავანთათა, სასმურთა ტურფათა და სანადიმოთათა, საბანელთა და სამზარეულოთათა, რაოდენმან ქართამან და მელანმან დაიტიოს აღწერად! და რამეთუ გლეხთა იხილემცა, ოდეს არაბთა მეფენი მოჰყვანდეს ტყუედ. და სხუათა გოლიათთათჳს რადღა რამცა გჳნდოდა თქმად“.***

გოტიეს თანახმად, ქართველები სამი დღის მანძილზე მისდევდნენ უკუქცეულ მტერს. **იბნ ალ-ასირის** მიხედვით, დევნა ათი ფარსანგის მანძილზე გაგრძელდა. **მათეოს ურჰაეცი** კი წერს, რომ გამარჯვებულები რვა დღის მანძილზე მისდევდნენ გაქცეულთ ანისის საზღვრამდე. არ არის გამორიცხული, რომ მუსლიმთა კოალიციური ლაშქრის გადარჩენილი მეომრები რამდენიმე მიმართულებით გაიქცნენ. დევნას დავით მეფის მსუბუქი კავალერია ახორციელებდა, რომელთა შორისაც შესაძლოა ყივჩაყი მეომრები ჭარბობდნენ.

დიდგორის ბრძოლაში ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვება, ცხადია, განაპირობა დავით აღმაშენებლის გენიალურმა მხედართმთავრულმა ნიჭმა და მისი მებრძოლების საოცარმა თავგანწირვამ. თუმცა არის კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მომენტიც – როგორც **კ.კაციტაძე** წერს, **„დავითის წარმატებები, გარდა სამხედრო ტაქტიკისა, ადამიანის მენტალობის, ფსიქოლოგიის მეტად ფაქიზ ცოდნას ემყარებოდა. ცოდნას, რომელიც ერთნაირად გამოჩნდა დიდგორშიც და „გალობანი სინანულისაიშიც“.**

ავთანდილ ივანიძე – 75

ჭაბუკური შეშფოთების პოეტი



ვინც ლექსი დაწერა, ყველას თავისი თავი პოეტი ჰგონია, მაგრამ არიან ნაღდი, ჭეშმარიტი პოეტები, რომლებიც წერენ... წერენ და სამზეოზე იშვიათად ჩნდებიან. ხშირად ისეც ხდება, – უნდა აიძულო, რომ თავისი ნაჯაფნაღვაწი, მალამოსავით გულს მოსაცხები ლექსები, საქვეყნოდ გამოიტანოს და, საზოგადოების კუთვნილება გახადოს. შემოქმედის ნებისმიერი ნააზრევი კი, დღიდან მისი გამოქვეყნებისა, უკვე ხალხის საკუთრება ხდება, რამეთუ იგი არა ერთი პიროვნებისთვის, არამედ, ზოგადად, ფართო მასებისთვის იქმნება.

ძირძველი მესხი მელექსე ავთანდილ ივანიძე დიდად ნიჭიერი, სრულიად უპრეტენზიო შემოქმედია, რომელსაც, ზოგიერთის მსგავსად, თავის გამოჩენა არასოდეს უცდია, მაგრამ მისი პოეზია ის პოეზიაა, რომელსაც ქართველი მკითხველი უკეთესად უნდა იცნობდეს, მაგრამ „ვინ ვარგა ჩვენში მსაჯულად...“, რომ შესაფერისად იქნას დაფასებული ასეთი ადამიანები, რომელთაც ძალუძთ უანგარო მსახურება გაუწიონ ერს, ქვეყანას. პოეტის დანიშნულებაც ხომ ესაა!

ავთანდილ ივანიძე იუბილარი პოეტია, მას 75 წელი შეუსრულდა და ისევ ჭაბუკური შემართებით ასო-ასო ალაგებს სიტყვათა მარგალიტებს და ამ ძნელბედობის ჟამს, გვაიმედებს, რომ – მრავალ ჭირ-ვარამ გამოვლილი რუსთაველისა და დიდი დავითის მშობელი ერი კვლავაც ქედმოუხრელად გადაიტანს იმ განსაცდელს, რომელიც მაღალმა ღმერთმა გამოსაცდელად მოგვივლინა. სწორედ ბატონ ავთანდილისნაირი მამულიშვილები მართალი სიტყვით მოთმინებასა და გამძლეობას გვმატებენ, მომავლის ნათელ გზაზე უვნებლად რომ გავიდეთ.

ჩვენო დიდო მეგობარო, 75 წელი რაა შენთვის. მაგ ალალ გულში ხომ ისევ ჭაბუკური სისხლი სჩქეფს, რომელიც მძაფრ ენერგიას გამოყოფს, რათა კვლავაც შეგაძლებინოს ბევრი ხელიხელსაგოგმანები სტრიქონი რომ შექმნა, როგორიც რუსთაველის მიწის შვილს შეეფერება. შენც ხომ „ლექსი თვითონ გწერს“! რომელიც გეწერება თაყვანისმცემელთა გულის გასახარად!

ლექსის წერის ხალისი ნუ მოგკლებოდეს, ჩვენო ავთანდილ და ღმერთმა შემოქმედებით სარბიელზე კიდევ ბევრი შეგაძლებინოს. უპირველესად კი ჯანმრთელობას და დღეგრძელობას გისურვებთ!

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“
რედაქცია,
საქართველოს მწერალთა კავშირის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ორგანიზაცია

ავთანდილ ივანიძე

ჩემი ასაკი

რაო?! სამოცდათხუთმეტი?
პოეტს ასიც არ ეყოფა –
სიცოცხლე გაუნაწილოს
მოყვასს ... სატრფოს და მეგობარს.

ბევრს თავი არ აქვს, დალოცვილს,
ედგას სინორჩის თავდებად, –
ჭაბუკს სამოცდათხუთმეტის
ასოციც მეცოტავება.

მაგრამ, ვით თევზი ვერ გაძლებს
უწყლოდ, განგების უფლებით, –
სამშობლოდან შორს, მგონია,
ერთ დღეში დავიღუპები.

კოვიდ–ეპიდემია

ბევრი გვახსოვს,
როს ვიდოდით
ჭირთა გზებით, ვიწროთი.
სულ, მარადჟამს,
სულ, მარადჟამს,
სიცოცხლისთვის ვიბრძოდით.

გვენთო ომის
ქარ-ცეცხლი და
თავდადებაც ვიცოდით.
სულ, მარადჟამს,
სულ, მარადჟამს,
სამშობლოსთვის ვიბრძოდით.

სიყვარულის
ალიც გვწვავდა,
ტრფობის ცეცხლში ვიწვოდით;
სატრფოს გულის
მოსაგებად
გულანთებით ვიბრძოდით ...

ახლა კიდევ,
ეს ვირუსი, –
კოვიდ-ეპიდემია.
რა ცოდვა გვაქვს, –
ცუდი სხვისთვის
გულში არა გვდებია.

პიკერი!

ნურც შენს ნაგრამს
ნუ დატოვებ აუცრელს.
ბევრჯერ დავშვრით,
ბევრჯერ, მაგრამ,
როგორც სხვა დროს, –
ჩვენ ამ ჭირსაც გავუძლებთ!

***

რადგან მოვდივარ მოწიწებით, შენთან
ვედრებით,
რადგან სხეული ვერ შებოჭეს მინის
კედლებმა, –
ისე მიყვარხარ, წუთიერი ეს შეხვედრები
რომ არავისგან არასოდეს დამეყვედრება.

გათბი, ამ გულის ღველფი იყოს შენი კერია,
გულში პოულობს სიყვარული რადგან
სამალავს...
ირგვლივ მე ვხედავ, რომ სიცივე და ნამქერია
და ვერ დაგტოვებ მხოლოდ შენი თავის ამარა.

***

ლოცვა, ვედრება, სიმშვიდეა ისევ ჩვენივე,
რომ ვეძიებდეთ ყველაფერში ნაზს და
მშვენიერს.
ნუ მივაკუთვნებთ არსებობას უცხო მირაჟებს,
ჩვენი სიცოცხლე ვედრებაა უფლის წინაშე.

უსმინე მშობელს!

სიმშვიდე არის ადამიანის
ქცევის და ხიბლის დამამშვენები.
ნაცვლად ნგრევის და ნაცვლად ზიანის, –
მამულს სჭირდება ხელი მშენებლის.

დასაბამიდან კაცობრიობას
ქმნა სიკეთისა ლოცვად უცვნია,
ვაი მას, ვისაც განსაცდელის ჟამს
მოძმის გატანა არ შეუძლია.

უსმინე მშობელს, უსმინე ბაბუს,
კვლავ ბევრს ისწავლი მათგან, ყმაწვილო!..
ისე არ უნდა მოექცე მამულს,
ავის მსურველი რომ გააცინო.

სიბრძნე ძევს ხშირად კაცის დუმილში,
არ გახდე ავი სიტყვის საკბილო, –
რომ შენს მოკეთეს და მამულიშვილს
ქვა ესროლო და დედა აგინო.

მკერდით დაიცავ, რომ არ გათელონ,
აგურს აგურზე დადებ და როცა,
კვლავ აღაშენებ შენს საქართველოს –
ბრძენი ხალხი და ღმერთი დაგლოცავს!

***

უაზრობაა, ვამბობ სწორედაც,
ამ წვრილმანებზე ატყდეს ხმაური, –
მერე რა?! თუკი მომეწონე და
შეგხედე, გითხარ ქათინაური.

აქ ყველაფერი მშვენიერია:
ზურმუხტის ველი და მწვერვალები,
აქ ყველა ქალი არის ფერია,
ცისკრისფერი თუ შავი თვალებით.

დედას, დას, სატრფოს, რომ უგალობოს,
ამ ჩვევას კაცის გულში ვერ მოშლი.
ძეგლს, ძეგლს უდგამენ ქართველ დედას და
ქალს ადიდებენ საქართველოში.

უაზრობაა, ვამბობ სწორედაც,
ამ წვრილმანებზე ატყდეს ხმაური, –
მერე რა?! თუკი მომეწონე და
შეგხედე, გითხარ ქათინაური.

როცა ვისვენებ

ახლა მარტო ვარ, მარტოობაში
ტვინი ფიქრებით გადავისერე.
უქმად ყოფნა მღლის, ვამბობ, ისევე ...
მაშინ ვიღლები, როცა ვისვენებ.

ვიგრძენ, რომ სევდა და სიმარტოვე
გამაწამებდა, უფრო დამღლიდა,
ნავსაყუდელი მსწრაფლ მივატოვე
და ხალხის ზღვაში გავედ სახლიდან.

ისეთი დროა

ისეთი დროა: –
კაცი ხარ,
თუ გაქვს ფული და ქონება.
ისეთი დროა, –
რას იზამ ...
კუჭმა აჯობა გონებას.

არ კითხულობენ, –
სულ განზე
დარჩა წიგნი და გაზეთი.
ამიტომ უჭირს
გონებას;
რა ვქნათ, დრო დადგა ასეთი.

ჩვენ ისევ
დავუბრუნდებით
წიგნს, გაზეთს,
ცოდნის მანეჟებს,
რადგან გონება ვერ გაძლებს
დიდიხნით საზრდოს გარეშე.

როლებს გვიცვლიან

ხარ მშვენიერი, ვითარც ღვთაება,
კვლავ ახალგაზრდულ ფიქრებს გამიჩენ.
სიცოცხლის ძალას და უკვდავებას
კაცს სიყვარულის ძალა ანიჭებს.

ფუჭია, თუ რამ მიზანს ვისახავ,
ჩემი დღეები მიდის ტაატით, –
შენ ჯერ სრულიად ახალგაზრდა ხარ,
მე გადავლახე სამოცდაათი.

რა იქნებოდა, არ ყოფილიყავ
დროით, ო! წლებით დანატორები, –
რამდენს ვეტყოდით ერთურთს საამოს,
გულწრფელები და თანატოლები.

ახალგაზრდობა მოდის, ამრავლოს
ღმერთმა, ჩვენ წავალთ ... რა შეგვიძლია,
და რომ სამყარომ არ იზარალოს –
წელიწადები როლებს გვიცვლიან.

***

როცა იმედი აღარ გაქვს ხვალის
და მომავალშიც თეთრი ნისლია,
როცა დაკარგავ სიცოცხლის ხალისს, –
ეს დასასრულის დასაწყისია,

თუ მეგობრებთან ახლოს იქნები
და არა შენში გამოკეტილი,
თუ გწამს უფლის და წრფელი ფიქრების, –
ბოლო ყოველთვის არის კეთილი.

მშვიდად ვართ

ვერ ვცხოვრობთ ისე, როგორც რომ
კაცთა ცხოვრების წესია;
ომია, აბა, რა არის, –
ან ომზე უარესია:

გვდევნიან ჩვენ იმ მიწიდან,
რაც უფლის ნებით გვრგებია,
მაინც მშვიდად ვართ, როდესაც
ცხვრებივით გვერეკებიან.

სხვა თემას ძნელად ვპოულობ, –
ლექსი დავწერო რაღაზე ...
მშვიდად ვართ, როცა გვტაცებენ
სამაჩაბლოს და აფხაზეთს.

პოლიტიკოსებს

სულ – „პარტია, პარტია“...
სულ – „თავო და თავო“...
ხალხს, ქვეყანას მიხედეთ,
ნეტავ რაზე დაობთ?!

დამშვიდდი ახლა

იმედით უნდა შეხედო ცისკარს,
ვერაფერს შეცვლის თვალები სველი,
ის გაიმარჯვებს ხვალინდელ დღისგან,
ვინც რომ უკეთეს მომავალს ელის.

ნეტავ, რამდენ ხანს გაუძლებს ციმციმს
გულში იმედის პატარა ცეცხლი,
გაივლის დრო და ეს კარგად ვიცი –
სიხარულს ისევ წუხილი შეცვლის.

დამშვიდდი ახლა, აღაპყრე მაღლა
მზერა, უფალი არის კეთილი ...
რაც მოხდა უკვე, ან ხდება ახლა,
წინასწარ არის გადაწყვეტი...

***

რომ გაარღვიო დუმილის რკალი
და არ გიმტყუნოს პოეტის გეშმა, –
უნდა გიყვარდეს ისეთი ქალი,
გადაგავიწყებს ვინც დარდს და ეშმაკს ...

შენ სიყვარული გჭირდება, როგორც
ახალ ფეხადგმულ ბავშვს უნდა ძიძა, –
ცხოვრების გზაა სულ ოკრო - ბოკრო,
არ დაენარცხო რომ სადმე მიწას.

საწუხარის რომ ვერ ჰპოვებ მიზეზს, –
ყველას წინაშე ხარკს ლექსით იხდი
და სიცოცხლესაც უყურებ ისე,
როგორც მოკვდავი უყურებს სიკვდილს.

***

განსაცდელებს ნუ შეხვდები ღელვით,
გჯეროდეს რომ შეუძლებელს შეძლებ, –
რწმენით უნდა გაუწოდო ხელი
ვინც მარტოა და მეგობარს ეძებს.

თუ ცდუნებას ვერ გაუძელ ერთხელ,
ნურასოდეს ნუ დაარქმევ ღალატს...
უნდა ისე გააცილო ეს დღე,
რომ სიცოცხლე გიხაროდეს ხვალაც.

***

ეს სტრიქონები მედგას თავდებად,
შენზე ვფიქრობდი ... და ვერ მოგძებნე.
ვიცი, სიცოცხლე მაშინ მთავრდება
ფრთა ეკეცება როცა ოცნებებს.

ვწერ ახლა, თქმა ვერ გამიბედია:
მთელი ცხოვრება მენატრებოდი ...
და სიცოცხლეზე უფრო მეტია,
რაც სიყვარულით გულში შემოდის.

პაპარას

დედის გარდერობს
ხსნიდი მიტომაც,
სულ პაწაწინას გსურდა დიდობა.

სინამდვილეში,
არა – არაკად
გსურდა თოჯინებს ელაპარაკათ.

გადაგეწურა
როცა იმედი, –
მათ მაგივრადაც შენ ტიტინებდი.

ვასილ კოპტონაშვილის მოგონებები ვაჟა-ფშაველაზე

2021 წელი გენიალური ქართველი მწერლის ვაჟა-ფშაველას დაბადების 160 და ღირსეული მამულიშვილის, ცნობილი მესხი განმანათლებლის, ვასილ კოპტონაშვილის დაბადების 155-ე საიუბილეო წელია. მათ ურთულეს და საინტერესო ეპოქაში – XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მოუნიათ ცხოვრება. რაც დრო გადის კიდევ უფრო დიდ ინტერესს იწვევს მათი ურთიერთობების შესწავლა.

ვასილ კოპტონაშვილმა თავისი მრავალმხრივი საქმიანობით გააგრძელა სამცხე-ჯავახეთში მესხ განმანათლებელთა უფროსი თაობის მიერ დაწყებული ეროვნული საქმე. მის მდიდარ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფოლკლორისტულ საქმიანობას, რასაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ეწეოდა და დიდი სამსახური გაუწია ქართულ ფოლკლორს.



ვასილ კოპტონაშვილი

ილია მაისურაძე მას ასახელებდა არამარტო ეთნოგრაფიული მასალების შემკრებად, არამედ მესხეთ-ჯავახეთის ცხოვრებიდან ეთნოგრაფიული წერილების ავტორადაც. იგი სისტემატურად აქვეყნებდა სტატიებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, იყო სახალხო სკოლის მასწავლებელი.

ვასილ კოპტონაშვილის მემკვიდრეობაში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და თანამედროვეობისათვის ძალზედ ღირებულია მისი მოგონებები ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეებზე. თავისი ცხოვრების განმავლობაში მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა ჰქონდა ბევრ ღირსეულ პიროვნებასთან. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ახლობლობა და მეგობრობა დიდ მოაზროვნესთან – **ვაჟა-ფშაველასთან,** ცნობილ საზოგადო მოღვაწესთან – **ილია ალხაზიშვილთან,** რაც მოგვიანებით მოგონებების სახით დაგვიტოვა და უდიდესი სამსახური გაუწია შთამომავლობას, რამდენადაც ამ პიროვნებებზე მის მოგონებებში ბევრი ისეთი ცნობაა დაცული, რასაც სხვაგან ვერ ამოვიკითხავთ. სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულ მის არქივში ინახება ავტორის ვრცელი მოგონებები.

2018 წელს, ვასილ კოპტონაშვილის შვილიშვილის ქალბატონ **ანგელინა (დოდო) კოპტონაშვილის** მეცენატობით, გამოვეცით მონოგრაფია – ვასილ კოპტონაშვილი. იმ დროისათვის, სამწუხაროდ, ვერ მივაკვლიეთ მესხი მამულიშვილის მოგონებას გენიოსი პოეტის ვაჟა-ფშაველას შესახებ. მხოლოდ მცირედ ინფორმაციას ვფლობდით. სულ ცოტა ხნის წინ, ქალბატონმა **ანგელინა კოპტონაშვილმა** მოიძია პოეტის შესახებ პაპის ვრცელი მოგონება. კერძოდ, **ვენერა კოპტონაშვილის** (ვასილ კოპტონაშვილის ძმისშვილი) მიერ დედნიდან – „მოგონებანი ვაჟა-ფშაველას შესახებ“ – გადაწერილი ტექსტის სრული ვარიანტი. ქალბატონ ვენერას, ჯერ კიდევ, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, მასალის გამოქვეყნება სურდა გაზეთში – „ლიტერატურული საქართველო“, მაგრამ ვერ მოხერხდა. ამდენად, მკითხველი წინამდებარე წერილით პირველად გაეცნობა საინტერესო მასალას ვაჟა-ფშაველას შესახებ.

დღეს რომ ჩვენ ხელთ გვაქვს ვასილ კოპტონაშვილის „მოგონებები ვაჟა-ფშაველას შესახებ“ – ეს ერთგვარად არის დამსახურება ღირსეული თანამემამულის, ცნობილი მეცნიერისა და მოღვაწის ილია მაისურაძისა. იგი 1955 წელს ვასილ კოპტონაშვილს სწერდა: **„სახელოვან პოეტთან – ვაჟა ფშაველასთან თქვენი მეგობრული ურთიერთობის ფაქტით ძლიერ დაინტერესდა ერთი ჩემი მეგობარი – ლიტერატურის მკვლევარი შალვა გოზალიშვილი. ამ საკითხზე თუ ვრცელ მოგონებას დაგვიწერთ, ძლიერ კარგი იქნება“** *(ს.ჯ.ი.მ.ი.მ.ფ. N277, ილია მაისურაძის წერილი ვასილ კოპტონაშვილისადმი).* ვენერა კოპტონაშვილის გადმოცემით, ვაჟა-ფშაველას შესახებ მოგონებების დაწერის თხოვნით ასევე მიუმართავს თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს **ილო ბეჟანიშვილსაც,** 1957 წლის 29 ნოემბერს. მისივე ცნობით, ვასილ კოპტონაშვილის მასალებში ინახება ილო ბეჟანიშვილის მეორე წერილიც, იმავე წლის 25 დეკემბრით დათარიღებული, სადაც მადლობას უხდის ძვირფასი დოკუმენტის მოკლე დროში მიწოდებისათვის. ამდენად, სიცოცხლის ბოლო წლებში მესხ მოღვაწეს ერთდროულად ორმა პიროვნებამ სთხოვა ვაჟაზე მოგონებების დაწერა. მას სიცოცხლის ბოლო წლებში მოუნია საინტერესო მოგონებების გახსენება და დაწერა კიდეც თავის ძვირფას მეგობარზე და „ბუნების მგოსან“ პოეტზე – ვაჟა-ფშაველაზე.



როგორც ვასილ კოპტონაშვილის ბიოგრაფიიდან ცნობილია, იგი 1884 წელს დაინიშნა თიანეთის მაზრის ტოლაანთსოფლის სკოლაში მასწავლებლად, ნაცვლად ვაჟა-ფშაველასი. რამდენადაც ვაჟა ინსპექტორმა დაითხოვა ადგილობრივი მღვდლის საჩივრის საფუძველზე. **„მაშინ სულის მამებს დიდი გავლენა ჰქონდათ და საქმეს, როგორც მოიწადინებდნენ, ისრე დააბოლოვებდნენ“,** – წერდა ვასილი. სწორედ იმ პერიოდში გაეცნო ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას. იგი აღნიშნავდა, რომ **„ვაჟა-ფშაველა თუმცა თანამშრომელი იყო გაზეთ „ივერიისა“, მაგრამ გამუდმებით თბილისში არ სცხოვრობდა, არამედ ხან მასწავლებლად მსახურობდა სოფელ დიდთონეთში, ხან თავის სამშობლო ჩარგალში, ხან თიანეთის მაზრაში და იქიდან აწვდიდა „ივერიას“ თავის ნაწერებს, რომლებსაც დიდის აღტაცებით ვკითხულობდით. ხევსურებს და ფშაველებს დიდი ხალისი ჰქონდათ ვაჟას ნაწერი ლექსების, პოემების და მოთხრობების კითხვისა, ვინაიდან ვაჟა-ფშაველა მათი სისხლ-ხორცი, ახლო ნათესავი და დაახლოებული კაცი იყო“** *(ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. N1978, ვ. კოპტონაშვილი, ავტობიოგრაფია).*

ვასილ კოპტონაშვილი მიუთითებს, რომ ვაჟა გაიცნო 1882 წელს თბილისში, როცა სწავლობდა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ უწყების სკოლების ინსპექტორთან **ნ. ლიხაჩოვთან.** სწორედ მან დანიშნა ვაჟა თიანეთის მაზრის ტოლაანთსოფლის სკოლაში მასწავლებლად. ვასილი იხსენებს: **„ვაჟა-ფშაველამ ერთხელ (1882 წელს) მიიღო ტოლაანთ-სოფლის სკოლისათვის საჭირო სასწავლო ნივთები ინსპექტორ ლიხაჩოვისაგან. ეს ნივთები ისე მძიმე იყო, რომ ერთი კაცი ვერ მოერეოდა წაღებას. მე, იქვე მდგომი, მივეშველე რაზიკაშვილს და იქვე ახლო, რიყის ქუჩაზე, ვინმე რაჭველი თეოსა კალაძის დუქანში მივუტანე... ვაჟა-ფშაველამ ჯიბიდან ამოიღო ერთი მანეთი და საგამრჯელო შემომაძლია, მაგრამ მე სრული უარი ვუთხარი, რისთვისაც დიდად გაუხარდა.“**

ვასილ კოპტონაშვილი თავის მოგონებაში ასევე დეტალურად აღწერს ახალგაზრდა ვაჟას გარეგნობას: **„სრული ახალგაზრდობა, ახოვნება, ტანწერწეტობა, ბადრი პირისახე, ორივე ლოყების ძვლების სიმაღლე, ფართე, ცოცხალი თვალების გამოყურება, ნაზი-ტკბილი-დინჯი ხმა, პირი-სახეზედ ახლად ამოსული წვერ-ულვაში ჩემზედ კეთილ შთაბეჭდილებას სტოვებდა“.**

ვასილ კოპტონაშვილისა და ვაჟა-ფშაველას ურთიერთობა-თანამშრომლობა შემდგომ გაგრძელდა პოეტის მშობლიურ მხარეში. 1883 წელს ინსპექტორმა ლიხაჩოვმა იგი დანიშნა ტოლაანთ-სოფლის სკოლაში მასწავლებლად. **„როდესაც მივედი ტოლაანთ სოფელში, ვაჟა-ფშაველა იქ აღარ დამხვდა. იგი, როგორც მითხრეს ხევსურებმა, ადგილობრივი მღვდლის ა.ა.-ს დასმენით დაეთხოვნა ინსპექტორ ლიხაჩოვს, ვითომდა, როგორც ათეისტი და „ღვთის მგმობელი“. ნამდვილი მიზეზი კი მისი დათხოვნისა, გამოიწვია ამ მღვდლისა და ვაჟას შორის მომხდარმა უსიამოვნებამ სკოლის ეზოსა და თვით მღვდლის ეზოს შესახებ: მღვდელი ცდილობდა თავისი ეზო გაეფართოებინა და მასწავლებელი კიდევ დიდი წინააღმდეგი იყო ამისი და მალ-მალ მღვდლის მიერ ჩარჭობილ მარგილებს ჰგლეჯდა და უკან უყრიდა, ეზოს არ ავიწროებინებდა.ეს დავიდარაბა ბოლოს იმით გათავდა, რომ მღვდელმა ორი კარგი ნასუქი ინდაური ჩაისხა ხურჯინში, თავის იორღა ცხენს გადაჰკიდა და თბილისისკენ ისპექტორ ლიხაჩოვთან გაქანდა და, შესაძლოა, ამ სულიერ მამას „უღმერთობა“ და ათეისტობაც დაეწამა მისთვის“** *(ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. N1079, 3, ვ. კოპტონაშვილი, „მოგონებანი ვაჟა-ფშაველას შესახებ“).*

მესხ მამულიშვილს, თიანეთის მაზრაში, ექვსი წლის გამავლობაში, პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში, საშუალება მიეცა ახლოს გაეცნო ვაჟას პიროვნება.მისი ხასიათი და შეხედულებები: **„ვაჟა-ფშაველას მეტად ეჯავრებოდა უსამართლობა, ვისიმე დაჩაგვრა, რისთვისაც ყველგან დამცველად და მოსარჩლედ გამოდიოდა. დაჩაგრულის, დაბეჩავებულის და დავრდომილის ხმა დიდი გულშემატკივარი იყო. ჩემის თვალით მინახავს გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში თავისი სალიტერატურო ნაშრომის გონორარი მიუღია და რომ ქუჩაში დაუნახავს ღარიბი მათხოვარი, თითქმის მთლიანად მიუცია,“** – წერდა იგი. თავის მოგონებაში ვასილ კოპტონაშვილს მრავალი მაგალითი აქვს მოტანილი ვაჟას სამართლიანობის შესახებ. კერძოდ, ის რომ მან გუბერნატორამდე მიაღწია და გაანთავისუფლებინა სოფელ დიდთონეთის მამასახლისი, რომელიც უსამართლოდ ჩაგრავდა მოსახლეობას.

ვასილ კოპტონაშვილის მოგონებებში საინტერესო ინფორმაციაა დაცული ვაჟა-ფშაველას ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ. **„ვაჟა 1884 წელს შემხვდა გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში, სადაც მოიტანა თავისი ნაშრომი სალიტერატურო მასალები დასაბეჭდად. ვაჟამ რომ დამინახა, ძაან გაეხარდა და მითხრა, რომ ვაპირებო პეტერბურგს წასვლას და უნივერსიტეტში შესვლასო, რისთვისაც ქველმოქმედი მანდილოსანი ბაბალე ბარათაშვილი დახმარებას მპირდებაო. გამეხარდა და მოვუწონე გადაწყვეტილება ფშაველ მეგობარს. ვაჟა მართლაც გაემგზავრა იმ ხანებში პეტერბურგს და შევიდა უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად, მაგრამ ბაბალე ბარათაშვილის დაპირება დაპირებად დარჩა და პოეტს არავითარი დახმარება არ მიაწოდა, რისთვისაც ჩვენი პოეტი იძულებული გახდა ისევ სამშობლოს, თავის მთებს დაბრუნებოდა.“**

ვაჟა, პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ, მშობლიურ სოფელში – ჩარგალში დამკვიდრდა. ვაჟას მეზობელი სოფლიდან ხშირად მიჰქონდა ნავთი და გზად უწევდა ვასილ კოპტონაშვილთან შეხვედრა და საუბარი.. **„ვაჟა უჩიოდა ხოლმე ოთახში მკრთალ ლამპრის სინათლეს. ხშირად მეტყოდა ხოლმე, რომ ეს ბჟუტია ნავთის ლამპის და ჭრაქის შუქი ჩემს ისედაც დაზიანებულ მხედველობას ადრე თუ გვიან, ბოლოს მოუღებსო. მას წერა უყვარდა ღამით, ჩაკეტილ ოთახში, ლამფის შუქზედ, დღისით ერთ სიტყვასაც არ დასწერდა. ღამე დაიწყებდა მუშაობას და დილის რიჟრაჟზედ დაათავებდა“** – წერს ვ. კოპტონაშვილი.

ვასილ კოპტონაშვილმა თავის მოგონებაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილა იმაზე, თუ ვაჟა-ფშაველა როგორ ძლიერად უყვარდა ხალხს, ყველას დიდი პატივისცემა ჰქონდა მის მიმართ, ყველანი გულთბილად ეგებებოდნენ. ვაჟას კი უყვარდა ტკბილი საუბარი, ყველასთან თავაზიანობა, მხიარული – დარბაისლური პურ-მარილი, ლხინის სუფრა. ვასილ კოპტონაშვილთან ერთ-ერთი სტუმრობის დროს პოეტი მოინახულა სოფლის მთელმა მოსახლეობამ, მიართვეს ძღვენი. მათ შორის ხინკალი, რომელიც **„პოეტს ძალიან უყვარდა და უიმისოდ ერთ დღესაც ვერ სძლებდა“.** სწორედ მაშინ ასწავლა ხინკლის გაკეთება მესხ მამულიშვილს. **„ჯავახეთში ყველის ხინკალი იცოდნენ, ხინკლის მოკვრა ცოტაოდენ მეხერხებოდა. იმ ღამეს კი საკმაოდ გავავარჯიშე თითები და ჯავახეთში, სოფელ კოთელიაში დაბრუნების შემდეგ, არამარტო ჩვენს ოჯახში, არამედ მთელს სოფელში ვაჟასეული ხინკალი გავრცელდა.“** ამდენად, ვაჟას მეშვეობით გაჩნდა ჯავახურ სამზარეულოში ხორცის ხინკალი.

მესხი მოღვაწე თავის მოგონებაში მიუთითებდა, რომ ვაჟას სხვა თვისებებთან ერთად ღირსეული პიროვნება იყო და პირადი ღირსების შელახვას არავის პატიობდა: **„თუ ვინმე პირადი ღირსებას შეეხებოდა, ჩვენმა სასიქადულო და მარადჟამ სადიდებელმა პოეტმა ვაჟა-ფშაველამ მოთმინებიდან გამოსვლაც იცოდა. ერთხელ იგი მიემგზავრებოდა ბარიდან თავის სოფელ ჩარგალში თავის ახლადშერთულ ცოლთან ერთად. რომ მიატანეს ერთი გზის დუქანს, სადაც ორიოდე ფშაველი ღვინოს სვამდა და შეზარხოშებულები იყვნენ, ამათ, ვაჟას და მის ცოლს, ლექსით რაღაც უწმაწური სიტყვა აკადრეს, რისთვისაც ვაჟამ იძრო თავისი ლეკური და ერთ-ერთი ფშაველი დასჭრა.“**

ვაჟა-ფშაველაზე მოგონებებში ვასილ კოპტონაშვილი ასევე ვრცლად საუბრობს იმაზეც, რომ პოეტი იყო მარჯვე მეთოფე, კარგი თამადა, ბრწყინვალედ ფლობდა რუსულ ენას და ა.შ. ასევე ყურადღების მიღმა არ დაუტოვებია პოეტის ოჯახი. როგორც თვითონ წერს „ორიოდე სიტყვით“ მოიხსენიებს მის მშობლებს: **„მის მამას პავლე მღვდელს დაახლოებით ვიცნობდი, დიდი მწიგნობარი, გამოცდილი და ნიჭიერი, ენამახვილი კაცი იყო. არა მიხედვით, რომ მას სასწავლებლის კარიც არ უნახავს. დედა პოეტისა დიდი მოლექსე იყო, არა მიხედვით, რომ შინაურულად იყო აღზრდილი... პავლე რაზიკაშვილს ყველა შვილისთვის დაუმთავრებინებია სწავლა და ყველანი სამშობლოს ხალხისათვის თავდადებულები, მოღვაწენი და პოეტ-მწერლები ყოფილან“.**

ვასილ კოპტონაშვილმა თავისი მოგონებებით მკითხველს წარუდგინა და დაანახა დიდი პოეტის ნამდვილი სახე – ღირსეული პიროვნება და მამულიშვილი. ჯერ თბილისში სწავლის პერიოდში და შემდეგ თიანეთის მაზრაში, წლების განმავლობაში, თანამშრომლობამ ისინი ერთმანეთთან დააახლოვა. მათ ბევრი რამ ჰქონდათ საერთო: – ორივე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა, ქვეყნისა და ერის სამსახური იყო მათი მისია, ისინი იყვნენ ახლო მეგობრები და თანამოაზრეები.

ნატო ყრუაშვილი,
პროფესორი

გზავნილი წარსულიდან

სამხედრო ტყვეების არსებობა ომის ბატალიებს უკავშირდება. ისტორიულ კვლევებს შორის, პრობლემის შესწავლა რთული პროცესია. განსაკუთრებით ძნელია, საარქივო მასალების მოპოვება, რომელიც „საიდუმლო“ საცავებში ინახება. არქივების დიდი ნაწილი ხელმიუწვდომელია, რამაც ტუსაღთა რაოდენობა და გარდაცვლილთა სტატისტიკა უცნობი გახადა.

გერმანელებისთვის ევროპიდან საქართველოსკენ სავალი გზა იოლი არ ყოფილა. ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში, შვაბები, ეკონომიური კრიზისის გამო, არარატის დაბლობისკენ დაიძრნენ. მათი ნაწილი, საქართველოში დასახლდა. ახალმა წესებმა, გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ადგილობრივ სამიწათმოქმედო კულტურაზე. პროცესები პირიქითაც მიმდინარეობდა. შვაბები მიწის დასამუშავებლად, ქართულ დიდ გუთანს იყენებდნენ, რომელიც ადგილობრივ გარემოს იყო შეთვისებული. მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანელები შუა აზიაში გადაასახლეს. კოლონისტების ისტორია დღეისთვის ჩვენი განსჯის საგანს არ წარმოადგენს. ეს თემა მომავლისთვის გადავდოთ, ახლა კი საქართველოში ტყვეთა ისტორიას დავუბრუნდეთ.

საბჭოთა კავშირში ტყვეებს მოღალატებად თვლიდნენ. ამგვარმა დამოკიდებულებამ აიძულა რუსეთი უარი ეთქვა 1929 წლის ჟენევის კონვენციის წევრობაზე, რომელიც ტუსაღთა პირობების გაუმჯობესებას ითვალისწინებდა. იგი ამ ორგანიზაციის წევრი 1946 წელს გახდა. 1949 წლამდე

და სხვა.

კლიმატის მხრივ, საქართელოში მყოფ ტყვეებს ძალიან გაუმართლდათ. აქ ცხოვრება ძნელი იყო, მაგრამ არც ისე გაუსაძლისი. თუ პატიმარი საკმარისად ჭკვიანი და ამტანი იყო, საბოლოო ჯამში უძლებდა განსაცდელს. გერმანელი ტყვეების საკვების დღიურ ნორმაში შედიოდა: 400 გ. შავი პური, 100 გ. თევზი, 100 გ. ბურღული, 500 გ. ბოსტნეული და კარტოფილი, 20 გ. შაქარი, 30 გ. მარილი. ავადმყოფი ჯარისკაცებისთვის ნორმა გაზრდილი იყო. თუმცა ეს ყველაფერი მხოლოდ ციფრებს წარმოადგენდა. ფაქტობრივად ომის დროს საკვების მთელი ნორმა იშვიათად რიგდებოდა. პროდუქტები შეიძლებოდა შეეცვალათ უბრალოდ პურით, ულუფა კი შეემცირებინათ.

ტყვეები, რომლებიც მშენებლობაზე მუშაობდნენ, ფულად ჯამაგირსაც იღებდნენ (7 მანეთი რიგითებს, 10 – ოფიცრებს, 15 – პოლკოვნიკებს, 30 – გენერლებს). კარგად შესრულებული სამუშაოსათვის პრემიებსაც აძლევდნენ – თვეში 50-თი მანეთის ოდენობით. ტყვეებს შეეძლოთ ასევე მიეღოთ წერილები და ფულადი გზავნილები სამშობლოდან.

მიუხედევად ამისა, უცხო ყოფაში ტყვე გაუცნობიერებლად ეჩვეოდა საშინელებას, რომელიც თანდათან მორალის ჩარჩოებში ექცეოდა. იარაღაყრილი ტყვე პატარა ბავშვს გავს, საითაც წაიყვან, იქით გამოგყვება, რასაც უბრძანებ – იმას გააკეთებინებ. ამგვარ გარემოში ადამიანი, თანამედროვე დროის მენტალურ ნაწილად ყალიბდება. მომავალში მათ აღარ შესწევთ უნარი გაოცდნენ ან გაბრაზდნენ იმაზე, რაც სხვა დროს თავზარდამცემი იქნებოდა. სწორედ ამგვარ ფსიქო-ემოციურ გარემოში უწევდათ ტყვეებს ცხოვრება, რაც გაუსაძლისი პირობების მიმართ შემგუებლობას უყალიბებდა.

ადგილობრივი მოსახლეობა კარგ ურთიერთობაში იყო გერმანელ ტყვეებთან. პატიმრები თავისუფალ დროს, ხისგან ამზადებდნენ სათამაშოებს და პატარა ბავშვებს ჩუქნიდნენ. ზოგჯერ, თავიანთ ნახელავს (კოვზებს, მცირე ზომის სასმისებს, ხის ჯამებს) საწერ ქაღალდზე ცვლიდნენ. ადგილობრივი მოსახლეობა მათ უყურადღებოდ არ ტოვებდა. ხშირად აწვდიდა პურსა და სანოვაგეს.

სამშობლოში დაბრუნებულმა არა ერთმა სამხედრო ტყვემ საინტერესო მოგონებები დაგვიტოვა, სადაც დეტალურად არის აღწერილი ადამიანური განცდები, დაკვირვებები, ყოფითი პირობები, გამოცდილება და სხვა. მემუარები, მოგონებების შედეგად იქმნებოდა. ბანაკში რამის ჩაწერა, მკაცრად იკრძალებოდა.

გერმანულ მწერლობაში მრავალ მაგალითს ვხვდებით ტყვეებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთობებზე. აქვე მოგვყავს ერთ-ერთი ამონარიდი ტუსაღის დღიურიდან: „ტყიბულის ბანაკიდან შეუმჩნევლად წამოვედი. სოფელში შესვლისთანავე მოხუცს შევხვდი, რომელიც საუბრის დროს რუსულ და ქართულ სიტყვებს ერთმანეთში ურევდა. – მე გერმანელი სამხედრო ტყვე ვარ, ვმუშაობ ტყიბულში! – მივმართე მოხუცს. მოხუცს სახე გაუბრწყინდა და ეზოში შემიპატიჟა. მან მოყოლა დაიწყო. მახსოვს, ომის დროს, გერმანელები – მასპინძელი პირველ მსოფლიო ომს გულისხმობდა. მათ რუსი და თურქი ჯარებისაგან გაგვანთავისუფლეს. არასდროს დავივიწყებ ამ სიკეთეს. წამოდი, დღეს ჩემი სტუმარი იქნები. ჩვენ შევედით უბრალო, მაგრამ სუფთა სახლში, სადაც ჩემი ყურადღება ხალხური მოტივებით მორთულმა ოთახებმა მიიპყრო. ოჯახი მაგიდასთან შეიკრიბა. – დაჯექი, – მომმართა მოხუცმა, – დღეს ჩვენთან ერთად ისადილებ, როგორც მეგობარი. გაოგნებელი ვიყავი. ვერ წარმომედგინა, შიმშილობის დროს ასე, გაჭირვებით მოპოვებული სურსათით მტრის ჯარისკაცის დაპურება, მაშინ, როდესაც ერთი მუჭა ფქვილისა და შაქრის გულისათვის მთელი დღე უნდა მდგარიყვნენ რიგში. კიდევ უფრო უხერხულად ვიგრძენი თავი, როდესაც შევიტყვე, რომ მისი ვაჟი ფრონტზე იბრძოდა. მეორე დილით, ნაბახუსევი, ლანძღვაგინებით მივყვებოდი რუს ბადრაგს ტყიბულის ბანაკისკენ“.

ტყვეების პატივისცემის მაგალითს წარმოადგენს თბილისში, საბურთალოს მცხოვრებთა პროტესტი. გადმოცემით ცნობილია, რომ, ჰოსპიტალში გარდაცვლილებს, უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ფერდობზე კრძალავდნენ. ადგილობრივმა მოსახლეობამ სამშენებლო კომპანიას არ მისცა უფლება, ჩაეტარებინათ სამუშაოები, სადაც ტყვეთა საფლავები მდებარეობდა.

საქართველოში, დაუზუსტებელი ინფორმაციით, 40 ათასამდე ტყვე მსახურობდა. უმეტესობა გერმანელი ტუსაღები იყვნენ. აქვე იხდიდნენ სასჯელს იაპონელებიც. ბანაკებს 1942-50 წლებში კოორდინაციას უწევდა თავდაცვის სახალხო კომისარიატი. მათ განკარგულებაში, ათი ბანაკი და 18 ბატალიონი შედიოდა. ყველაზე დიდხანს, რუსთავის N-181 ლაგერმა იარსება. საქართველოში რეესტრირებული ბანაკების გარდა, არაოფიციალურად, სამხედრო ტყვეთა გაერთიანებებიც არსებობდა. ასეთი ბანაკი, 1942 წელს, მანგლისის მახლობლად, სოფ. სანდარში მდებარეობდა. მან რამდენიმე თვე იარსება.

რიჩარდ პაულსის ტყვეთა ლაგერი ზუსტად ემთხვევა ვერმახტის ოფიცრის ჰანს ფონ ლუკ უილრიხის მოგონებებში აღწერილ ადგილს. იგი, იმავე ბანაკში (N-7518) მსახურობდა, სადაც რიჩარდ პაულსი იყო განწესებული. ჰანსის მოგონებები, რომლის სათაურია – „ტანკის ნამახვილებული მუხლუხები“, შეულამაზებლად აღწერს საქართველოში გერმანელ ტყვეთა ყოფას. ფონ ლუკი ვერმახტის მთავარსარდლის, ჰანც ვილჰემ გუდერიანის ახლო მეგობარი იყო.

მემუარების ავტორი საქართველოში 1945 წლიდან იხდიდა სასჯელს. მისმა ნაშრომმა, ტყვეების რეალური სურათი გააცოცხლა. ამავე ბანაკში იმყოფებოდა კონდრატ ლორენტი, რომელიც ცხოველთა ფიზიოლოგიის დარგში, ნობელის პრემიის ლაურიანტი გახდა. საქართველოს ბანაკებში მსახურობდა ავსტრიელი მწერალი – სტეფანე კარნელი „არქიპელაგის“ წიგნის ავტორი.

ჰანს ფონ ლუკი იგონებს: „1946 წლის შემოდგომაზე, საბჭოთა კავშირის სამხრეთ ნაწილში მყოფი ტყვეები, სატვირთო ეშელონში შეგვყარეს და გაურკვეველი მიმართულებით წაგვიყვანეს. ტყვეებისათვის არ უთქვიათ, სად მიყავდათ“. ჩვენი ვარაუდით, ამ დროს უნდა შემდგარიყო ჰანს ფონ ლუკისა და რიჩარდ პაულსის შეხვედრა. როგორც აღვნიშნეთ, ორივე ერთ ბანაკში (N-7518) მსახურობდა. შევეცადეთ საქართველოში გერმანელი ტყვეების ისტორია ფონ ლუკის მემუარების მიხედვით აღგვედგინა. მისი მონათხრობი, მრავალი ადამიანის განცდებსა და სათქმელს იტევს, მათ შორის რიჩარდ პაულსის.



მწერალი ასე აღგვიწერს ტყვეთა ყოფის ერთ-ერთ ეპიზოდს: „1948 წლის სუსხიანი შემოდგომა იდგა. ნელ-ნელა მოიწევდა ზამთარი. გვეგონა, ამ წლის ბოლოსთვის, შობის დღესასწაულზე, სახლში ვიქნებოდით. რეალურად კი სხვა რამ მოხდა: სატვირთო ეშლონებში შეგვყარეს და გაურკვეველი მიმართულებით წაგვიყვანეს. მეორე დღეს, როდესაც ვაგონის ღრეჭოებიდან დათოვლილი მთები დავინახეთ, დავრწმუნდით, რომ ეშელონი კავკასიისკენ მიემართებოდა. პირველი წუხილი, ქუთაისის მახლობლად, „ოპელის“ ქარხნის ღია ცის ქვეშ დაყრილმა დანადგარებმა გამოიწვია, რომელიც აღმოსავლეთ გერმანიიდან იყო გადმოტანილი.

ეშელონი ტყიბულში შეჩერდა, სადაც ტყვეები გადაანაწილეს. დროებით იქ მოგვათავსეს, სადაც ერთ დროს გერმანელი ქალები ცხოვრობდნენ. ბანაკის პირობებში ქალებს ყველაზე ძალიან უჭირდათ. ისინი საშინლად განიცდიდნენ სანიტარული მდგომარეობის უქონლობას. ამ პირობებში ყველაფრის ატანა შეიძლებოდა, გარდა თეთრეულისა და წყლის ნაკლებობისა. გაუსაძლისი ყოფა არ იძლეოდა ტანსაცმლის გამოცვლისა და დაბანვის საშუალებას. რამდენიმე დღის შემდეგ თავი მოგვიყარეს და ობიექტებზე გაგვანაწილეს. დარჩენილები, ახალ ლოკაციაზე (N-7518) გასამგზავრებლად მოგვამზადეს. ცოტა ხნის შემდეგ ეშელონი საქართველოს მინდვრებზე მიგრიხინებდა. გათენდა. მატარებელი გაჩერდა. ეშელონებიდან ჩამოგვსვეს და მწყობრის შემდეგ გვითხრეს, რომ თბილისში ვიმყოფებოდით. ადგილზე მისულებს საცხოვრებელი ბარაკები მოუმზადებელი დაგვხვდა. ბინებში, რომელიც თიხით იყო შელესილი, ზამთარში ძალიან ციოდა, ხოლო ზაფხულში – გაუსაძლისი პირობები იქმნებოდა. იძულებული ვიყავით, გარეთ დაგვეძინა. საცხოვრებელი სახლები ორ სართულიანი შენობისაგან შედგებოდა (მსგავსი ბარაკები ამჟამად თბილისის 31-ე საავიაციო ქარხნის ტერიტორიაზეა შემორჩენილი). ცუდი პირობების გამო პროტესტს მივმართეთ. უკმაყოფილებას იწვევდა ულუფის შემცირება, ანტისანიტარია, ბადრაგისგან – უხეში დამოკიდებულება, ჭუჭყიანი თეთრეული, წყლის უქონლობა და სხვა. შიმშილობის შემდეგ პრობლემა ტყვეების სასარგებლოდ წყდებოდა. ადმინისტრაცია იძულებული გახდა, ჩვენი მოთხოვნები შეესრულებინა. გერმანელები განსაკუთრებულად განიცდიდნენ ჩხრეკასა და პირადი ნივთების ჩამორთმევას, რომელიც თითქმის ყოველდღე ხდებოდა. ჯარისკაცებს კბილებიდან ოქროს გვირგვინებს გვაძრობდნენ. ბადრაგები დაგეშილები იყვნენ ფოტოებზე. სურათებს გვართმევდნენ და ხევდნენ. ვთხოვდით, არ დაეხიათ, მაგრამ ისინი დამცინავად გვპასუხობდნენ: – „შენი ცოლი დიდი ხანია სხვასთან არის, რისთვის გინდათ ეს ფოტოები“?

ქოს ქაღალდი, ხის ტარიანი გასაშლელი დანა (რომელსაც ერთ მხარეს პირი მოკაუჭებული აქვს), შარვლის საჭერი ზონარი, ტყავის ქისა თუთუნის შესანახად, მონიკელებული რკინის კოვზი, საპარსი მონყობილობა, თამბაქოს გასახვევი ქაღალდი, წყლის მათარა შალითით, ჯარისკაცის საზაფხულო ქუდი (პილოტკა), გვარ-სახელებით შევსებული რამდენიმე რვეული და სხვა. აქვეა, პოლონელი მეგობარი ქალის მიერ გამოგზავნილი ამანათის ქვითარი.

II მსოფლიო ომის შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი დრო გავიდა. მიუხედავად ამისა, მათზე მოგონებები არ გამქრალა. საქართველოში ტყვეთა ხსოვნას გარკვეულ პატივს მიაგებენ, რაც უძველეს ტრადიციებს უკავშირდება. ტუსაღთა გაუსაძლის ყოფას გვახსენებს მიტოვებული სამარხები, ფოტო სურათები, ბარათები, შემთხვევით ნაპოვნი ნივთები, დოკუმენტები, არქიტექტურული ნაგებობები, ბარაკები, საკონცეტნრაციო ლაგერები და სხვა.

1943 წელს წითელი არმიის წარმატებებმა ტყვეთა სიმრავლე გამოიწვია. მათი საქართველოში ჩამოყვანის შემდეგ ისინი სხვადასხვა რეგიონში გადაანაწილეს, კერძოდ: რუსთავში, ჭიათურაში, გორში, ავჭალასა და ნავთლუხში. შინსახკომმა თბილისში ტყვეთა ორი სამმართველო შექმნა – სამხრეთ კავკასიისა და ავჭალის.

გერმანელი ტუსაღების დისლოკაციის ადგილი ხშირად იცვლებოდა. მათ მთავარ საქმიანობას გზებისა და ნაგებობების მშენებლობა წარმოადგენდა. ისინი მუშაობდნენ ბულაჩაურში, ქსანში, ძეგვში, ბოლნისში, ბორჯომში, ყვარელში, ოჩამჩირეში, სოხუმში. გერმანელების აგებულია მთავრობის სასახლე თბილისში, რამდენიმე საცხოვრებელი კორპუსი სოხუმში, საქნახშირის (ამჟამინდელი მეცნიერებათა აკადემიის) შენობა, დავით აღმაშენებლის პროსპექტის ცენტრალური ნაწილი, ქ. რუსთავის მოედანი, ქუთაისის თეატრი, ჩითახევჰესი, ტყვარჩელის ქვანახშირის ქარხანა

მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური

(გაგრძელება. დასაწყ. იხ. NN 8-10)

***

ჯვარდაუწერავი ქალი რო კაცმა წაიყვანოს, ჩვენ ის ადამიანად არ მიგვაჩნია. მოუნათლავ ბავშვს ჩვენ ვეძახით „ხასაკს“, კარგი თვალით არ ვუყურებთ. ეხლა არის, მაგრამ ჩვენ არ გვიყვარს ის ხალხი. უფრო რელიგიაზე ვართ. ომამდე განტოვებული ქალი და კაცი არ იყო. მთელი სოფელი ვაგინებდით თუ ქალმა ქმარი წაართვა ქალს. ქალსაც და ქმარსაც ზიზღით უყურამთ. ჩვენში ერთი ოჯახის პატრონი იყო ქალი და უშვილო იყო, მაგრამ ქმარმა მაინც ვერ დაანება თავი.

ახალციხე,

ათანე სტეფანეს ძე ჩითაშვილი *(60 წლისა).* ***სტეფანე პეტრეს ძე ხითაროვი*** *(50 წლისა)*

დარამალა

წინათ ათხოვებდნენ 12 წლისას. იტყოდნენ: „ან „ქვა ქვეშაო, ან ქმარ ქვეშაო“.

ზოგს აკვანში იბეიებდნენ.

12 წლისა გავთხოვდი. ერთი დედოფალი მყავდა, იმას ვაცმევდი, არ მივდევდი ქმარსა და შუშები ჩაუყრია პარკში და მატყუებდა: „ამდენი ოქრო მაქვსო“ და წავყევი. მერე, ქორწილის დროს, მაჩვენა, რომ ნატეხებიაო. აქედან ფურღუნით წამიყვანეს აწყვერში. ქორწილი ერთი ღამე გრძელდებოდა. იქ ვიყავი 25 წელიწადი რძლათა, ლაპარაკი არ შეიძლებოდა დედამთილთან და მამამთილთან. 16 წლისას მეყოლა პირველი შვილი. აკვანში იყო მინამ ფეხი ეედგა. აკვნის თავზე მძივები გვქონდა ჩამოკიდებული. ბავშვი რო გაიღვიძებდა, ეთამაშებოდა და გლახა ანგელოზი არ გეეკარებოდა. თავთით დაუდებდით რკინეულსა, რო არ გაილახოსო. ავათ თუ გახდებოდა, შევალოცინებდით.

მარტო ყვავილის დროსა უმღერამდით:

„იავნანაო, ბატონებო გადმობრძანდით, იავნანაო“...

საჭმელს არ გავაკეთებდით, ხახვს არ დავწვამდით, სარეცხ არ დავრეცხამდით, არა სანთელს არ დავანთებდით, მინამ ბავშვი კარგად არ გამხდარიყო, არც ვაბანებდით. ორმოცი მანამ არ გამოვიდოდა, ბოვშვს არ ვაბანებდით, საპონს ხელში არ ავიღებდით.

***

ქეიფში რო შევიდოდნენ, პატარძალ დააყენებდნენ შუაზე. მერე ვინმე იტყოდა: „ამას ენა უნდა მოვჭრათო“. ორი დადგება მოწამე, ერთი მამამთილის მხარეს, ერთი ქალის მხარეს და დაობენ. ამ დავაში ქალი იკუტება. ამაოებაში ხალხი იცინის. ხმალი ტიტველი ხელში უჭირავს. პატარძალს თავზე პური ადევს. როცა გათავდება დავა, იმ პურს გადაჭრის ხმლით და „შენი ენა მოიჭრაო“. პატარძალი მივა თავის ადგილას. ვნახოთ, როგორ პატარძალს გააკეთებო. ზღურბლზე უნდა თაფლი წაუსვა და ფეხს რო შედგამს, შაქარწყალი უნდა დაალევინო.

პატარა ბავშვს როცა აბანებენ, ამბობენ ხოლმე:

ორშაბათს – ორის ოდენა,
სამშაბათს – სამის ოდენა,
ოთხშაბათს – ოთხის ოდენა,
ხუთშაბათს – ხუთის ოდენა,
პარასკევს – დათვის ოდენა,
შაბათს – ქვეყნის ოდენა.

***

უწინ მიწას გავცრიდით ცხრილში, მერე თასში ჩავყრიდით და გავაცხელებდით ცეცხლზე, მერე ფალასზე დავყრიდით იმ მიწას და დავაწვენდით ბავშვსა. ასე იყო აკვანში. მერე არტახებ გადაუჭერდით,

მელოგინეებსაც დაუყრიდით თბილ მიწასა, სამი-ოთხი დღე. მერე ბებია მოიტანდა ბალახებსა, მოხარშავდა ამ ბალახებსა და ჩასვამდა მელოგინესა და აბანებდა.

ზევიდან წახურამდნენ საბანსა, კარგად რომ მოიშუშოსო.

რივა არონის ასული შალოლაშვილი (74 წლისა). ქ. ახალციხე

წეს-ჩეულებები სოფ. ბარალეთში

ამ სოფელში 30% ქართველია, დანარჩენი სომხები. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ავთანდილ ნოეს ძე ხმალაძეა. სოფელში 210 კომლია.

ბარალეთში იყვნენ ხმალაძეები. ჩვენი ჩამომავლობა, განაყოფობა აქა ვართ.

წმინდა მაცხოვარი ქვია ამ ეკლესიასა.

ჩვენი მამა-პაპა არ მოსწრებია ამ ეკლესიასა. ჩვენი მამა-პაპა რო გადმოსულა ქარელიდან, ტყე ყოფილა. სერზე გადმოსხეს და ტყე გაკაფეს და გადმოვიდნენ. ვაკე ადგილი ყოფილა და იმიტომ შეურქმევიათ ბარალეთი. ხალხის მოყრა სამხთო ამაღლება იყო. ყველა სოფლიდან მოდიოდნენ ამაღლებას. ერთი ქვა არის მაღალი (3 ½ მეტრი) სერის ძირსა. თათრების შემოსევის დროს სულ ნაწვალებია. რაც გულში უვლიდა, იმას ლოცულობდა ხალხი. ეგ იმთენი ძალიანი იყო, რომ ვერ მოხსნეს. ორჯერ იყო ჩხუბი ჩემ დროს, მაგრამ ვერ მოხსნეს.

მურჯახეთში და მერენიაში არის ქვა – რძის ქვას ეძახიან, როდესაც ქალს რძე არა აქვს, იქ მიდის, ზოგ კარაქი მიაქვს, ზოგ მტრედი, ვინც რას გაიმეტებდა და ფულს ვინც შესწირავს, სანთლებ დაანთებენ. ქალს უნდა წაყვეს ძმა ან ბიძაშვილი, თავისი სისხლი უნდა იყოსო, რო რძე მოადგესო. ერთი ბენო კარაქს წაიღებენ და ქვას შეუსვამენ და მაშინ რძე მოუდგებათ. ტყეში, პეტრეს სალოცავს ეძახიან. პეტრე მოდიოდა და დიდი ქვა იყო – კლდე და უთქვამს, რომ „ღმერთო, შინ მიმიყვანე, რომ ეს ქვა არ დემეცესო“. არ დეეცა და დაარქვეს პეტრეს ქვა.

გვალვის დროს პატარები წავიდოდნენ, ცოცხს შეკმაზავდნენ, ზევიდან რამეს დახურავდნენ და დადიოდნენ, ხალხი წყალ ასხამდა, ზოგი კვერცხს მისცემდა, ზოგი ფქვილს, პურ-პატივს ეძახდნენ. თუ ფულს მისცემდა ვინმე, მტრედებს იყიდამდნენ და გააფრენდნენ. მტრედებისთანა სამხთო არც ერთი არ არის. ყველაზე წინ მტრედია.

როცა სეტყვა წამოვიდოდა, ტაფას გამოიტანდნენ, პირქვე დაამხობდნენ, ძირზე მარილს დააყრიდნენ. დედის პირველ შვილს ზურგში ჩაუყრიდნენ სეტყვასა, რომ გაწყალდესო.

დედოფალს ვაკეთებდით ჩვრებისაგან და ჯოხისაგან. ვათამაშებდით, დავსხდებოდით, პატარძალს გავხდიდით.

***

ბავშვი ოთხ-ოთხი წელიწადი აკვანში გვყანდა. მე ოთხ წელიწადში ერთხელ მიჩნდებოდა. გავახვევდით 2-3 ჩვარში და ჩვენ ჩვენ საქმეს უვლიდით.

ქარებს უძახდით კამარას. გაგდებულ ჯოხებს – ხიდს, კარებზე ჩამოვკიდამდით მძივებს თასმას უძახდით, იმდენი მძივი იყო, რო ბავშვს ეთამაშა, უბრალო მძივი იყო, მე შენ გეტყვი, მარგალიტები. რაღაცა სათვალე მძივს ეძახდნენ, ჭრელი მძივი იყო, იმას ავაგებდით. ხანდახან, ბავშვი თუ ავად გახდებოდა, რაც შეგვხვდებოდა რკინეული, მაკრატელი იქნებოდა ან დანა, შეუდებდით – უჟმური არ მოხვდესო. თუ ბავშვი ქეიფ მოიშლიდა, მიიყვანდნენ და შეულოცავდნენ. ყვავილის დროს ამოუშაქრავდით შარბათს და იავნანას ვეტყოდით. გადააფარამდნენ ქიშმერი იქნებოდა, ბაღდადი იქნებოდა, ბალიშზე ან თავს ზევიდან, რომ სუფთად იყოს. სურდოზე და ხველაზე იცოდნენ პატარა კოკორები პურისა, გამოვაცხობდით და თან ხველას და სურდოს გავისტუმრებდით.

კოკორებს ხეზე ჩამოვკიდებდით, ეკიდა და ეკიდა და იმას ჩიტი შესჭამდა..

ბატონების დროს იავნანა იყო და ბუზიკა.

ევა დიმოს ასული ხმალაძეინასარიძე, *80 წლის, ახალქალაქის რაიონი, სოფელი ბარალეთი*

სოფელი აწყური

აქ დიდი ხანია ვცხოვრობთ, აქ ყოფილა სენოტი, რომელიც რომ 12 რაიონს უკარნახებდა, სათათრეში დარჩა 12 რაიონი. პირველი ყარსი, არდაგანი, ოლთი, თორთი, წყარო, ჭოროღი, ფოცხოვი, კაჭრეთი, ლივანი. წინანდალი. თამარ დედოფლისა უფრო ბევრია. მაშინ ტრაპიზონი ჩვენი იყო, ერზრუმი, ყალიყამიში. მე-16 საუკუნეში თათრები შემოვიდნენ. პასკევიჩმა კურო-სომხები გადმოიყვანა ერზრუმიდან. თამარს ჰყავდა ერთი მარინე, გამოუცხადებს თურქეთი ომსა, თამარს მაშინ არ ჰქონდა ეს ციხე აშენებული. მარინე სარდალი იყო და ჰკითხა თამარმა: – როგორ მოვიქცეთო? მარინემ დაასია მთელი ქართველობა და შეუთვალა თურქებს, რომ მე უკვე ციხეში ვცხოვრობ და აწ-ყვერი ვარო, ამ სოფელს აწ-ყური ჰქვია.

***

თათრების დროს როცა გვალვას დაიჭერდა, საღთოს კლავდნენ. თათრებმა იცოდნენ, ჩვენ არა. გავიდოდნენ, წყალი იყო ზევითა. 12 სული ცხვარი დაკლეს, ოთხი სული ძროხა შიგ წყალში, მერე ლუკმა-ლუკმა დასჭრეს და დაურიგეს სუყველას, უცხო მოგზაურებს, მეც შემხვდა. საცა დაკლეს, იმ წყლიდან გაიწკიპეს ეს თათრები, გამოიარეს ერთი კილომეტრი და გალობით ავიდნენ იმ ციხეზე. ქედი არის იქ და ლოცვა დაიწყეს. ესე წვიმა წამოვიდა, რომ ლოცვა შეწყვიტეს. 6 თვე კი წვიმა არ ყოფილა.

***

ქორწილია ერთი გლეხკაცისა, მდიდარ ხალხს პატივს სცემენ. ამ ქორწილის დროს ერთ კაცს შემოაღამდება და გადაწყვეტს ამ ქორწილში შევიდეს. ისიც ყოფილი მდიდარია, მხოლოდ არ იციან იმათ. ძალიან ძველებშია გამოხვეული, ქალამნებიც კი აცვია. იქეიფავენ ღამე, გათენებისას დაიწყება შესაწირების მირთმევა. მდიდარი წამოიწყებს: „ერთი ცხვარი, ხუთი ცხვარი მიჩუქებია. „ეს ღარიბი კუთხეში დასვეს და ყურადღება არ მიაქციეს, საჭმლები მისცეს ნარჩენები. ჯერი რო მიდგება მოხუც კაცზე, იტყვის:

„კარგია, კარგი ყოფა, კარგია ცხვარი
და ძროხა,
ვაი, რა ძნელი ყოფილა, დაკერებული
ჩოხა!
გადმოვიარე მანგლისი, რა მოგახსენო
მაგისი,
მანგლისი ბევრი მთა არის, შიგ საძოვრები
ზღვა არის,
სამასი მიჩუქებია, სამი საჩუქრად
რა არის?“

და ნამდვილად აჩუქებს 300 ცხვარს.

***

მუსხი რო ვთქვი სოფელი, იციან ამაღლება ღრელში, ანდრიაწმინდაში, ჭობარეთს, ზველს.

ძველი გვახსოვს ჩვენ ძიმური და ფერხული.

ძიმური. გინდ კაცი ყოფილიყო, გინდ ქალი. ორი თამაშობდა. ერთი აქეთ იდგა, ერთი იმის პირდაპირ და აქეთ-ქით ორივე ფეხის მიწყობით მიდი-მოდიოდნენ. ერთი რომ აქეთ წამოვიდოდა, მეორე – მეორე მხარეს.

ფერხულს კი სულ ჩავაბემდით ქალი-კაცი. ჩვეულობა ქონდა ხალხსა, რომ ვინც არ ჩეებმეოდა, ციებ-ცხელება დაიჭერდა. დიდი, პატარა, ქალი და კაცი სულ უნდა გასულიყო. უფრო ვიცოდით აღდგომას. სარამდე შუა ღამე გადასულიყო, ფერხულს ცეკვავდა ხალხი, მერე კი ვიტყოდით: „ქრისტე აღდგა“ და წავიდოდნენ სახლებში.

ამასთან ერთად ვიცოდით ძველებური სიმღერები. აქეთ მე რო დავიწყებდი, ახლა ჩემ სიტყვას ის გაიმეორებდა. დავიწყებდი:

„მჭედელო, ჩემო მჭედელო, ოქრომჭედელო,
ერთი ხმალიც გამიკეთე, ჩემო მჭედელო“.

ახლა სხვა დაიძახებს ამ სიტყვებს მოშორებით. მთელი სოფელი ერთმანეთ აწვდიდნენ ხმას.

მოსე სოლომონის ძე ოქრომელიძე (85 წლისა).
ქ. ახალციხე

ნონო ღოღობერიძე,
ექსპედიციის დღიური, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (შემოსულობათა წიგნი N665)

გზავნილი წარსულიდან

„რუსების მხრიდან ეს იყო ბარბაროსული ქმედება. მალე, ახალი წესდების თანახმად, გერმანელ ოფიცრებს უფლება მისცეს – ფიზიკურად აღარ ემუშავათ. საერთაშორისო კონვენციის თანახმად – ჯარისკაცებს უნიფორმა, ორდენები და სამხედრო ნიშნების ტარება შეუნარჩუნდათ. ასე გადიოდა დღეები სიკვდილ-სიცოცხლის გზასაყარამდე. სამწლიანი ტყვეობის შემდეგ, გერმანელების ერთი ნაწილი ქ. კიევში გადაგვიყვანეს.“

1949 წლის ზამთარში მწერალი სამშობლოში დაბრუნდა, ხოლო რიჩარ პაულსის კვალი გაქრა.

სამალავში ნაპოვნი ნივთების ფოტო მასალა არ იძლევა ჯარისკაცის ცხოვრების სრული სურათის აღდგენას. ამისთვის საჭიროა ცალკეული დოკუმენტების შესწავლა და გაანალიზება. კვლევა დიდ დროსა და მოთმინებას მოითხოვდა. საკითხთან დაკავშირებით გერმანიის საელჩოში ქალბატონ რეგინა ვირას დავუკავშირდით, რომელმაც დიდი დახმარება გაგვიწია. მან ფედერალური არქივისა და მიუნხენის წითელი ჯვრის ორგანიზაციის კოორდინატები გადმოგვცა, რომელსაც ქალბატონი ფრაუ ფიურსტი და მარიამ პოგუნტკე ხელმძღვანელობენ. როგორც აგვიხსნეს, პასუხს რამდენიმე თვე დასჭირდება. იმედია მომავალში მკითხველ საზოგადოებას აუცილებლად მივაწვდით დამატებით ინფორმაციას.

ყოფილი გერმანელი ტყვეების დიდი სურვილი იყო საქართველოში ემოგზაურათ, რათა სიჭაბუკის პერიოდი ხელმეორედ განეცადათ. მათი ჩამოსვლის უმთავარესი მიზანი, მადლობის გადახდა იყო იმ კეთილი განწყობისთვის, რომელსაც ქართველები მათ მიმართ იჩენდნენ. პირველი ტურისტი ყოფილი გერმანელი ტუსაღი, ჰანს ლოზე გახლდათ. იგი ჭიათურაში მსახურობდა. ბანაკში მან ექვსი წელი დაჰყო. საქართველოში ჰანს ლოზმა, ის ადგილები დაათვალიერა, სადაც ახალგაზრდობის პერიოდში მსახურობდა. მან ვერ შეძლო ქ. ჭიათურა ენახა, რადგან იგი სტრატეგიულ- სამრეწველო ადგილად ითვლებოდა. მალე მას ტყვეობაში ნამყოფმა სხვა ტურისტებმაც მიბაძეს.

სამწუხაროა, რომ სამშენებლო კომპანიას ნივთები შესაბამისი ორგანიზაციისთვის არ გადაუცია (მუზეუმი, სახელმწიფო არქივი). ასეთი გადაწყვეტილება პროვინციულ ხასიათის მანიშნებელია. კომპანიას არ გააჩნია სათანადო პირობები ექსპონატების შესანახად. ისინი სათანადო გარემოს მოითხოვს, რადგან ორგანული მასალისაგან არის დამზადებული და შენახვის ზღვრული პერიოდი გააჩნია.

კომპანიაში ნივთების დაუნჯება იმ შემთხვევაშია შესაძლებელი თუ ექსპონატები ახალ საგამოფენო სივრცეს დაუდებს საფუძველს. კარგი იქნება M-კვადრატმა დამატებით მოიძიოს მსგავსი ნივთები, რათა კამერული ექსპოზიცია შექმნას, რომელიც უდიდეს რეკლამას გაუწევს კომპანიას. მომავალში გამოფენა აუცილებლად გახდება საქართველოსა და გერმანიას შორის მეგობრობის საწინდარი. აღმოჩენილი ექსპონატების შესწავლა ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის კულტურის განმტკიცებას. ნივთების კვლევა და მსოფლიო საარქივო სისტემაში მათი ჩართვა, კიდევ ერთხელ აჩვენებს ქართველი კაცის კეთილი ნების გამოხატულების უძველეს ტრადიციას.

მასალა მოამზადა
ნოდარ ახალკაცმა

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲘᲚᲘ ᲔᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲘ



მარადიულ სასუფეველში ნებისმიერი ადამიანის გადასვლა ყოველთვის დიდ ტკივილს ტოვებს ნაცნობ-ახლობლებში და ყოველთვის შეგვახსენებს, რომ ყველა იმქვეყნის შვილები ვართ. მაშინღა გვახსენდება, რომ – ერთმანეთს უნდა შევეხიდოთ, თანავუგრძნოთ, მოვეფეროთ, რამეთუ მართლაც წუთია ჩვენი წუთისოფლად არსებობა.

მაგრამ განსაკუთრებით დიდი ტკივილისა და სინანულის მომგვრელია იმ ადამიანთა ამ ქვეყნიდან წასვლა, რომელთა ყოველდღიური საქმიანობა საქვეყნოა, სამერმისოა და არდავიწყების შარავანდედითაა მოსილი. მათი ნაშრომ-ნამოღვაწარი ხომ მომავალ თაობებს სულიერად ასაზრდოებს და სიცოცხლის ელექსირს მატებს.

ასეთ გამორჩეულ ადამიანებს განგება უშურველად როდის გვაძლევს, ეს ერთეულთა ხვედრია, რომლებსაც, როდესაც ჩვენს გვერდით ტრიალებენ, მოღვაწეობენ, ისე ძალუმად ვერ ვამჩნევთ, როგორც იმქვეყნად გარდასვლის შემდეგ. ასეთები ხომ გვიან, მაგრამ ხშირხშირად გვახსენებენ თავს.

უკვე იმქვეყნიური კაცია ვაჟა სამსონიძე, ახალციხის დიდი კოლორიტი, შესანიშნავი მკვლევარი, რუსთველოლოგი, პოეტი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, ფოლკლორისტი და ღირსეული მამულიშვილი, რომლის გარდაცვალება დიდი დანაკლისია მთელი რეგიონისთვის.

ვაჟა სამსონიძე გამორჩეული ადამიანი იყო და დიდ საშვილიშვილო საქმეებსაც ღირსეულად ეჭიდებოდა, – მიუხედავად მრავალგზის დამტკიცებული და აღიარებულია რუსთაველის მესხური წარმომავლობა, მკვლევართა ერთ ნაწილს კვლავ ეჭვი ეპარება მის უტყუარობაში, მისი კვლევების გაცნობის შემდეგ კი სადაო და საჭოჭმანებელი, ალბათ, აღარაფერი უნდა იყოს! განსაკუთრებით ეამაყებოდა ვაჟა სამსონიძეს ამ კვლევებით გატაცება და არ ეპუებოდა არც იმას, რომ შეპაექრებოდა ზოგიერთ დიდ მეცნიერს და მათთან პოლემიკაც გაემართა. ამიტომაც გვჯერა, რა დროც არ უნდა გავიდეს, ვაჟა სამსონიძის კვლევებს („მესხური რეალიები „ვეფხისტყაოსანში“), გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი რუსთველოლოგი.

ვაჟა სამსონიძე ბოლო ოცი წლის განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთთან“, რომლის ლექსები, პუბლიკაციები, ნარკვევები, რუსთაველისადმი მიძღვნილი წერილები, საპოლემიკო მასალები, ამდიდრებდა გაზეთის თითოეულ ნომერს და მკითხველ საზოგადოებაში დიდ ინტერესს იწვევდა.

ძნელია წარმოიდგინო, რომ ვაჟა სამსონიძე აღარაა ცოცხალთა შორის, მაგრამ მან თავისი საქმეებით დიდი სახელი დატოვა ამქვეყნად და დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, – მას მართლაც არ უცხოვრია ერთი ადამიანის სიცოცხლით, რაც რჩეულ ადამიანთა ხვედრია!

ვაჟა სამსონიძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბევრ ცნობილ მწერალთან, მეცნიერთან და სიამოვნებით ითვალისწინებდა მათ მეგობრულ რჩევებსაც, რაც განსაკუთრებით უადვილებდა მეცნიერული კვლევებისას ჭეშმარიტების დადგენაში. მათ შორის ერთ-ერთი ცნობილი მეცნიერი ილია მაისურაძე იყო. ამის უტყუარი დასტურია ვაჟა სამსონიძისათვის გაგზავნილი მისი წერილები გასული საუკუნის 80-იან წლებში, რომლის გამოქვეყნება მიზანშწონილად ჩავთვალეთ, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ მის შრომას ფუჭად არ ჩაუვლია.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“
რედაქცია,
საქართველოს მწერალთა კავშირის
სამცხე-ჯავახეთის რეგიონული
ორგანიზაცია

ᲕᲐᲟᲐ ᲡᲐᲛᲡᲝᲜᲘᲫᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

საუკუნეთა განმავლობაში მესხეთში მრავალი ნიჭიერი ადამიანი აღიზარდა, მომავალ თაობებს მათი სახით ყოველთვის ჰყავდათ მისაბაძი პიროვნებები.. გონიერ მესხთა შორის მრავალი ნიჭიერი პიროვნების დასახელება შეიძლება, განურჩევლად წოდებისა თუ მოღვაწეობის სფეროს მიხედვით. მათ შორის მოიაზრებიან სიტყვის დიდოსტატები.... ქართულ სიტყვას ძალა და ფასი მესხეთში არც XX საუკუნეში დაუკარგავს. თურქთა ბატონობამ და რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ ვერ ჩაკლა მესხ კაცში გონიერება და ეროვნული ცნობიერება, რაზეც მეტყველებს ადგილობრივ შემოქმედთა მრავალრიცხოვნება, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი ვაჟა სამსონიძეს ეკავა.

წინამდებარე წერილში მინდა გავიხსენო და პატივი მივაგო მის ნათელ ხსოვნას, რომელმაც სულ ახლახან დატოვა ეს წუთისოფელი და სამუდამო განსავენებელი მშობლიურ ქალაქში, რაბათის სასაფლაოზე ჰპოვა. ბატონი ვაჟა – პოეტი და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და ჟურნალისტი დაიბადა 1937 წლის 23 მაისს ახალციხის რაიონის სოფელ ტატანისში.

1965 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. იმავე წელს დაინიშნა ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჯერ უმცროს მეცნიერ- მუშაკად (1972 წლის მაისიდან მუზეუმი გადავიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში და ეწოდა „სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი“), შემდეგ სწავლულ მდივნად. 1980 წელს ვაჟა სამსონიძე გადაყვანილ იქნა ახალციხის რაიონულ გაზეთში – „წითელი დროშა“ (შემდეგ „სამცხე“) ჯერ კორესპოდენტად, შემდეგ პასუხისმგებელ მდივნად. 80-იან წლებიდან იგი ჟურნალისტთა კავშირის წევრი იყო.

ვაჟა სამსონიძე წლების განმავლობაში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებასთან ერთად ეწეოდა ლიტერატურულ-სამეცნიერო საქმიანობას. მისი გამოკვლევების პირველი კრებული – „მესხური რეალიები „ვეფხისტყაოსანში“ გამოვიდა 2000 წელს, სადაც პირველი ორი წერილი ეხება „ამირანდარეჯანიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორთა მესხურ წარმომავლობას. დანარჩენში კი საუბარია პოემის ზოგიერთ ძნელად გასაგებ სიტყვათა მნიშვნელობის დაზუსტება-დადგენას. 2017 წელს მან კვლავ გამოსცა „მესხური რეალიები „ვეფხისტყაოსანში“ („მესხიზმები“) – შევსებული კრებული, რომელიც მიუძღვნა შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილეს. 2007 წელს გამოსცა საინტერესო კრებული „ტატანისი“, ხოლო 2010 წელს მისი რედაქტორობით გამოვიდა სააკ ზაქროშვილის წიგნი „ცოტა რამ ვალის შესახებ“.

ბატონ ვაჟას გამოსაცემად მომზადებული ჰქონდა წერილების კრებული „მეგობრობის ფესვები“, რომელშიც განათავსა დაბეჭდილი და დაუბეჭდავი სტატიები რუსთაველის 800 წლისთავიდან მოყოლებული დღემდე. მომზადებული ჰქონდა წერილები ე.წ. „თურქ მესხებზე“ – „თუ მაინც მოვლენ“, „ვეფხისტყაოსანი“ – სტალინის სამაგიდო წიგნი“. ანასტასია სამსონიძეზე – „ორჯერ გაციმბირებულთა მოგონებებიდან“.

ვაჟა სამსონიძის მრავალმხრივ საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა პოეზიას. როგორც პოეტი შენიშნავდა, უნივერსიტეტში – სტუდენტობის პერიოდში, მოეძალა ლექსები და ეჩვენებოდა, რომ ლექსისთვის იყო დაბადებული. თვითონვე იყო საკუთარი ლიტერატურული შემოქმედების პირველი კრიტიკოსი: „მაშინდელი ლექსები უშუალო, გულუბრყვილო და მოუმწიფებელ ნაყოფს უფრო ჰგავდა, ვიდრე დაღვინებულ შემოქმედებასო.“ შემდგომ პერიოდში მისი ლექსების შემფასებლები იყვნენ ცნობილი პიროვნებები: ლევან გოთუა, რომელმაც „მესხური ახალი ხმის მგოსანი“ უწოდა; ელენე დიდიმამიშვილი და შოთა ლომსაძე – მისი თანამემამულეები. ასევე მორის ფოცხიშვილი, გიორგი ზაუტაშვილი, ალექსი ჭინჭარაული და სხვ. მისი პოეტური დებიუტი გასული საუკუნის 50-იან წლებში შედგა, – თავისი ერთ-ერთი პირველი ლექსი ილია ჭავჭავაძის „ყვარლის მთების“ მოტივზე დაწერა. იმ პერიოდიდან დაიწყო ლექსებისა და სამეცნიერო-ლიტერატურული სტატიების წერა, რომლებსაც პერიოდულად აქვეყნებდა რაიონულ და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში: „ლიტერატურული საქართველო“, „სახალხო განათლება“, „მნათობი“, „საბჭოთა ხელოვნება“, „სკოლა და ცხოვრება“, „ჭოროხი“, „ლიტერატურული მესხეთი“, „წითელი დროშა“, „სამცხე“ და ა.შ. ნაყოფიერი, ხანგრძლივი და წარმატებული ჟურნალისტური მოღვაწეობისთვის, მიმდინარე წელს, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციამ ბატონ ვაჟას გადასცა მადლობის სიგელი და ჯილდო – „ოქროს კალამი“.

ვაჟა სამსონიძემ თავის ნახევარსაუკუნოვან შემოქმედებას თავი მოუყარა და 2005 წელს გამოსცა შესანიშნავი პოეტური კრებული „სულის რიჟრაჟი“, რითაც სააშკარაოზე გამოიტანა თავისი „უწვრთნელი“ თუ „მეწყერივით მოვარდნილი“ ლექსები და მკითხველამდე მიიტანა თავისი ნაფიქრ-ნააზრევი. ამასთანავე, აღნიშნულ კრებულს თან დაურთო თავისი ნახატები. აქვე მკითხველს ვთავაზობთ პოეტის ერთ-ერთ ლექსს – „ჩემი ელადა“, რომელიც ავტორს გამორჩეულად უყვარდა და სხვადასხვა ღონისძიებებზე გულშიჩამწვდომად კითხულობდა ხოლმე.

ᲩᲔᲛᲘ ᲔᲚᲐᲓᲐ

„მესხეთი ქართველთათვის სწავლა-განათლების საქმეში
ის არის, რაც საბერძნეთი კაცობრიობისათვის“.

აკად. ᲛᲝᲡᲔ ᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

კვლავ აელვარდა ჩემი ელადა
თავისი ხალხის ნიჭით, სიუხვით.
ამდევნებიხართ, მესხნო, მე ლანდად
თქვენი ველ-მინდვრით, მთით და
ჭიუხვით...
მე თქვენ მახსოვხართ! – ვით ტკბილ
სახსოვარს,
ვიგონებ იმ თქვენს სიმხნე-სიქველეს;
მზემ ყვავილები გადმომათოვა,
ამაბობოქრა, ველარ ვისვენებ:
ვარ შეჯავშნული თმოგვით, ვარძიით,
ამაღლებული – ზარზმით, საფარით;
ვდგევარ კლდის თავზე, როგორც არწივი,
დიდი რუსთველის ნამოწაფარი!
ასე ვიმღერებ, ალბათ, ბოლომდე,
ვიდრე „წყალთაგან ქვანიც გამოსხდეს“,
ღმერთო მოხედე, არვის ჰმონებდეს
შენი წილხვედრი – ჩემი სამოთხე!

განურჩევლად ყველასთვის, ვინც მას იცნობდა, ძნელია იმის გააზრება, რომ ბატონი ვაჟა გარდაიცვალა. იგი რეგიონში ყველა საზოგადოებრივი ღონისძიების აქტიური მონაწილე იყო და თავისი ლექსებით და გამოსვლებით ყოველთვის გამოირჩეოდა. ოჯახმა და რეგიონის საზოგადოებამ მისი დაკარგვით დიდი დანაკლისი განიცადა, – ის ნამდვილად დააკლდა ჩვენს ქალაქს...

ბატონმა ვაჟამ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ხალხის სამსახურში გაატარა და მესხეთის სიყვარულში ჩაიფერფლა. მისი სახით მესხეთმა კიდევ ერთი მამულიშვილი დაკარგა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონ ვაჟას სული.

ᲜᲐᲢᲝ ᲧᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲪᲘᲣᲠᲘ ᲚᲐᲤᲐᲩᲘ

...ᲛᲝᲕᲬᲝᲜᲓᲘ, ᲛᲬᲔᲠᲓᲐ, ᲛᲡᲐᲧᲕᲔᲓᲣᲠᲝᲑᲓᲐ...

ცნობილი ენათმეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის ალ.პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის (ამჟამად საბას უნივერსიტეტი) ლექტორი ილია მაისურაძე ფანატიკურად იყო შეყვარებული ახალციხეზე. ის ახალციხეში დაიბადა და, ამავე დროს, იყო დიდი ივანე გვარამაძის („ვინმე მესხი“) შვილიშვილი. ალბათ, ამ გარემოებამაც უბიძგა და სტიმული მისცა მას ნაყოფიერად ემუშავა მესხური ლექსიკის, ტოპონიმიკის, ონომასტიკის, რუსთველოლოგიის (ე.წ. „მესხიზმები“) საკითხებზე, დროდადრო ეწერა ლექსებიც, უფრო ხშირად – პუბლიცისტიკური და სამეცნიერო ხასიათის წერილები.

ილია მაისურაძე გავიცანი რუსთაველის 800 წლისთავის წინასაიუბილეო დღეებში. უნივერსიტეტის ახალი კურსდამთავრებული ვიყავი, როდესაც ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დავიწყე მუშაობა. მუზეუმი მაშინ განთავსებული იყო კიროვის (ამჟამად – ფარნავაზის) ქ.N3-ში, სამუსიკო სკოლის მეზობლად მდებარე შენობის პირველ სართულზე. სწორედ იმ ხანებში მობრძანდა ბატონი ილია მუზეუმში. – ჩვენი ახალი მეცნიერ-მუშაკიაო. – წარუდგინა ჩემი თავი სტუმარს მუზეუმის დირექტორმა სოფიო ორჯონიკიძემ. ბატონი ილია დაინტერესდა ჩემი „მწერლური ხარისხიანობით“, დაჯდა ჩემ სკამზე და მაგიდაზე გაშლილ ნაწერებს გადახედა. რამდენიმე გვერდი რომ წაიკითხა, დირექტორს გასძახა (კარები მის კაბინეტსა და ჩემ სამუშაო ოთახს შორის ჩამოღებული იყო): – ქალბატონო სოფიო, ეს სკამი გაამაგრეო! მესიამოვნა ეს სიტყვები, ე.ი. რაღაცა მოეწონა ჩემ ნაწერებში სწავლულ ადამიანს. ამით მას მიანიშნა, – მუზეუმის დირექტორს სხვაგან რომ არ გავეშვი სამუშაოდ. შემდეგ მომიბრუნდა და მითხრა: – წერა შეგძლებია და ასე გააგრძელეო. მე, რა თქმა უნდა, მადლობა გადავუხადე კეთილ ადამიანს გულთბილი სიტყვებისათვის.

სხვათაშორის, წერის სტილი მომიწონა მეორე მესხმა მეცნიერმა, მესხეთის დიდმა მეისტორიემ, პროფ. შოთა ლომსაძემაც, როდესაც ეცნობოდა ჩემ წერილს რუსთაველის სადაურობის შესახებ („ვწერ ვინმე მესხი მელექსე“...).

რუსთაველის 800 წლისთავიდან მოყოლებული, მე და ილია მაისურაძე კიდევ უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს, უფრო მეტ ინტერესს ვიჩენდით ჩვენი სამწერლო-საკვლევაძიებო საქმიანობისადმი. პირადად მე, თუკი რაიმე მნიშვნელოვანს დავწერდი და გამოვაქვეყნებდი ჟურნალ-გაზეთებში, ბატონი ილია არ ტოვებდა ყურადღებისა და რეაგირების გარეშე, მწერდა წერილებს, მიზიარებდა თავის აზრსა და შეხედულებას. რას მწერდა, რა მოსწონდა ჩემ მოკრძალებულ შემოქმედებაში და რაზე მსაყვედურობდა, ამას მისივე წერილებიდან შეიტყობთ, რომელთაც ქვემოთ ვბეჭდავთ. გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ცნობისმოყვარე მკითხველი, დარწმუნებული ვარ, დაინტერესდება ამ წერილებით.

ᲕᲐᲟᲐ ᲡᲐᲛᲡᲝᲜᲘᲫᲔ

ძვირფასო ვაჟა!

ახლახან წავიკითხე გაზეთ „წითელ დროშაში“ გამოქვეყნებული შენი სტატია „ახალციხის განთავისუფლების 150 წლისთავისათვის“. მომეწონა და ახლავე ავიღე ხელთ კალამი, რათა მხურვალედ მოგესალმო და მადლობა მოგახსენო საჭირო და აუცილებელი თემის გაშუქებისთვის. ეს კარგი თაოსნობა უსათუოდ უნდა გახდეს მსჯელობის საგანი. გამოტანილი უნდა იქნეს სათანადო დადგენილება, შეიქმნას კომისია, რომ ზეიმით აღინიშნოს ეს ღირსეული თარიღი. მეც ჩემი შესაძლებლობით შევუერთდები. ველოდები მეორე, დასასრულ ნაწილს, ალბათ, იქ ითქმება პრაქტიკულ ღონისძიებათა შესახებ. შენს წერილებში ვხედავ მამულიშვილურ გატაცებას, საკითხთა ცოდნას, ახალი სიტყვის თქმის უნარსა და მისწრაფებას. მომწონს შენი ახალი თანამდებობაც. მჯერა, გაამართლებ სწავლულ მდივნობას. ხარისხსაც მოიპოვებ (თუმცა არ ვიცი, ახლა რა სტადიაშია შენი საკვალიფიკაციო შრომა, რომ ვიცოდე, იქნებ რჩევაც მოგცე). თქმა არ უნდა, რომ მადლიერებით აღვივსე აგრეთვე იმ სტატიის წაკითხვითაც, რომელიც ჩემს მცირე მოღვაწეობას მიუძღვენი.

მე მსურს მეტი ვიცოდე თქვენი მუზეუმის მუშაობაზე. ალბათ, მომიხდება ჩამოსვლა (თუ ამოსვლა?).

მანამდე თუ წერილობით გამომეხმაურები, კეთილ საქმეს ჩაიდენ.

მე გაცხოველებით ვმუშაობ პატრონიმიკურ ლექსიკაზე. წიგნად ვამუშავებ (ნაწყვეტები იხ. „მნათობში“, N1, 1978 წ.).

ამგვარად, გისურვებ, ჩემო ვაჟა, ახალ-ახალ შეტევათა წარმატებით დაგვირგვინებას, მორიგ გამარჯვებათა უწყვეტ ჯაჭვში.

გთხოვთ გადასცეთ ჩემი სალამი და კეთილი სურვილები ჩვენს კარგ მეგობარს გიორგი კაპანაძეს დიდ და ისტორიულ საქმეთა მესვეურსა და ხელმძღვანელს, მთელ კოლექტივს მოკითხვა!

პატივისცემით,

თქვენი *ილია მაისურაძე.*

5.VI.1978, რუსთავი.

P.S. სამწუხაროდ, „ახალციხის გათავისუფლებას“ არავინ გამოხმაურებია ჩემ გარდა.

სალამი და გამარჯვება ვაჟას!

ბორჯომიდან რომ ჩამოვედი, სახლში დამხვდა 12 აგვისტოს გაზეთი „სახალხო განათლება“.

წავიკითხე შენი სტატია საფარასა და მის უნივერსიტეტზე. გამიხარდა, რომ შენ ისევ შენ სიმაღლეზე დგახარ და ჯანსაღად აფასებ საერთო საზოგადოებრივ მოვლენებს. სტატია ნამდვილად კარგად არის დაწერილი და იგი შევა სამცხის კულტურული მოძრაობის ისტორიაში.

შენ მთხოვე და მეც გაწოდებ ხალხური ლექსის იმ სტრიქონებს, რომლებშიც არის სიტყვა „ჩამოვწკაპე“, მხატვარ გ. ხმალაძეს დედამისისგან ჩაუწერია:

მამაჩემი მასხარობით იტყოდა, ჯავახეთში ასეთი ლექსი იცოდნენო:

„დახვანდლიათ ყანაჩია

ჩამოვწკაპე გოლუგები“.

(გოლუგი ვირს ნიშნავსო. რა სიტყვაა თავისი წარმოშობით, ეს არ ვიცი. საბას არა აქვს. იგი იხსენიება ვინმე მესხის მიერ ჩაწერილ ერთ ხალხურ ლექსშიც. იხ. „ძველი საქართველო“, II, გვ. 253).

შენ თვითონ კარგად შენიშნე, რომ შ.რუსთაველის ლექსიკისა და მისი მესხურთან მიმართების შესასწავლად დიდად გვესაჭიროება პოემის ხელნაწერთა ვარიანტების გაცნობა და ეს უნდა შეასრულო, ჩემი მასალებიც უნდა გაიცნო.

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმე სიტყვა „პაშტას: გაცნობას („მევლო პაშტაი ხანია“, შდრ. ხალხური: „მურჯახეთიდან წამოველ, მე პაშტაი ხანია“) ამაზე ლიტერატურაც არსებობს.

ვფიქრობ, საფარობას (28.08-ს) კვლავ შევხვდებით.

მეგობრული და კეთილი გრძნობით

ილია მაისურაძე,

15.08.1980

მეგობრული სალამი და წარმატებითი კეთილი სურვილები ჩვენს ვაჟას!

სწორედ ორი დღის წინათ მივიღე შენი გზავნილი – ჩემთვის სასურველი გაზეთები. ახლა პირნათლად ვიქნები ჩვენ დოცენტთან, გუჩა კვარაცხელიასთან, რომლის ლექსი სკოლის საიუბილეო ნომერშია გამოქვეყნებული. დამპირდი, ამ გაზეთის გადმოცემას. სხვა ნომრებიც ჩემთვის საჭირო იყო. მადლობას მოგახსენებ სიტყვის ერთგულებისთვის. ახლა თემის თაობაზე. იგი შეიძლება ასე გამოიხატოს: „მესხური დიალექტიკური ლექსიკა საშუალო ქართულის ლიტერატურულ ძეგლებში“. ახალი ქართული შეიძლება თამამად გამოირიცხოს. მეცნიერული და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ეს უფრო მართებულია“.

შენი სტატია „ბრძოლების ასახვა...“ კარგია, ეს ისეთია, როგორიც უნდა იყოს, მაგრამ ნუ შემოვიღებთ ტერმინს „სამცხე-ჯავახურს“. იგი ხელოვნური არის და უცნაურადაც ჟღერს, აჯობებს პირდაპირ „მესხური“, რამეთუ ჯავახეთიც ისტორიულად მესხეთში შედიოდა (და არა მარტო ჯავახეთი).

ამასთან დაკავშირებით კარგი იქნება წაგეკითხა ჩემი სტატია: „მესხური ფოლკლორი ასპინძის ომის შესახებ„(„ლიტ.საქ.“ 3.06.1944 წ.).

ავტორეფერატისათვის ჩემი აზრით, გამოდგება შენი ნარკვევი, ხომლის შესახებ, ოღონდ მონასტრის აღწერა ისე, როგორც ეს ჟურნალშია, უნდა გამოტოვო და უფრო ენათმეცნიერული მხარე წარმოაჩინო.

მე კმაყოფილი ვარ, რომ მინიმუმის ჩაბარების განზრახვა არ უარყე (ამის ნიშნები შენს საუბარში მჟღავნდებოდა). ეს აუცილებელია, რამდენადაც მესხეთის რაიონებში არც ერთი არ მეგულება ადგილობრივი მუშაკი, რომ ხარისხიანი ფილოლოგი იყოს (ჩემს გარდა არის მხოლოდ ერთი, რომელიც თბილისში ცხოვრობს). მაშ, ამ საქმის გაკეთება (დაცვა) ისტორიული აუცილებლობაა! საჭიროა მხოლოდ ნებისყოფის დაძაბვა, გატაცება, დაჟინება და საქმის გაადვილება“.

მაშ, გელოდებით შემართებისთვის!

ჰა ბურთი და ჰა მოედანი!

ილია მაისურაძე,

18.02.1983.

ქ.რუსთავი

ვაჟას,

ელენემ მოგიკითხა და მთხოვა, გაგახსენო მისი დანაბარები ჩემი ბიძაშვილის მაროს შესახებ. ნახე და გაიგე, როგორ არის, რატომ დუმს, რატომ ერთხელ არ დარეკა მაინც, ან არ მოიწერა. სიადვილისათვის შეგიძლია სკოლაში შეიარო და იქ ნახო.

რედაქციიდან საგანგებოდ მომიკითხე თამარი და ორივე თინა (გუგუშვილი და მაისურაძე). აგრეთვე მ.ზედელაშვილი და თქვენი სხვა თანამშრომლები.

ი.ბ.

მეგობრული სალამი და გამარჯვება ვაჟას!

გაცნობებთ, რომ მივიღე ახალციხის გაზეთი, რომელშიც გამოქვეყნებულია ი.წიქარიშვილის გრძნობიერი წერილი ჩემს მცირე მოღვაწეობაზე, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ გაზეთის რედაქციას, რაიონულ კომიტეტს და აღმასკომს.

თქვენ რედაქტორს ამ მოვლენის აღსანიშნავად ვუგზავნი ორ ჩემ სტატიას გამოსაქვეყნებლად.

პასუხი დამაგვიანდა იმის გამო, რომ თიანეთის რაიონში ვიყავი მივლინებული სტუდენტთა დიალექტოლოგიური პრაქტიკის ხელმძღვანელად.

მადლობას მოგახსენებ მილოცვისა და კეთილი სურვილებისათვის, ვიცი, რომ ჩემი გულწრფელი დამფასებელი ხარ. ისიც მინდა გაცნობო, რომ დაიწყება თუ არა ახალი სასწავლო წელი, ა.ღლონტს ხელახლა მოველაპარაკები შენი კვლევა-ძიების საკითხზე.

იმედია 17.07-ის გაზ. „კომუნისტში“ წაიკითხავ ჩემს სტატიას „ვისი გორისა ხარ?“

შენი კეთილის მსურველი *ილია მაისურაძე*

25.07.1983 წ.

ვაჟას

ჩემს თანაკურსელ ამხანაგს

მე შენს ალბომში მისაბაძი ბევრი
რამ ვპოვე,
მრავალი აზრი საერთო გვაქვს, ვაჟავ,
მე და შენ,
ტკბილი ჰანგებით ჟღერენ შენი
ლექსის სტროფები
და მათი ქებით, აღტაცებით, ბევრს
არ მოგაწყენ.
შენმა ლექსებმა სიხალისით
შემასხეს ფრთები,
მეც მაამაყებს შენი კალმის ეს
ფხიანობა,
ამიტომ მინდა ახალგაზრდას,
თანამედროვეს,
არასდროს გფლობდეს უსაფუძვლო
სევდიანობა.
შენს ალალ-მართალ, უსპეტაკეს,
ჭაბუკურ გულში,
ამოიფხიკოს პესიმისტის მძიმე
სიტყვები,
ნუ გადაუხვევ იმ ნათელი ფართო
გზებიდან,
რომელთაც, ვაჟა, პოეტური ფიქრით
მიჰყვები.
უცხოდ არასდროს წარმოვიდგენ,
ეტრფოდე ვინმეს,
იყო მიჯნურის გულცივობით
გრძნობააშლილი,
მხოლოდ მაკვირვებს, ჩემო ძმაო,
ბედნიერ დროში,
რატომ ვერ ჰპოვე მყუდროება,
სიმშვიდე, ძილი?
დაე, იმღერე შეუპოვრად, მგზნებარე
ხმებით
და ნუ გექნება მცირე რამით ხმა
გაბზარული,
პოეზიაში გაბედულად შეაღე კარი,
და ყველას ნაცვლად შეიტანე ეს
სიყვარული!

აზა სახოკია,

5.11. 1957 წ.

მეგობრული სალამი და კეთილი სურვილები ვაჟა სამლონიძეს!

გავეცანი ა.წ. 15 ივლისის თქვენს გაზეთს, სადაც გამოქვეყნებულია სტატია „დავსხლიტოთ თუ დავწკიპოთ?“ იგი ლოგიკურად შეკრულ-დასაბუთებულია და კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. კიდევ ერთ ლექსიკურ საბუთად წარმოგვიდგება დიდი შოთას მშობლიური (დიალექტური) მეტყველების საანალიზოდ.

საგაზეთო სტატიისთვის რაც ითქვა, საკმარისია, მაგრამ თუ მას სამეცნიერო ნარკვევის სახე მიეცემა, კიდევ ზოგი რამ უნდა დაემატოს.

რატომ არ მაცნობებ ამ მიმართულებით რა მიღწევები გაქვს, კიდევ რა გამოაქვეყნე?

საყურადღებო თემების კვლევისა და აღძრულ საკითხთა ნათელყოფისათვის მთებსა და ზღვებს ლახავენ, შენ კი თბილის-რუსთავის ზღვარი ვერ გადმოლახე, რათა ჩემ მასალებსაც გაეცნო და ჩემი მსჯელობაც მოისმინო.

გიგზავნი ვინმე მესხისადმი მიძღვნილი განზრახული სამეცნიერო კონფერენციის მოსაწვევ ბარათს, ყველაფერი მზად იყო წამოსასვლელად, რომ ანაზდად დაგვირეკეს, აღარ შედგებაო. გადაიდო, როდემდე?!

ამის გამკეთებელი აღარავინ არის.

ილია მაისურაძე

შოთა ჩანტლაძის ერთი ლექსის გამო

,,დამპირდა" თუ ,,მიპირებს"?!.

ლიტერატურულმა ჟურნალმა **,,ისინდი"** (9,2020) გამოაქვეყნა პოეტ **შოთა ჩანტლაძის** მიერ 1963 წელს დაწერილი ჩვიდმეტსტრიქონიანი ლექსი. აი, ისიც!

გენერალი ქალაქიდან დამპირდა გასახლებას

გენერალი ქალაქიდან დამპირდა
გასახლებას,
გენერალი მილიციის.
ვინ იცის, ცხოვრებაში ვის რა
გადახდება,
ვის გაასახლებენ, ვინ იცის?
მე ერთი კაცი ვარ უდანაშაულო,
ჯიბეში არ მიდევს ჯაყვაც კი,
მაგრამ ორ შაურსაც მუდამ
ვერ ვშოულობ,
თუმც მნიშვნელოვანი ვარ
მოღვაწე.
სხვის ხარჯზე მოვილხენ
ყოველდღე,
საკუთარი არა მაქვს რადგანაც,
თუმცა მთელ ქალაქს მოვედე
და კიდევ გავწვდები ათ ქალაქს.
ნეტავი მეყიდა ლატარია,
რამე მომეგო ლატარეაში,
ნეტავი ვყოფილიყავი პატარაია,
დიდი ხეირია პატარაიაში.
გენერალი ქალაქიდან დამპირდა
გასახლებას.

როგორც ვხედავთ, ავტორი პირველ და ბოლო სტრიქონად ხაზგასმით იმეორებს თვით ლექსის სათაურს!

,,გენერალი ქალაქიდან დამპირდა გასახლებას".

ვინც კარგად დააკვირდება, ადვილად შეამჩნევს, რომ ამ სტრიქონში აშკარა ენობრივ-აზრობრივი შეუსაბამობაა გაპარული!

მილიციის გენერალი პოეტს, როგორც სახელმწიფო იდეოლოგიის საიმედო მეხოტბეს, ვთქვათ, რაიმე ჯილდოს, წოდებას, ფულად პრემიას, აგარაკს, პერსონალურ ავტომობილს, ფართოკაბინეტიან ახალ ბინას, ანდა რომელიმე კაპიტალისტური ქვეყნის ტურისტულ საგზურს კი არ **ჰპირდება,** არამედ სრულებით პირიქით – როგორც სახელმწიფო წეს-წყობილებისთვის საშიშ შემოქმედად მიჩნეულს, დასჯის მიზნით თბილისიდან, ვინ იცის, სად **უპირებს** გასახლება-გადასახლებას!!!

ერთი სიტყვით, აქ უნდა იყოს არა ,,გენერალი ქალაქიდან **მპირდება** გასახლებას", არამედ ,,გენერალი ქალაქიდან **მიპირებს** გასახლებას".

* * *

მეტი თვალსაჩინოებისთვის გავიხსენოთ **დავით გურამიშვილის ,,დავითიანის" 325-**ე სტროფის ბოლო სტრიქონი.

,,მუნ მოყვრის მუშას თავს ვადექ, მკას **უპირებდით ყანასა".**

აქ ყანას, მაგალითად, გამარგვლას, აკენჭვას, გამოხშირვას, აოშვას, ანდა მორწყვას კი არ **,,ჰპირდებიან"**, არამედ სრულ ,,განადგურებას", პირწმინდად მოჭრას ანუ მკას **,,უპირებენ!"**

ვინმე წარმოიდგენს, გურამიშვილს ასე რომ ეწეროს.

,,მუნ მოყვრის მუშას თავს ვადექ, მკას **ვპირდებოდით** ყანასა".

ალბათ, ყველაფერი ნათელია.

ჯემალ მეხრიშვილი

წერილი ბორჯომიდან

დ.ბორჯომი მეტად შესანიშნავია წმინდა ჰაერით, სამკურნალო მადნის წყლებით, მშვენიერის ტყეებითა და ბაღებით. ბორჯომი წარმოადგენს მეტად ლამაზ ხეობას და გაშენებულია მტკვრის ორსავე ნაპირზედ; გარშემო ბორჯომს დაჰყურებს მშვენიერი ტყით შემოსილი მაღალი მთები, აღმოსავლეთით უძევს „ვარანცოვის პარკი" და მადნების სამკურნალო წყლების პარკი. „ვარანცოვის პარკი" მაღლობზეა და განსხვავდება მშვენიერის ჰაერით; „სამკურნალო წყლების პარკი" მდებარეობს ძირს ვაკეში, თვით პატარა მდინარე „ბორჯომკაზედ". ამ პარკში განსაკუთრებით შესანიშნავია ორი



სამკურნალო წყალი: „ეკგენიევისა" და „ეკატერინისა", აქვეა მშვენიერი სასტუმროები, მადნის წყლების ქარხანა, ხიმიკური ლაბორატორია, ელექტრონის სადგური, ძალიან კარგად მოწყობილი სასეირნო ბაღი, სადაც ყოველ დღე სამხედრო მუსიკა უკრავს დილა-საღამოს; აქვეა აბანოები, აუზები, მადნის წყლების კანტორა და სხვა. კანტორაშია მოთავსებული მშვენიერი დიდი დარბაზი, სადაც იმართება საცეკვავო საღამოები, წარმოდგენები და კონცერტები. ამ კანტორას აქვს მდიდარი წიგნთ-საცავი და სამკითხველო, სადაც წიგნების წაღება და კითხვა ოთხი მან. ღირს მთელ ზაფხულს; ხოლო ჟურნალ-გაზეთების კითხვა-კი უსასყიდლოდ შეიძლება. სამკითხველოს მოსდის შემდეგი გაზეთები: „ივერია", „კავკასი", „ტფილისის ფურცელი", „ოდესის ფურცელი", „ნედელია", „ნოვოე ვრემია", „რუსკია ვედომოსტი" და „მშაკი". აქ არიან მკურნალები: ე.ა. ადამოვიჩი, ზ.ნ. აკიმოვი, მ.კ. ფლორინა, ა.ი. ხატისოვი, ს.პ. შახ-პარონიანი, მ.დ. სემენსკი, კ.პ. კოლფზონი და აქვე არის დროებითი ჩვენი ექიმიც ბ-ნი ს.თოფურიაც. მკურნალი ბებია ქალებია: ა.მ. ალეინეროკი და ა.ა. კოჩენოვი.

დასავლეთით ბორჯომს აქვს მშვენიერი გაშლილი ჭალა, ნაძვნარ და ფიჭვნარ ტყით შემოსილი, სადაც აშენებულია დიდებული სასახლე და სადაც ზაფხულობით სცხოვრობს ბორჯომის მფლობელი მისი იმპერატორებითი უმაღლესობა, დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე; დასავლეთისკენვე ბორჯომს უძევს პატარა სოფელი „ლიკანია", შესანიშნავი ცივის წყაროებითა და კარგი ჰავით.

ბორჯომში არიან შემდეგი დაწესებულებანი: ბორჯომის მამულის კანტორა, სახელოსნო და საქალებო სასწავლებლები, აფთიაქი, პოლიციის სამმართველო, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა, სამი მართლ-მადიდებელთა ეკლესია და ერთი სომხის. ზაფხულობით აქ არის მომრიგებელი სასამართლოც, რომელიც დროებით ჩამოდის დ. სურამიდგან და სხვანი.

წელს ბორჯომში წარსულს წლებზედ შედარებით ძალიან ცოტა ხალხია მოსული საზაფხულოდ. მიზეზად ასახელებენ პარიჟის მსოფლიო გამოფენას, სადაც საქართველოდგან ბევრნი წავიდნენ, და წრევანდელი ზაფხულის გრილ ჰავას. ამისდა მიუხედავად, ბორჯომში სახლები უწინდელებრ ძვირია; ბევრს დარჩენია თავის სახლები გაუქირავებელი, მაგრამ თუ ჩვეულებრივი წინანდელი ქირა არ აიღეს, მაინც არ აქირავებენ. ხორაგეულობა ძვირია, რადგან სანოვაგე უმეტეს ნაწილად გარეშე ქალაქებიდგან მოაქვთ: საკლავი მეტად კარგი იკვლის. ხილი აქ მეტად ძვირი და უგემური იყიდება, რადგანაც მეხილეებს შორეულ ქალაქებიდგან მოაქვთ მკვახე და დაუმწიფებელი ხილი იმ განზრახვით, რომ თუ ვინიცობაა დროზედ ვერ გაიყიდა, არ დაულპებათ მაინც.

დ.ბორჯომი თანდათან იზრდება, მეტად ლამაზია და შემკობილი შენობებით და მოსალოდნელია ეს პატარა დაბა შემდეგ ქალაქად გადაკეთდეს. დღეს-კი ბორჯომი, როგორც საагარაკო ადგილი, თითქმის ყველა ჩვენ დაბებს სჯობია თავისის სუფთა ჰაერით, ლამაზის მდებარეობითა და სამკურნალო წყლებით.

ბესარიონ ვაშაძე,
გაზეთი „ივერია", 1900 წელი, N 169

ანგარიში ახალციხის ქართულის სახალხო სამკითხველოსი 1901 წლისა

2 თებერვალს მოხსენდა საზოგადო კრებას ანგარიში ახალციხის ქართულის სახალხო სამკითხველოსი 1901 წლისა.

სამკითხველო დაარსებულია 1895 წ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ. განაგებს სამკითხველოს სამზრუნველო, რომლის თავმჯდომარედაა ქ-ნი კ.ს. მეფისაშვილი, წევრებად: ქ-ნი მ.ი. ბეთანელი, კნ. თამარ გ,ვაჩნაძე, ქ-ნი ევ.გ.ასათიანი, მღ. ს.ჭუჭულაშვილი, ა.თ.ყიფშიძე და ს.ს. ღვთისავრიშვილი.

სამკითხველოს დახმარებას უჩენს წ.კ. საზოგადოება წიგნებისა და ფულის გამოგზავნით, აგრეთვე უფასოდ უწერს ადგილობრივს ჟურნალ-გაზეთებს რუსულსა და ქართულს.

საანგარიშო წლის პირველ იანვრისათვის სამკითხველოს ჰქონდა: ქართული წიგნი 1016, რუსული 444. საანგარიშო წელს შეიძინა: ქართული 37 ცალი, რუსული 85.

საანგარიშო წელს სამკითხველოს ჰყავდა ხელის მომწერი 168, თვეში ორთა შუა რიცხვით 14. წიგნები გაუტანიათ 3,012-ჯერ. ქართული მოუთხოვიათ 1,986 ცალი და რუსული 1,026 ც. სამკითხველოს 1901 წ. მოსდიოდა: „ივერია", „ცნ. ფურცელი", „კვალი", „მოამბე", „მოგზაური, „ჯეჯილი", „კავკასი", „ახ. მიმოხილვა", „არგონავტი", „ნივა", „ნედელია", „კავკაზსკი ვესტნიკი", „ჟურნალ დლია ვსეხ" და „ბირჟევია ვედომოსტი".

საანგარიშო წელს შემოსულა სამკითხველოში 4,671 კაცი (მამაკაცი 4,190; ქალი 481). თვეში ორთა შუა რიცხვით შემოსულა: (მ.კაცი 350, დ.კაცი 40).

შემოსავალი:

1). გასულის 1900 წ.დარჩომილა – 499 მ. 8 კ.
2).საწევრო ფულით – 44 მან.
3).წიგნების გატანის ფასი – 14 მ. 10 კ.
4).დახმარება წ.კ. საზოგადოებისა 72 მან.
5).დღიურ მოსიარულეთაგან – 95 კ.
6).შემოწირულობა – 37 მან.
7).წარმოდგენა – 111 მ.83 კ.
8).წვრილმანი შემოსავალი – 11 მ.12 კ

სულ 790 მ. 8 კ.

ხარჯი:

1).სადგომის ქირა – 35 მან.
2). წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ფასი – 40 მან. 14 კ.
3).ყდების ფასი – 17 მან.
4).განათება და გათბობა – 31 მ. 51 კაპ.
5).მოსამსახურის ჯამაგირი – 137 მან.
6).ფოსტის და კანცელარიის ხარჯი – 2 მ. 21 კ.
7).წვრილმანი ხარჯი – 1 მ. 81 კ.

სულ 264 მ. 81 კ.

თუ 1900 წ. დარჩენილ ფულს არ ვიანგარიშებთ, ხარჯმა გადაამეტა შემოსავალს 8 მ. 46 კ. დეფიციტი დაიფარა იმ ფულიდგან, რომელიც გადადებულია სამკითხველოს შენობის ასაგებად. ეს ფული არის 533 მან. 87 კაპ.

ახალციხის სამკითხველოს ისევე ემართება, რაც ყველა ჩვენს ქართულ საქველ-მოქმედო საზოგადოებას, ე.ი. წევრებად ხალისით ეწერებიან და შემდეგ საწევრო ფულს-კი აღარ იხდიან. სამკითხველოს თითქმის 45 წევრი ჰყავს, რომელნიც მოვალენი არიან წელიწადში 2 მ. იხადონ და 1901 წ. მხოლოდ 44 მ. შემოვიდა. ყველას რომ თავის მოვალეობა აესრულებინა, დეფიციტი არ იქნებოდა და შემოსავალი ხარჯს გადააჭარბებდა.

დასასრულ, კრებამ სამზრუნველოს წევრებად აირჩია: ქ-ნი ნ.ი. ქიქოძე, ნ.ი. შიუკაშვილი, ი.დ. ყანჩაველი, მ.ვ. ჩოფიკაშვილი, მდივნად და ხაზინადარად ქ-ნი ნ.ი. ქიქოძე.

კრებამვე გარდასწყვიტა გამოეცხადოს უღრმესი მადლობა გრიგოლ ივანეს ძე ბურჭულაძეს იმ ნაყოფიერ და სასარგებლო ღვაწლისათვის, რომელიც დასდო ახალციხის ქართულს სამკითხველოს. კრებამ გამოუცხადა აგრეთვე მადლობა ბ-ნს ი.ი. კრილცოვს, რომელმაც უსასყიდლოდ შეადგინა გეგმა სამკითხველოს მომავალის შენობისა.

თავმჯდომარე ***კონსტანცია ს. მეფისაშვილი,***
მდივანი ***ნინო ი. ქიქოძე,***

გაზ. „ივერია" 1902 წ.N32

სპარსული ლირიკიდან

ხაყანი შირვანელი

(1120-1190)

* * *

არაფერია, ჩვენი ყოფა, არაფერია,
ლამაზ ნოხებით სახლის მორთვა არაფერია.
ახალგაზრდობა – ერთადერთი არის ნუგეში,
ახალგაზრდობაც, რომ დაფიქრდე, არაფერია.

* * *

ტოტი ქვეყნისა, ხაყანის აზრით,
ნაყოფს ისხამდეს, არა ღირს იმად.
ტკბილეულობით გაშლილი სუფრა
ბუზს ხელს უქშევდე, არა ღირს იმად.
ხოტბას ასხამდე მბრძანებელს შენსას,
ოქრო და ვერცხლი არა ღირს იმად.

* * *

ნუ გაუწყრები ამ სამყაროს, მისმინე, ძმაო,
როგორიც არის, კმაყოფილი იყავი მისით.
ღამე თუ იგი შენ გასხურებს ვარსკვლავთა
წვიმას,
ქვეყნიერების მანათობელს გიგზავნის
დღისით.

* * *

კაცი შეგხედავს, გველი ხარ სუფთა,
თუმცა ყოველთვის მიირთმევ შაქარს.
ხაყანი თუთიყუშია, მაგრამ
ნაღველს მიირთმევს ახალს და ახალს.
ვის დავაბრალო ყოველი ესე,
თუ არა ბედს და საწუთროს მზაკვარს,
შაქარს მიირთმევს ნიადაგ იგი,
ვინც უნდა ჭამდეს თიხას და ნაცარს.

* * *

ოი, ხაყანი, იგლოვო უნდა,
კაცი არ არის დღეს შენებრ ცოდვა;
მტვერზე მეტი ჩანს შენს ირგვლივ მტერი,
მეგობარი კი – ოქროზე ცოტა.

* * *

ღარიბ-ღატაკნი და უქონელნი
ჭეშმარიტების გზაზე მავალნი,
მართლა ღატაკნი კი არ არიან,
ყველა მეფეა და სხვა არავინ.
დიდებულთა და კეთილშობილთა
თავში უსხედან ისინი სუფრას,
ბრძოლის ველზე კი იგებენ ბრძოლას
უბრძოლველად და სულ თავისუფლად.
ქაბის გზაზე დგანან ისინი,
მათ ელოდებათ აღთქმული მხარე.
ცის გუმბათია თითოეული,
თითოეული მზეა და მთვარე.
თითქოს და ღამე მთვრალია ყველა,
აღარ არიან ამ ქვეყნის ხაბარს,
გათენდება და თითოეული
გვიყვება ამბავს ახალს და ახალს.

* * *

ნუ გაიკვირვებ, ჩემო ხაყანი,
თუკი პატარა გახდება დიდი.
პატარა კაცი დიდი თუ გახდა,
ყოველთვის მასთან იყავი რიდით.
როს ხედ იქცევა პატარა ნერგი,
სიდიდეს მისას უარყოფ რითი.
ვით შეიძლება, არ გწამდეს კაცის,
თუ იგი უფლის წყალობით მიდის.
ხარი თუ ბღავის, ღვთის ნებით მხოლოდ,
ვიღაცის ნებით არ ბღავის იგი.

* * *

ო, რა უდროოდ გავჭაღარავდი,
ო, რა უდროოდ მეცვალა ფერი,
უძვირფასესი მეგობართ შორის
უსასტიკესი გამიხდა მტერი.

გოგონას გარდაცვალებაზე

ჩემმა ჭკვიანმა, შორსმჭვრეტელმა
პაწია ცირამ
ნახა, სიცოცხლე ამაოა, არა ღირს ჩირად.
და საჩუქარმა, ნაბოძებმა იდუმალებით,
არ დააყოვნა, არ დაიდო სოფელში ბინა.
წმინდანად იყო მოვლენილი ამ სოფლად იგი,
უწმინდურება მცირე ხნითაც ვერ მოითმინა.
ნახა მწუხარე, ღარიბული სადგომი ჩემი,
წავიდა ჩუმად, დათუთქული დამტოვა შინა.
ნახა დაია მან თავისი, სუდარით ჩადრის,
ესეც კმარაო, გაიფიქრა, ოჯახში ჭირად.

* * *

ვაი, როგორ მოკვდა გული, დამრჩა მზერა
წყლიანი,
ვის დაინდობს ეს საწუთრო, ანუ ბედის ტრიალი.
ყველაფერი, რაც გავსინჯე წუთისოფლის
სუფრაზე,
ან მთლად უმარილო იყო, ან მთლად მარილიანი.

ჯელალ ედ დინ რუმი

(1207 - 1273)

* * *

მომხედე, შენმა სიყვარულმა ხელად მაქცია,
ქალაქი ვიყავ, უკაცრიელ ველად მაქცია.
შენზე ოცნებამ განმაშორა სახლსა და ნივთებს,
დარდების თანამოსახლედ და მხევლად
მაქცია.

ნუ იტყვი იმას, დავრდომილი ვიყავი ვითარ,
შენმა დანახვამ რაინდად და ქველად მაქცია.

შენმა არსებამ, ოდეს ჩემში ვყავი საჩინო,
მოყვასთა შორის უცხოელად გარდამაქცია.

მე სიყვარულზე დღე და ღამე ზღაპრების
თხრობამ
თვითონ ზღაპრად და სიყვარულის თემად
მაქცია.

* * *

ჩუმად წავედი, ჩემი სული ცას გაერია,
არ ვიყავ ალი, არც დემონი და არც ფერია.

თოვლი ვიყავ და დედამიწამ დამლია ჩუმად,
ტყვე გავიპარე ან საშიში არაფერია.

მე არ ვეკუთვნი წარმავალთა, სული ვარ ოდეს,
ჩემი სული ხომ მარადიულ სულის ფერია.

ვინც არ მელოდა, მე მივედი იმასთან სწორედ,
გული მივართვი უთვისტომოდ განათელია.

გული მივართვი, გადავიქეც კაცი მიწადა,
გლოვად ვიქეცი და ცრემლები შემომელია.

ბაგეთა მისთა მე მაჩუქეს ათასი გული,
მაგრამ უენოს ერთი სიტყვაც ვერ დამცდენია.

უგონოდ გდებულს მომეახლა სატრფო
და მითხრა:
„ნუთუ გამხელა სიყვარულის ასე ძნელია!“

ო, ამ სიტყვებით უდიდესი მიჯნური გავხდი,
მოვშორდი ყველას და საგზალიც შემომელია.

* * *

ეს სიმარტოვე ათას სულზე უფრო ტკბილია,
თავისუფლება – სამყაროზე უფრო ტკბილია.
ღმერთთან იგრძენი, თუნდაც წამით,
არსება შენი,
სხვა ყველაფერი ქვეყანაზე მოგონილია.

* * *

ხარ სათნოების უსამანო ზღვა მოციმციმე,
შენ მოლოდინით არც არავის გულს არ
უმძიმებ.
შენგან არავინ არასოდეს არაფერს ითხოვს,
მზისგან არავინ არასოდეს არ ითხოვს სხივებს.

* * *

შენს გვერდით მონა გამდიდრდება და აივსება,
ხოლო ლაჩარში გაიღვიძებს გმირის ღირსება.
თიხად იქცევა, თუ ისურვებ, შენს ხელში ოქრო,
შენს ხელში თიხა, თუ ისურვებ, ოქროდ
იქცევა.

* * *

ბაღში ვიყავ, მოვწყვიტე ვარდი ალისფერია,
დავინახე მებაღე, გული გადამელია.
– რა მოხდაო, დამშვიდდი, – მითხრა ტკბილად
მებაღემ,
– ბაღს მოგართმევ მთლიანად, ვარდი რა
სათქმელია?

* * *

მან გამაჩინა, მან მომაპყრო წყალობის თვალი,
მან შემიკერა ეს სამოსი ძარღვით და ტყავით.
ტანი ძონძია, ხოლო გული არის დერვიში,
ის შეიხია, ხანაგა კი სამყარო არის.

საადი შირაზელი

(1203-1292)

* * *

თუ სასახლეში არავის იცნობ,
ნუ მიადგები სასახლის კარებს,
თორემ ან ძაღლი, ან კარისკაცი,
უმალვე, როგორც შეგავლებს თვალებს,
ერთი ფეხებში გეცემა, ხოლო
მეორე გისვრის კინწისკვრით გარეთ.

* * *

ვნახე, შუადღე ულმობელ მტარვალს
ძილისთვის ტკბილად მიეცა თავი.
ვთქვი, რომ ეს კაცი კარგია მაშინ,
როცა მკვდარივით მძინარე არის.
ის ვინც კარგია მძინარე მხოლოდ,
უმჯობესია, რომ იყოს მკვდარი.

* * *

ადამის მოდგმა ერთმანეთის არის ნაწილი,
ქმნილება ყველა ერთი არის მაღალი ღმერთის.
დაეკარგება, უსათუოდ, სიმშვიდე ყველას,
თუ კი იმათგან გაიმეტა უფალმა ერთიც.

* * *

კაცი საწყალი და უქონელი
მსუბუქად მივა სიკვდილის კართან,
მაგრამ მდიდარი იხილო უნდა,
როს გაეცლება წყალობის კალთა,
ბატონისათვის ესა ჰგავს ბორკილს,
ხოლო მონისთვის ბორკილის აყრას.

* * *

ძაღლები ნახე, როს საჭმელი არაფერი აქვთ,
რარიგ არიან, ერთმანეთი ან როგორ უყვართ,
მაგრამ უკანალს დააგლეჯენ ერთიმეორეს,
საკმარისია, გადაუგდო მათ ერთი ლუკმა.

* * *

შენ შეგიძლია, უბრალო ქვითაც,
რომ დაამსხვრიო თვით ოქროს თასი.
თუმც ამით ოქროს არაფერი დააკლდება და,
არც მოიმატებს ამით ქვის ფასი.

* * *

სიხარულისთვის დახშულია იმ სახლის კარი,
წივილ-კივილი საიდანაც მოისმის ქალის.

* * *

ხელმწიფემ სისხლი საკუთარი თუ არ დაღვარა,
სამეფო მისი დაიცლება სისხლისგან მაშინ.
უნდა ყოველდღე ერთი მაინც მოიკლას მგელი,
რომ მის ღრიალზე დანარჩენი შეძვრეს ბუნაგში.

* * *

თუ აღარ ძალგიძს მოაშორო დარდიანს სევდა,
იმას უფრორე დააღონებს შეხვედრა შენთან.
ათასი ტკბილი შარბათი და ნუგბარი ხილი
მოწამლულს ისე არ აამებს, ვით სიტყვა ტკბილი.
დერვიშმა ერთხელ თუ გაბედა კაკუნი კარზე,
კარი ბევრია ქვეყანაზე და ივლის ასე.
გულით მოგენდოს, არ მიენდო, ძვირფასო მასაც,
ვინც ერთს გაანდო სატკივარი, გაანდობს
სხვასაც.

* * *

როდესაც უწყი, ჩამოვარდნა აღარ აგცდება,
მაგ სიმაღლეზე წამოჯდომა აბა, რას გარგებს.
არ გირჩევნია, ნება-ნება იარო ფეხით,
ვიდრე ამხედრდე ბედაურზე და ჩამოვარდე.

* * *

თუკი დასჭირდა მეგობარს შენსას,
გაყიდე მამის ეზო და კარი.
მეგობრის ქვაბის ასადუღებლად
შენი ავეჯი ალალი არის.
სიკეთე უყავ მოსურნეს ავის,
ძაღლს პირს შეუკრავს პატარა ძვალი.

* * *

ერთ ხალიჩაზე მოისვენებს დერვიში ათი
და არ ატყდება დავა მათ შორის,
მაგრამ იცოდე, რომ ვერაფრით ვერ მოისვენებს
ერთ სამეფოში ხელმწიფე ორი.

* * *

ნუ მოეპყრობი კეთილად ბოროტს,
ეს ბოროტების ჩადენა არის.
იქ, სადაც მგლები დადიან ლაღად,
სულ ერთიანად გაწყდება ცხვარი.

* * *

უმჯობესია, მოთმინებით დალიო სული,
ვიდრე უღირსის წყალობისკენ გეჭიროს თვალი,
უმჯობესია, უდაბნოში წყურვილით მოკვდე,
ვიდრე ბინძურის გამოწვდილი დალიო წყალი.

* * *

თუკი ყურძენი მკვახე იყო და მოგჭრა კბილი,
ორი-სამი დღე დაიცადე, იქნება ტკბილი.

* * *

სიტყვა, თუნდ იყოს საამო და დამპყრობი გულის,
იმსახურებდეს მოწონებას, ხოტბას და ქებას,
ნათქვამი ერთხელ აღარა ხანს გაიმეორო,
ზედმეტი ჰალვა უსათუოდ მოგიტანს ვნებას.

* * *

ვისაც ხალხი პატიოსან
მართალ კაცად იცნობს,
მან რაც უნდა ტყუილი თქვას,
აპატიონ ვინძლო,
მაგრამ კაცად თუ არ თვლიან,
არის ცრუპენტელა,
მაშინ მისი აღარავის
მართალიც არ ჯერა.

* * *

თუ მოვა ვინმე, ღამე ძალით ჩაგიქრობს სანთელს,
გამოასალმე ყველას თვალწინ იგი დღის ნათელს.
მაგრამ თუ სატრფო, პირმცინარი, მოვიდა შენთან,
გულში ჩაიკარ, თვით ჩააქრე სანთელი ამ დროს.

* * *

მე ვარ ნაწყენი მეგობრებისგან,
წარმოაჩენენ ჩემს ცუდს რომ კარგად.
სიგლახე ჩემი რომ მოსწონთ ჩემში,
რომ მიიჩნევენ ჩემს ეკალს ვარდად.
სად არის ნეტავ ბინძური მტერი,
ჩემს თვალში ჩემს თავს ახადოს ფარდა.

ხოსრო დეჰლელი

(1253-1325)

* * *

შენთან რაიმეს სათხოვნელად არასდროს
მოვალ,
არავითარი არ მექნება მე შენთან თხოვნა.
მბრძანებელს მე ხომ არ გასწავლი,
მოიქცე როგორ?
მომექეც ისე, მოექცევი როგორც შენს მონას.

* * *

მეგობართ შორის თუ ატყდა დავა
და შეიძინა მან სახე მძაფრი,
ერთმა მეორეს დაუთმოს უნდა,
რომ მეგობრობის არ გაწყდეს ძაფი.
თუ გაქაჩავენ ორივე მხრიდან,
თოკი ხომ ვეღარ დარჩება მთელი?
მაგრამ ის მთელი დარჩება მაშინ,
თუ ერთმა მხარემ გაუშვა ხელი.

* * *

ბრძოლის დროს ზოგი გმირია და – ლაჩარი
ზოგი,
ერთად ცხოვრობენ უდაბნოში ლომი და ტურა.

საიბ თავრიზელი

(1766-1823)

მფრინავი ბეითებიდან

* * *

ხელგაშლილი თუ არა ხარ,
შუბლგახსნილი იყავ მაინც.

* * *

საკუთარ სახლში მათხოვარიც მეფეთ მეფეა,
ნუ გახვალ გარეთ და იყავი მეფეთა მეფე.

* * *

იცოდე, შენი სამათხოვროდ გაწვდილი ხელი
შენს პირისწყალზე გადებული ხიდია მხოლოდ.

* * *

თუმც გალიიდან გამოფრენა არ შეგვიძლია,
ეს როდი ნიშნავს, არ შემოვკრათ საფრენად
ფრთები.

* * *

სიცოცხლე ნიაღვარივით არის,
მიგვერეკება ვით ნარ-ეკალს
არყოფნის ზღვისკენ.

* * *

არ ჩაიტოვო არაფერი არასდროს გულში,
გული ყოველთვის სარკესავით
კრიალა გქონდეს.

* * *

სხვებს თუ ვერ შველი, ის მაინც შესძელ,
თვითონ არ გახდე საშველი სხვისი.

* * *

სამყაროს ბრუნვა აღარ არჩევს ავსა
და კეთილს,
წისქვილის ქვისთვის ერთი არის პური და ქერი.

* * *

ჩემს ჭაღარაზე, ახალგაზრდავ, ნუ ჩაიღიმებ,
ეს თოვლი ყველა სახურავზე დაეფინება.

* * *

აი, სიკეთე ნაქურდალ კოცნის,
რომ დააბრუნო – ხელმეორედ აკოცო უნდა.

სპარსულიდან თარგმნა
ნომადი გართაიამ

ხალხური ლექსები

*

წყლის პირსა ორი ხოხობი
უდედოდ დავიზარდეთო,
ავი ჯალაბის პატრონი
უცხო თემს დავიკარგეთო.

*

ჯავახეთო და კახეთო
გავერნებული გნახეთო,
შედგმული შეჭამადები
მარილათ ვეღარ გნახეთო.

*

სახნის-საკვეთი ჭამბარა
მამასახლისმა მამპარა,
იმას გაუწყდეს ცოლ-შვილი,
უხნავ-უთესი დაგვყარა.

*

მამასახლისის ხარსაო,
წავაგდებინებ რქასაო,
წავალ, ქალაქში გავყიდი,
ვიყიდი ზანზალაკსაო,
დავკიდამ, დავაჟღარუნამ,
მივყვები იმის ხმასაო.

*

ჯავახეთო, კოდიანო,
შეპანტები მოდიანო,
მეჭიმუნე წინ მიუძღვის,
თამაშობით მორბიანო,
მეჭიმუნეს პური შივა,
ლაში დაბლა დაუშვია,
ერთი ლუკმა პურისათვის
სახლი ოხრად გაუშვია.

*

ერთხელ მეც ვიყავ მეცხვარე,
ცხვარი ვაძვიე ილოსა,
ახალნი გათათრებულნი
თავზე იხვევდნენ ტილოსა.

*

კამეჩები დამეკარგნენ,
დაუღლელი ხარებიო,
შინ ვერ შევალ შიშითაო,
რძლები მცემენ ციცხვითაო.

*

ზევიდან ქორი მოფრინავდა,
ქვეშ მიმინო ხომლიანი,
გოგოვ, წელსა ნუ მოიხსნი,
აგერ მოდი ქამრიანი.

*

ამოდი, ამოიტანე,
ნიავო ქერობისაო,
ამბავი ჩამოიტანე
ქართლელი ქალებისაო.

*

ამომავალი მზე ხარო,
მაღლა ჩარდახში წევხარო,
შინ შეხვალ, პირს რო დაიბან,
გარეთ გამოხვალ, მზე ხარო.

*

გოგოვ, წითელ კაბიანო,
შენთან მოსვლა მწადიანო,
ჩიქილა ყურთ აიწიე,
ლოყას კოცნა მწადიაო.

*

ლამაზო, შენსა ხვევნასა,
ლალი შემამწყდა პერანგსა,
მიპოვნე, გამომიგზავნე,
შენი ძმიების ლხენასა.

*

დაგლოცოს პირმა ღვთისამან,
ნაწილმა ბარძიმისაო,
ზედ შეხვეულმა ჯვარ-ხატმა,
სიონმა ქალაქისაო.

*შეკრებილი სოფ. უდეში (ახალციხის მაზრა) **იოანე ბარიკალაშვილის** მიერ.*
ივერია, 1891, N202

მილოცვა



გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია ულოცავს დიდებულ ქართველს, მესხეთზე უსაზღვროდ შეყვარებულ ადამიანს, ახალციხის დიდ კოლორიტსა და საპატიო მოქალაქეს, ახალციხის ამაღლების ტაძრის მშენებლობის სულისჩამდგმელს **ომარ ჯაყელს** 80 წლის ღირსეულ იუბილეს და უსურვებს ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

***

წვერის მთიდან მორაკრაკე
ნაკადულო ანკარა,
მითხარ, მითხარ, გენაცვალე,
თავქვემ ხომ არ დაგღალა.

წვერის წყარო როგორ არის,
შენი დედა-მშობელი,
რა ხანია არ მინახავს
და მის ნახვას მოველი.

სოფლის ჭალას ჩამოსულმა
თუ რომ რუზე იდინო,
პაპათ ბაღჩა კარგად მორწყე,
მომიკითხე ციცინო.

თეთრი მიწის თავსაც გასწვდი,
შეუერთდი წყაროებს,
ნიპათ ხევშიც ჩაიარე,
დაესხურე კალოებს.

წვერისწყაროს ნაკადულო,
სხივო, ნათელ მიზნისავ,
ნეტავ საით მირაკრაკებ,
ნატვრავ ჩემი ფიქრისავ!

***

შენ, ჩვენო წუთისოფელო,
რა დამტანჯველი რამ ხარო,
გვატარებ აღმა-დაღმართებს,
შენ კი ვაკეზე დახვალო.

წელში რომ გავიმართებით,
მაშინ დაგვადგამ თვალსაო,
აღარ დაგვაცლი სიხარულს,
აგერ, მომდგარსა კარსაო.

მუხთალო წუთისოფელო,
ხარბო და გაუმაძღარო,
გაჩენის დღიდან ასე ხარ,
რაც კი შექმნილა სამყარო.

ყველას ჩაყლაპვას გვიპირებ,
ოკეანე ხარ, ზღვა ხარო,
ვერ გაგვიგია სად გვიცდი,
ჩასაფრებული სად ხარო.

ამქვეყნად ერთხელ მოსულსა
უნდა გვახსოვდეს ღვთისაო,
რასაცა დასთეს – მოიმკი,
ცუდს ნუ ინდომებ სხვისაო.

შენ, ჩვენო წუთისოფელო,
სასწორო სიმართლისაო,
ყველას თავისას მოგვიზღვავ,
საიქიოსა გზისაო.

ავტორ-მთქმელი
ბადრი თამაზაშვილი,
67 წლის, ქ. ახალციხე

ანდაზები

– თუ წარსულს პატივს არ სცემ, ნურც მომავლისგან გექნება პატივისცემის იმედი;
– რასაც მომავალს მიაბარებ, იმას მომავალი გადაგიხდისო;
– გაბზარულ უღელს სალტა გატეხვამდე სჭირდებაო;
– ქურდს მილიონი რომ აჩუქო, კაპიკიანსაც მოგპარავსო;
– უღონო ყანას გონიერი გლეხი აღონიერებს და უღონო გლეხს ღონიერი ყანაო;
– უქმად მოხვეჭილ ქონებას შრომით მოხვეჭილი ქონება გერჩიოსო;
– თუ ღმერთი არ გწამს, უღმერთობას ნუ ჩაიდენო;
– მშრომელი კაცის ტუტე ოფლი მუქთახორის თაფლზეც უტკბესიაო;
– მდიდარ კაცს ღარიბის სიმრავლე უხაროდა და ღარიბს – მდიდრის სიმრავლეო;
– გამყიდველს ტყუილი ისე უყვარს, როგორც მყიდველს მართალიო;
– გამყიდველის ფიცი მამლის ქურდის ფიცსა ჰგავსო;
– ვინც საუბარში ფიცს იშველიებს, იმის მართალიც არ დაიჯერებაო;
– ჭკუა იმას აქვს, ვისაც თვალი და ყური არ აკლიაო;
– ჭკვიანი კაცი სიკვდილის მერე უფრო მეტს ცოცხლობსო;
– ხელოსანი ხელოსნის ქურდიაო;
– სიბრძნეს წლოვანებასთან ბევრად არაფერი აკავშირებსო;
– კარგ გლეხს 30 სანტიმეტრის სისქის მიწა არგუნეს,

ზარმაცსა და უქნარას – 2 მეტრზე მეტი სიღრმისაო;
– უცოდინარმა კაცმა ვირი არ უნდა იყიდოს, კაპიკიც რომ ღირდესო;
– რძალი თავისთვის შავ საკაბეს ყიდულობდა და დედამთილისთვის – თეთრ ნაჭერსაო;
– ადამიანის დაბადების დღე რამდენადაც ტკბილია, იმდენადაც მწარეაო;
– ადამიანი ადამიანს ჰქვიაო;
– ენა ჭკუისა და გემოვნების საზომიაო;
– თუ მეზობელი გძულს, რაც ისესხოს შენგან, ის აჩუქეო;
– კაი მეზობელს კაი რამე არ ათხოვოო;
– კეთილ სტუმარს ხმელი პურით უმასპინძლე, ძუნწს – არაფერი მოაკლოო;
– კეთილ ადამიანს სასმელი არ ათრობსო;
– მშვიდობა იმას უყვარს, ვისაც ომის გემო გაუსინჯავსო;
– ხმელი ხის მოჭრა მადლია, ნორჩის – დასამადლიო;
– ყველაზე დიდი დამნაშავე ის არის, ვინც დამნაშავეს დანაშაულს არ უძრახისო;
– ვისაც ხერხი აქვს, ხელოსანიც ის არისო;
– მეფე მაშინ მეფობს, როცა მეფის წყალობა ისმისო;
– მუზეუმის დირექტორს ძველის შოვნა ისე უხარია, როგორც თათარს ოქროსიო;
– მუზეუმს ძველი ნივთი ისე ამშვენებს, როგორც პატარძალს ჩიხტი-კოპიო.

მთქმელი **ბახო (ვახტანგ) საბაშვილი,** 63 წლის, ჩაწერილია 1991 წელს ახალქალაქის რაიონის სოფ. კოთელიაში. მოგვაწოდა **კუკური მეტრეველმა** 2021 წელს

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: **www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი**

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო N19/4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო: დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meskheti@gmail.com
lit_meskheti@yahoo.com

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ დამატება * ნოემბერი. 2021 *1

გარემოსდაცვითი ზესამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველო

ახალციხის რაიონული სასამართლოს წარმოებაშია
სამოქალაქო საქმე N 2/151-21 წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს განცხადების გამო, ქონების უპატრონოდ ცნობის თაობაზე.

<u>უპატრონოდ საცნობი მოძრავი ნივთებია:</u>

1). 2020 წლის 26 აგვისტოს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარალეთის მიმდებარედ ნანახი იქნა 1 ცალი ფრინველის მოსაზიდი ელექტრო სატყუარა ე.წ. ,,მანოკი" თავისი კვების წყაროთი, საყვირითა და მიკროსქემით. ამოღებული ნივთები დაილუქა ლუქით N 00047553 და ინახება სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე.

2). 2020 წლის 26 აგვისტოს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კოთელიის მიმდებარედ ნანახი იქნა 1 ცალი ფრინველის მოსაზიდი ელექტრო სატყუარა ე.წ. „მანოკი" თავისი კვების წყაროთი, საყვირითა და მიკროსქემით. ამოღებული ნივთები დაილუქა ლუქით N 00042552 და ინახება სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე.

3). 2020 წლის 26 აგვისტოს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარალეთის მიმდებარედ ნანახი 1 ცალი ფრინველის მოსაზიდი ელექტრო სატყუარა ე.წ. ,,მანოკი" თავისი 1 ცალი კვების წყაროთი, საყვირითა და მიკროსქემით. ამოღებული ნივთები დაილუქა ლუქით N 00042551 და ინახება სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე.

4). 2020 წლის 02 სექტემბერს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაჩიანის მიმდებარედ ნანახი 1 ცალი ფრინველის მოსაზიდი ელექტრო სატყუარა ე.წ. ,,მანოკი" თავისი 1 ცალი კვების წყაროთი, საყვირითა და მიკროსქემით. ამოღებული ნივთები დაილუქა ლუქით N 00042440 და ინახება სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე.

5). 2020 წლის 04 სექტემბერს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩანდურის მიმდებარედ ნანახი 1 ცალი ფრინველის მოსაზიდი ელექტრო სატყუარა ე.წ. „მანოკი" თავისი 1 ცალი კვების წყაროთი, საყვირითა და მიკროსქემით. ამოღებული ნივთები დაილუქა ლუქით N 00049746 და ინახება სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე.

6). 2020 წლის 10 სექტემბერს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმურდოს მიმდებარედ წანახი 1 ცალი ფრინველის მოსაზიდი ელექტრო სატყუარა ე.წ. ,,მანოკი" თავისი 1 ცალი კვების წყაროთი, საყვირითა და მიკროსქემით. ამოღებული ნივთები დაილუქა ლუქით N 00042582 და ინახება სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე.

7). 2020 წლის 10 სექტემბერს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ გოგაშენის მიმდებარედ პურის ყანაში ნანახი 1 ცალი ფრინველის მოსაზიდი ელექტრო სატყუარა ე.წ. ,,მანოკი" თავისი კვების წყაროთი, საყვირითა და მიკროსქემით. ამოღებული ნივთები დაილუქა ლუქით N 00042583 და ინახება სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე.

იმ პირებმა, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია უპატრონოდ გამოსაცხადებელ ქონებაზე, უნდა განაცხადონ თავიანთი უფლებების შესახებ, პუბლიკაციის დღიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში, ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე, მებალიშვილის ქ. №62.

თუ დანიშნული ვადის გასვლამდე არ შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, სასამართლო განიხილავს საქმეს და გადაწყვეტილების გამოტანისას დაეყრდნობა მის მიერ გამოკითხულ იმ პირთა ჩვენებებს, რომელთაც შეუძლიათ ცნობების მიწოდება ქონების კუთვნილების შესახებ, აგრეთვე, შესაბამისი ორგანოებიდან გამოთხოვილ ცნობებს.

ახალციხის რაიონული სასამართლოს წარმოებაშია
სამოქალაქო საქმე N 4434459-2/134-21 წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს განცხადების გამო, ქონების უპატრონოდ ცნობის თაობაზე.

<u>უპატრონოდ საცნობი მოძრავი ნივთებია:</u>

1. 2020 წლის 07 სექტემბერს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნჩხის მიმდებარედ ნანახი 1 ცალი ფრინველის მოსაზიდი ელექტროსატყუარა ე.წ. ,,მანოკი" თავისი კვების წყაროთი. ამოღებული ნივთები დაილუქა ლუქით N CB 00042535 და ინახება სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე.
2. 2020 წლის 26 აგვისტოს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კოთელიის მიმდებარედ ნანახი 1 ცალი ფრინველის მოსაზიდი ელექტრო სატყუარა ე.წ. ,,მანოკი" თავისი კვების წყაროთი. ამოღებული ნივთები დაილუქა ლუქით N 00049748 და ინახება სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე.
3. 2020 წლის 04 სექტემბერს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარალეთის მიმდებარედ ნანახი 1 ცალი ფრინველის მოსაზიდი ელექტრო სატყუარა ე.წ. ,,მანოკი". ამოღებული ნივთები დაილუქა ლუქით N CB 00042469 და ინახება სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე.
4. 2020 წლის 24 აგვისტოს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კოთელიის მიმდებარედ ნანახი 1 ცალი ფრინველის მოსაზიდი ელექტრო სატყუარა ე.წ. ,,მანოკი" თავისი 1 ცალი კვების წყაროთი. ამოღებული ნივთები დაილუქა ლუქით N CB 00048128 და ინახება სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე.
5. 2020 წლის 23 აგვისტოს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმურდოს მიმდებარედ ნანახი 1 ცალი ფრინველის მოსაზიდი ელექტროსატყუარა ე.წ. ,,მანოკი" თავისი 1 ცალი კვების წყაროთი. ამოღებული ნივთები დაილუქა ლუქით N CB 00049749 და ინახება სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე.
6. 2020 წლის 23 აგვისტოს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმურდოს მიმდებარედ ნანახი 1 ცალი ფრინველის მოსაზიდი ელექტროსატყუარა ე.წ. ,,მანოკი" თავისი 1 ცალი კვების წყაროთი. ამოღებული ნივთები დაილუქა ლუქით N CB 00049750 და ინახება სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე.
7. 2020 წლის 22 აგვისტოს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ მაჭატიას მიმდებარედ ნანახი 1 ცალი ფრინველის მოსაზიდი ელექტროსატყუარა ე.წ. ,,მანოკი" თავისი 1 ცალი კვების წყაროთი. ამოღებული ნივთები დაილუქა ლუქით N CB 00048126 და ინახება სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე.
8. 2020 წლის 03 სექტემბერს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმურდოს მიმდებარედ ნანახი 1 ცალი ფრინველის მოსაზიდი ელექტროსატყუარა ე.წ. ,,მანოკი" თავისი 1 ცალი კვების წყაროთი. ამოღებული ნივთები დაილუქა ლუქით N CB 00042468 და ინახება სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე.
9. 2020 წლის 22 აგვისტოს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმურდოს მიმდებარედ ნანახი 1 ცალი ფრინველის მოსაზიდი ელექტროსატყუარა ე.წ. ,,მანოკი" თავისი 1 ცალი კვების წყაროთი. ამოღებული ნივთები დაილუქა ლუქით N CB 00048129 და ინახება სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე.
10. 2020 წლის 22 აგვისტოს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმურდოს მიმდებარედ ნანახი 1 ცალი ფრინველის მოსაზიდი ელექტროსატყუარა ე.წ. ,,მანოკი" თავისი 1 ცალი კვების წყაროთი. ამოღებული ნივთები დაილუქა ლუქით N CB 00048127 და ინახება სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე.
11. 2020 წლის 24 აგვისტოს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კუმურდოს მიმდებარედ ნანახი 1 ცალი ფრინველის მოსაზიდი ელექტროსატყუარა ე.წ. ,,მანოკი" თავისი 1

→

ცალი კვების წყაროთი. ამოღებული ნივთები დაილუქა ლუქით N CB 00042571 და ინახება სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე.

12. 2020 წლის 23 დეკემბერს ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისში ნანახი წიწვოვანი (ფიჭვის) ჯიშის ორი ცალი არამარკირებული მრგვალი მორი, კეძოდ: 1). სიგრძე _ 5,80 მ, დიამეტრით _ 0,27 სმ; 2). 6 მეტრის სიგრძის _ დიამეტრით 0,27 სმ; არამარკირებული მრგვალი მორების საერთო მოცულობამ შეადგინა 0,825 მ³, რომელიც დასაწყობებული იქნა ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფელ ტაძრისში, თამაზ ჩუტკერაშვილის საკალმახე მეურნეობის ეზოში და მიბარებული იქნა ბეჟან ბერძენიშვილზე.

13. 2020 წლის 21 აგვისტოს ახალქალაქის მუნიციპალიტეტში კარწახის ტბაზე ამოღებული 15 მეტრი სიგრძის სახლართი ბადე, რომლითაც თევზი დაჭერილი არ იყო. ამოღებული სახლართი ბადე დაილუქა ლუქით N CB 00039531 და ინახება სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე.

იმ პირებმა, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია უპატრონოდ გამოსაცხადებელ ქონებაზე, უნდა განაცხადონ თავიანთი უფლებების შესახებ, პუბლიკაციის დღიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში, ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ. №62.

თუ დანიშნული ვადის გასვლამდე არ შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, სასამართლო განიხილავს საქმეს და გადაწყვეტილების გამოტანისას დაეყრდნობა მის მიერ გამოკითხულ იმ პირთა ჩვენებებს, რომელთაც შეუძლიათ ცნობების მიწოდება ქონების კუთვნილების შესახებ, აგრეთვე, შესაბამისი ორგანოებიდან გამოთხოვილ ცნობებს.

ახალციხის რაიონული სასამართლოს წარმოებაშია სამოქალაქო საქმის - 5045710-2/667-21წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს განცხადებისა გამო, ქონების უპატრონოდ ცნობის თაობაზე.

<u>უპატრონოდ საცნობი მოძრავი ნივთებია:</u>

2021 წლის 23 აპრილს ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ყვიბისის მიმდებარედ ნანახი წიწვოვანი ჯიშის სოჭის 4 ცალი 3 მეტრი სიგრძის დიამეტრებით _ 27, 26, 22, 25 სმ. და ფიჭვის ჯიშის 20 ცალი 3 მეტრი სიგრძის დიამეტრებით _ 32, 26, 30, 25, 21, 21, 24, 25, 34, 33, 27, 30, 24, 26, 24, 26, 24, 24, 22, 23 სმ. არამარკირებული მრგვალი მორი. საერთო მოცულობით 4,486 მ³, რომელიც დასაწყობებულია ქ. ახალციხეში სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული დეპარტამენტის სასაწყობე ტერიტორიაზე.

2021 წლის 23 აპრილს ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ყვიბისის მიმდებარედ ნანახი წიწვოვანი ჯიშის ნაძვის 1 ცალი 4 მეტრი სიგრძის დიამეტრით - 52 სმ და, ასევე, ნაძვის ჯიშის 13 ცალი 3,8 მეტრი სიგრძის დიამეტრებით _ 39, 30, 40, 29, 47, 32, 30, 37, 35, 37, 30, 55, 45 სმ არამარკირებული მრგვალი მორი. საერთო მოცულობით 7,57 მ³, რომელიც დასაწყობებულია ქ. ახალციხეში სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული დეპარტამენტის სასაწყობე ტერიტორიაზე.

2021 წლის 27 ივნისს ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისის მიმდებარედ ნანახი წიწვოვანი ჯიშის ნაძვის 11 ცალი, 3 მეტრი სიგრძის, დიამეტრებით _ 36, 30, 36, 45, 34, 35, 45, 27, 46, 41, 40 სმ არამარკირებული მრგვალი მორი, საერთო მოცულობით 4,383 მ³, რომელიც დასაწყობებულია ქ. ახალციხეში სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული დეპარტამენტის სასაწყობე ტერიტორიაზე.

იმ პირებმა, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია უპატრონოდ გამოსაცხადებელ ქონებაზე, უნდა განაცხადონ თავიანთი უფლებების შესახებ, პუბლიკაციის დღიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში, ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ. №60 ა.

თუ დანიშნული ვადის გასვლამდე არ შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, სასამართლო განიხილავს საქმეს და გადაწყვეტილების გამოტანისას დაეყრდნობა მის მიერ გამოკითხულ იმ პირთა ჩვენებებს, რომელთაც შეუძლიათ ცნობების მიწოდება ქონების კუთვნილების შესახებ, აგრეთვე, შესაბამისი ორგანოებიდან გამოთხოვილ ცნობებს.

ახალციხის რაიონული სასამართლოს წარმოებაშია სამოქალაქო საქმე N 5027241-2/646 -21 წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს განცხადებისა გამო, ქონების უპატრონოდ ცნობის თაობაზე.

<u>უპატრონოდ საცნობი მოძრავი ნივთებია:</u>

1). 2021 წლის 24 აპრილს ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ყვიბისის მიმდებარედ ნანახი წიწვოვანი ჯიშის ნაძვისა და ფიჭვის 20 ცალი სხვადასხვა დიამეტრის არამარკირებული მრგვალი მორი, რომელთა მონაცემებია: ფიჭვის 1). 26 სმ; 2). 28 სმ; 3). 30 სმ; 4). 27 სმ. ნაძვის 1).3 5 სმ; 2). 35 სმ; 3). 32 სმ; 4). 28 სმ; 5). 42 სმ; 6). 46 სმ; 7). 32 სმ; 8). 30 სმ; 9). 29 სმ; 10). 30 სმ; 11). 29 სმ; 12). 27 სმ; 13). 27 სმ; 14). 30 სმ; 15). 32 სმ; 16). 31 სმ; არამარკირებული მრგვალი მორების საერთო მოცულობამ შეადგინა 5,534 მ³, რომელიც გადმოტანილი და დასაწყობებული იქნა ქ. ახალციხეში სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული დეპარტამენტის სასაწყობე ტერიტორიაზე.

2). 2021 წლის 23 აპრილს ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ყვიბისის მიმდებარედ ნანახი იქნა წიწვოვანი ჯიშის ნაძვისა და სოჭის 18 ცალი სხავადასხვა სიგრძისა და დიამეტრის არამარკირებული მრგვალი მორი, კერძოდ: _ ნაძვის 1). 2.4 მეტრი სიგრძის დიამეტრით 38 სმ; 2). 3 ცალი 2.8 მეტრი სიგრძის დიამეტრებით 38 სმ, 35 სმ, 33 სმ; 3). 10 ცალი 3 მეტრი სიგრძის დიამეტრებით 38 სმ, 29 სმ, 39 სმ, 40 სმ, 55 სმ, 37 სმ, 36 სმ, 27 სმ, 43 სმ, 34 სმ; 4). 2 ცალი 6 მეტრი სიგრძის დიამეტრებით 39 სმ, 29 სმ; ხოლო ორი დაუფირნიშებელი მორი არის წიწოვანი ჯიშის სოჭის 3 მეტრი სიგრძის დიამეტრებით 33 სმ, 35 სმ; არამარკირებული მრგვალი მორების საერთო მოცულობამ შეადგინა 7,328 მ³ რომელიც გადმოტანილი და დასაწყობებული იქნა ქ. ახალციხეში სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული დეპარტამენტის სასაწყობე ტერიტორიაზე.

3).2021 წლის 27 ივნისს ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისის მიმდებარედ ნანახი იქნა 10 ცალი სამი მეტრი სიგრძის სხადასხვა დიამეტრის წიწვოვანი ჯიშის ნაძვის არამარკირებული მრგვალი მორი, რომელთა მონაცემებია: 1). 60 სმ; 2). 70 სმ; 3). 37 სმ; 4). 39 სმ; 5). 38 სმ; 6). 37 სმ; 7). 33 სმ; 8). 40 სმ; 9). 29 სმ; 10). 35 სმ; არამარკირებული მრგვალი მორების საერთო მოცულობამ შეადგინა 5,195 მ³, რომელიც გადმოტანილი და დასაწყობებული იქნა ქ. ახალციხეში სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული დეპარტამენტის სასაწყობე ტერიტორიაზე.

იმ პირებმა, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია უპატრონოდ გამოსაცხადებელ ქონებაზე, უნდა განაცხადონ თავიანთი უფლებების შესახებ, პუბლიკაციის დღიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში, ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ. №62.

თუ დანიშნული ვადის გასვლამდე არ შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, სასამართლო განიხილავს საქმეს და გადაწყვეტილების გამოტანისას დაეყრდნობა მის მიერ გამოკითხულ იმ პირთა ჩვენებებს, რომელთაც შეუძლიათ ცნობების მიწოდება ქონების კუთვნილების შესახებ, აგრეთვე, შესაბამისი ორგანოებიდან გამოთხოვილ ცნობებს.

ახალციხის რაიონული სასამართლოს წარმოებაშია სამოქალაქო საქმის - 5063932-2/687-21წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს განცხადებისა გამო, ქონების უპატრონოდ ცნობის თაობაზე.

<u>უპატრონოდ საცნობი მოძრავი ნივთებია:</u>

1). 2021 წლის 15 მარტს ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის მიმდებარედ, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ნანახი ელექტრო შოკური აპარატი, ერთი ცალი გასაბერი მწვანე ნავი, ერთ ცალი მექანიკური ტუმბო, 3.5 კგ. კარჩხანას ჯიშის თევზი, 10 კგ. ხრამულას ჯიშის თევზი, ერთი დენის წყარო, ორი ნიჩაბი, ერთი ცალი ხოლიხე და ერთი რეზინის შარვალი.

2). 2021 წლის 22 თებერვალს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ანდეზიტის მიმდებარედ ტყის ბუდეში ნანახი 0.5 მ³ წიწვოვანი ჯიშის ფიჭვის ხეტყე დ ერთი ცალი ნარინჯისფერი ბენზო-ხერხი.

იმ პირებმა, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია უპატრონოდ გამოსაცხადებელ ქონებაზე, უნდა განაცხადონ თავიანთი უფლებების შესახებ, პუბლიკაციის დღიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში, ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ. №62.

თუ დანიშნული ვადის გასვლამდე არ შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, სასამართლო განიხილავს საქმეს და გადაწყვეტილების გამოტანისას დაეყრდნობა მის მიერ გამოკითხულ იმ პირთა ჩვენებებს, რომელთაც შეუძლიათ ცნობების მიწოდება ქონების კუთვნილების შესახებ, აგრეთვე, შესაბამისი ორგანოებიდან გამოთხოვილ ცნობებს.